ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი 18 დეკემბერი 1998 №232 (767) ფასი 50 თეთრი


# ნუ მატყუებთ!

## ელდარ კურტანიძეს დეპარტამენტის მათხოვრად ყოფნა აღარ სურს




ამ ბოლო ხანს ქართული საჭიდაო სამყაროს თავზე დამოკლეს მახვილივით ჰკიდია კითხვა ელდარ კურტანიძის მომავალი სანაკრებო კარიერის შესახებ. ყველაფერი კი გერმანულ კლუბში სასპარეჯოდ წასვლის წინ ჭიდაობის ფედერაციაში დატოვებული მისი განცხადებით დაიწყო, ნაკრების წევრობიდან გამათავისუფლეთო. ამ ნაბიჯს ელდარი პირადი მოსაზრებით ხსნიდა, კონკრეტულ მიზეზებს კი არ ასახელებდა. ამას, ცხადია, მითქმა-მოთქმა მოჰყვა. ელდარ კურტანიძე თანამედროვე ქართველ სპორტსმენთაგან ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა. ატლანტის ოლიმპიადაზე მოპოვებული ორი მედლიდან ერთი ხომ მის ანგარიშზეა, სიდნეიშიც ოლიმპიური მედლის რეალურ კანდიდატად ითვლება. დღემდეც არაერთხელ ვცადეთ სიმართლის დადგენა, საქმის არსში გარკვევა, მაგრამ ელდართან გერმანიაში დაკავშირება ვერ მოვახერხეთ. ამასობაში კურტანიძე თბილისში ჩამოვიდა და მასთან საუბრის შესაძლებლობაც ხელიდან აღარ გავუშვით.

**— ელდარ, მოდი, შენი განცხადებით დავიწყოთ. რა გახდა მისი დაწერის მიზეზი?**

— წარუმატებლობა მსოფლიოს ჩემპიონატზე და ისიც, რომ არაერთხელ მომატყუეს, კუთვნილი პრემიები არ მომცეს. ჩემთვის პირმტკიცობა ყველაფერზე მაღლა დგას. მსოფლიოს ჩემპიონატზე ხელის მოცარვა დიდი ფსიქოლოგიური ტვირთია, რისთვისაც გულშემატკივრის წინაშე ვალში ვარ. ამას დაემატა ფინანსური მდგომარეობა. ვალერი ჩოლარიასთან ამ საკითხზე არაერთხელ მისაუბრია. მას ახლობელ ადამიანად ვთვლიდი. ისიც ყოველთვის კარგად მხვდებოდა, მპირდებოდა ამ პრობლემის მოგვარებას, მაგრამ რეალურად არაფერი გაუკეთებია. ჩოლარიას მტრად არც დღეს მივიჩნევ, მაგრამ... მე მისი კაცური ნათქვამის მჯეროდა. ნაწყენი ვარ, რომ სიტყვა გატეხა. ამით მეც და ჩემიანებიც მოტყუებულნი დავრჩით. ამას დაერთო ავადმყოფობა, გადატვირთვა, რამაც საბოლოოდ მსოფლიოს ჩემპიონატზე იჩინა თავი. ამან გადამაწყვეტინა განცხადების დაწერა. ამ ნაბიჯით მე არავის დავპირისპირებივარ. მოვიქეცი ისე, როგორც იმ მომენტში მიმაჩნდა სწორად.

დღეს ვიცი, რომ ჩემს თავს მევე უნდა მივხედო. გერმანიიდან მზადების ინდივიდუალური პროგრამაც ჩამოვიტანე და ვიცი, როგორც უნდა მოვიქცე. წესით, მე მხოლოდ ჭიდაობა მევალება, ხოლო ჩემი პრობლემები ფედერაციამ უნდა მოაგვაროს. თუ ფედერაციას არ აინტერესებს ჩემი ლიდერობა, მითხრან და ჩემს გზას მოვძებნი. ლიდერის დატვირთვა სხვაა. მას ახალგაზრდები უყურებენ. იგი სამაგალითო უნდა იყოს მათთვის. პირადად მეც დავით გობეჯიშვილისა და ლერი ხაბელოვის მაგალითზე ვიზრდებოდი. ლიდერს სხვანაირი მოპყრობა უნდა და მსურს, ასე მომექცნენ. მე სპორტის დეპარტამენტში მათხოვარივით ვერ მივალ. ბოლო-ბოლო, ევროპის სამგზის ჩემპიონს საამისო რა უნდა მჭირდეს. ვითხოვ მხოლოდ კუთვნილს, სხვას არაფერს. დეპარტამენტის საფინანსო სამმართველოს უფროსს ვაჟა სიხარულიძეს უკვე ისე ერიდება ჩემი, როცა მივდივარ, აღარ იცის, რა ქნას.

**— ელდარ, როცა ამბობ, ლიდერის შესაფერისად მომექცნენო, რას გულისხმობ — მხოლოდ კუთვნილის მიღებას თუ სხვანაირ, განსაკუთრებულ მოპყრობასაც?**

— არა, მხოლოდ კუთვნილი თანხის მიღებას. სხვას არაფერს ვითხოვ.

**— ნაკრებიდან საბოლოოდ წახვედი თუ..?**

— ცოტა დრო მჭირდება, რომ ნაკრებს შორიდან შევხედო. ამჯერად პასუხს ვერ გაგცემთ. თუ ფედერაცია პატივისცემით მომეპყრობა, თუ მომცემენ კუთვნილს, დავბრუნდები. ეს მხოლოდ მეგობრობას და კეთილ სიტყვას შეუძლია. მუქარით არაფერი გამოვა. ყველამ თავისი ნაკლი იცის და ყველამ თავის გულში ჩაიხედოს. უნაკლო ადამიანი არ არსებობს. ალბათ, არც მე ვარ გამონაკლისი. ყოველთვის ვთხოვ თანაგუნდელებსა თუ მწვრთნელებს, რომ ამაზე პირდაპირ მიმითითონ და ზურგსუკან არ ილაპარაკონ. მგონი, საერთო საქმე მხოლოდ ასეთი მიდგომით წავა წინ. მოუწესრიგებელ ოჯახს არაფერი ეშველება. იგივე მინდა ვთქვა საჭიდაო ოჯახზეც, რომლის მოუწესრიგებლობის გამოც შეიძლება გაისად ევროპის ჩემპიონატი კიდეც გამოვტოვო.

იხილეთ მეათე გვერდი



შევარდენი — სდასუ. შევარდენელი აკოლაშვილის (12), სდასუელების ორჯონიკიძის (11) და მაჭარაძის „სამაია"

- გუშინ ვერის ბაღში სენსაცია მოხდა: აქამდე გაუმარჯვებელმა „მაკაბიმ" „დინამო" შეიწირა.
- დრამატიზმი არც მეორე მატჩს აკლდა: სდასუს თორთლაძის ბოლო წამზე ნასროლმა მოაგებინა.
- დღე კი, მთავარი მატჩია ერთმანეთი დაუმარცხებელნი — სტუ და „აზოტი" ხვდებიან

საქართველოს ჩემპიონატი
# 9 ტური

17 დეკემბერი. ხუთშაბათი

**შევარდენი 91:93 სდასუ**

**მაკაბი 96:86 დინამო**

18 დეკემბერი. პარასკევი

**სტუ — აზოტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ | 6 | 6 | 0 | 573:479 | 12 |
| აზოტი | 6 | 6 | 0 | 561:485 | 12 |
| თსუ | 7 | 5 | 2 | 630:586 | 12 |
| დინამო | 7 | 3 | 4 | 601:613 | 10 |
| სდასუ | 7 | 3 | 4 | 565:598 | 10 |
| შევარდენი | 7 | 2 | 5 | 588:606 | 9 |
| მაკაბი | 7 | 1 | 6 | 577:617 | 8 |
| კოლხა | 7 | 1 | 6 | 541:652 | 8 |

იხილეთ მეცხრე გვერდი

### კალათბურთი. ევროლიგა. X ტური

A ჯგუფი

ტაუგრესი 80:60 ავტოდორი

ვარეზე 92:78 ფენერბაჰჩე

პორტეზი 56:66 ჟალგირისი

B ჯგუფი

ცრვენა ზვეზდა 88:60 ტდკ

ციბონა 78:60 მაკაბი

C ჯგუფი

ულქერი 49:60 კინდერი

ოლიმპიაკოსი 74:76 ცსკა

D ჯგუფი

სამარა 84:77 პაოკ

რეალი 65:69 ტიმსისტემი

ვილერბანი 77:68 ოლიმპია

საქართველოს ჩემპიონატი

# პირველი ჯგუფი. პირველი წრე:

# საპრიზოდან გან და განა?

*„ბათუმი" უცნაური გუნდია, ყველასგან გამორჩეული. გამორჩეული ბევრი რამით — სტაბილურობით, სიძლიერით, სათამაშო მანერით, იმით, რომ სათასო გუნდის სახელი დაიგდო და იმითაც, რომ მეცხრე ეროვნულ ჩემპიონატამდე ასეთი სტაბილური და ძლიერი გუნდი... პრიზიორი ვერ ხდებოდა. შარშანწინ და შარშან კი ზღვისპირელები სამეულში მოხვდნენ ოქროსავით მედლებს გამოკრეს ხელი.*

ეს ადრე- წლეულს კი მეტად და მეტად გაუჭირდებათ ბათუმელებს იგივეს გამეორება. მომრავლდნენ საშუალოზე ძლიერი გუნდები ეროვნულ ჩემპიონატში. „ტორპედოს", „ლოკომოტივს", „კოლხეთს" აჭარლებზე არანაკლები ამბიციების აწუხებთ და უკვე იმდენი ქულით ჩამოიტოვეს შარშანდელი თასისა და სუპერთასის მფლობელები, რომ ვეჭვობთ... ბევრი რამეა საეჭვო...

თვითონ ბათუმელი ფეხბურთელები გაცილებით ოპტიმისტურად არიან განწყობილი. ერთ-ერთმა მათგანმა ჩემპიონობაზეც წაისაუბრა ამას წინათ. ნეტარ არიან მორწმუნენი, მაგრამ „ბათუმი" ჩემპიონი რომ გახდეს, „დინამოსთან" თოთხმეტქულიანი ჩამორჩენა უნდა გააბათილოს... პრიზიორობა კი იმიტომ გაუჭირდებათ ბათუმელებს, რომ ძირითად კონკურენტებს ჩამორჩებიან, შემადგენლობითაც ველარ სჯობიან ძველებურად სხვებს და „ლოკომოტივთანაც" და „კოლხეთთანაც" მეორე წრეში გასვლაზე მოუწევთ თამაში.

პირველი წრე ზღვისპირელებმაც დაწყებით იმდენად ცუდად დაიწყეს, რომ მთელი ოთხი ტურის განმავლობაში სადღაც სატურნირო ცხრილის ფსკერზე იტკეპნებოდნენ და მხოლოდ მეხუთე ტურიდან შეუდგნენ სტაბილურად ზესვლას.

პირველი წრის დასაწყისზე მეტადაც ღირს ყურადღების გამახვილება — ჯერ იყო და ტრადიციულად უხერხულმა მეტოქემ „ვიტ ჯორჯიამ" აართვა სამი ქულა „ბათუმს", მერე სტუმრად „იბერიასთან" შეხვედრაც დათმეს ზღვისპირელებმა, შინ ვერ მოუგეს „ლოკომოტივს", თითქმის წაგებული მატჩი „ტორპედოსთან" ფრემდე მიიყვანეს და მეხუთე ტურს მეთხუთმეტე ადგილზე შეხვდნენ. მეთხუთმეტე ადგილი კი წინა წლის ტრიუმფატორისთვის (თასი, სუპერთასი და ვერცხლის მედალი) სხვა არაფერი იყო, თუ არა სირცხვილი.

„ბათუმმაც" ხელი გამოიღო: ზედიზედ სამ გამარჯვებას სამი ფრე მიაყოლა (მათ შორის „დინამოსთან" სტუმრად), მერე კვლავ სამჯერ გაიმარჯვა და მეტნაკლებად საკადრის, მეოთხე ადგილზე დამკვიდრდა. ვერ შეინარჩუნეს კი მეოთხე ადგილი ბათუმელებმა, წრის ბოლო ჩააგდეს (ორი მატჩი — ერთადერთი ქულა) და საბოლოოდ მეხუთენი დარჩნენ.

რაც შეეხება სათამაშო რგოლებს, ყველაზე სტაბილურად აშკარად ბათუმელთა დაცვა გაისარჯა. როცა დაცვის სტაბილურობაზე ვსაუბრობთ, არ ეგების ნიკა ტოგონიძის წვლილის დავიწყებაც — ნიკა ნაკრების მეკარეა, სტაბილურობითაც დაიკვეხნის და კარნახითაც ყოჩაღად კარნახობს თამაშს. სწორედ მისი გამართული კარნახის გამო თამაშობდნენ ასე დაწყობილად ბათუმელი მცველები.

მალხაზ მახარაძის, ვერემჩუკის, პაპიძისა და ჭიჭვეიშვილის შეხმატკბილებულ ოთხეულს ხშირად საყრდენები სიჭინავა და თორლაშვილიც ეხმარებოდნენ. ამიტომ ზოგ შეხვედრაში ბათუმელების დაცვა გაუვალი ხდებოდა. თხუთმეტიდან ექვს თამაშში აჭარლებს გოლი არ გასვლიათ, ექვსშიც მხოლოდ ერთი ბურთი გაუშვეს და მხოლოდ სამ მატჩში ორი და მეტი გოლი. თხუთმეტ შეხვედრაში გაშვებული 14 ბურთი მშვენიერი შედეგია და უფლება გვაქვს, პირველ წრეში ზღვისპირელთა უკანა ხაზს და მეკარეებს კარგი შეფასება მივცეთ.

საშუალოდ ითამაშა „ბათუმის" ნახევარდაცვამ, საშუალოდ, მაგრამ სტაბილურად. ნახევარმცველთაგან განსაკუთრებით ალექსანდრე კანტიძეა გამოსაყოფი, რომელმაც თხუთმეტივე მატჩი ითამაშა, ორი გოლიც გაიტანა და ბათუმელების თითქმის ყველა შეტევის წამომწყებიც გახლდათ. კანტიძე სტანდარტულების ოსტატადაც ითვლება თავის გუნდში და მისი შესრულებით არაერთი ტექნიკურად მოჭრილი დარტყმაც გვინახავს. სტანდარტულ სიტუაციებზე იმსაც დავსძენთ, რომ რამოდენიმე ტექნიკური საჯარიმო დარტყმა გადელიამაც შეასრულა და, უნდა ითქვას, საკმაოდ კარგადაც.

რაც შეეხება თავდამსხმელებს, შეიძლება ითქვას, რომ მათ თავიანთი ფუნქცია უშუალოდ შეასრულეს. მაჭუტაძემ შვიდი, ტულუშმა ექვსი, აფხაზავამ, მაქაცარიამ და რუსიამ თითო გოლი გაიტანეს, თუ ამას ნომინალურად თავდამსხმელის გადელიას სამ გოლსაც დავუმატებთ, ცხრამეტ ბურთს მივიღებთ. თუ ვისაუბრებთ იმაზე, რომ სულ 23 გაიტანეს ბათუმელებმა და აქედან თავდასხმამ ცხრამეტი, თქმა არ უნდა, თავდასხმა თავის სიმაღლეზე იდგა. სხვა საკითხია ის, რომ ლიდერ გუნდებს შორის აჭარლებს ბოლოდან მეორე მაჩვენებელი აქვთ („ლოკომოტივს" ჯობნიან მხოლოდ) და თხუთმეტ შეხვედრაში გატანილი 23 ბურთი ვერაფერი სახარბიელო შედეგია (მათ უმეტეს, ჩვენი ჩაჩანაკი ჩემპიონატის ფონზე).

„ბათუმის" თავდასხმის პოტენციალი კიდევ უფრო გაიზრდება, თუკი მაჭუტაძეს და ტულუშს აჭარელთა შორის ყველაზე სწრაფი რუსიაც მიბაძავს და სისწრაფეში უპირატესობას გოლებად აქცევს.

„ბათუმმა" პირველ წრეში ოცდაერთი ქულა დაკარგა, ზოგიერთი მატჩი პირდაპირ აჩუქა მოწინააღმდეგეს. როგორ გვგონიათ, უნიათობის, საქმისადმი ზერელე დამოკიდებულების გარდა რაიმე შეიძლება ეწოდოს იმას, რომ მეოთხე ეროვნული ჩემპიონატის ტრიუმფატორმა შინ ვერ მოუგო „არსენალს", „ვიტ ჯორჯიას", „მერანს"... პოტენციურად ზღვისპირელებს სამივე შეხვედრის მოგება შეეძლოთ, მათ კი მხოლოდ ორი ქულა აიღეს.

პირველ წრეში დაკარგული ამდენი ქულა ბათუმელებს უკვალოდ არ ჩაუვლით. ამიტომაც გვგონია, რომ გაუჭირდებათ საბოლოო სამეულში განდაგანის ცეკვა. მიზეზი? ჩვენი აზრით, მოტივაცია, ხალისი აკლიათ ბათუმელებს. ველარ ირჯებიან ძვლებურად სტაბილურად. თანაც პრიზიორი ევროპაში გადის, ევროპაში კი „პარტიზანები" დაძრწიან.

ერთი სიტყვით, ბათუმელების დილემაც ესაა: ევროპა თუ საპრიზოდან გან და განა.

**კონსტანტინე გოგიშვილი**



შეყილაძიანად (ზევით) ბათუმელები ერთად უტევდნენ და თავსაც გუნდურად იცავდნენ, უმისოდ კი გაუჭირდათ

## ბათუმის შედეგები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ვიტ ჯორჯია | 0:1 | შინ |
| 2 | იბერია | 1:3 | სტუმრად |
| 3 | ლოკომოტივი | 1:1 | შინ |
| 4 | ტორპედო | 3:3 | სტუმრად |
| 5 | გურია | 4:0 | შინ |
| 6 | დილა | 1:0 | სტუმრად |
| 7 | სამგურალი | 6:1 | შინ |
| 8 | დინამო | 1:1 | სტუმრად |
| 9 | მერანი | 0:0 | შინ |
| 10 | გორდა | 0:0 | სტუმრად |
| 11 | სიონი | 1:0 | შინ |
| 12 | თსუ | 1:0 | სტუმრად |
| 13 | კოლხეთი | 2:1 | შინ |
| 14 | ოდიში | 1:2 | სტუმრად |
| 15 | არსენალი | 1:1 | შინ |

| | თ | გ | ყ | წ |
|---|---|---|---|---|
| ალექსანდრე კანტიძე | 15 | 2 | 0 | 0 |
| თენგიზ სიჭინავა | 15 | 2 | 0 | 0 |
| მალხაზ მახარაძე | 14 | 0 | 1 | 0 |
| შალვა აფხაზავა | 13 | 1 | 0 | 0 |
| მამუკა რუსია | 13 | 1 | 5 | 0 |
| პაატა მაჭუტაძე | 12 | 7 | 1 | 0 |
| ზვიად პაპიძე | 11 | 0 | 2 | 1 |
| თემურაზ ტულუში | 11 | 6 | 2 | 0 |
| დავით ჭიჭვეიშვილი | 11 | 0 | 1 | 0 |
| თემურაზ გადელია | 10 | 3 | 1 | 0 |
| დიმიტრი ვერემჩუკი | 10 | 0 | 1 | 0 |
| როსტომ თორლაშვილი | 10 | 0 | 1 | 0 |
| ავთანდილ ღლონტი | 10 | 0 | 0 | 0 |
| ნიკოლოზ ტოგონიძე | 8 | -10 | 0 | 0 |
| მირიან მალაყმაძე | 7 | -4 | 0 | 0 |
| დავით მაქაცარია | 6 | 1 | 0 | 0 |
| ბადრი ფუტკარაძე | 4 | 0 | 0 | 0 |
| ზურაბ მინდაძე | 3 | 0 | 0 | 0 |
| არჩილ რომანაძე | 3 | 0 | 0 | 0 |
| გოჩა ყულევგიშვილი | 3 | 0 | 1 | 0 |
| რომეო გოგიტაძე | 2 | 0 | 0 | 0 |
| გელა მეავანაძე | 2 | 0 | 0 | 0 |

შ-შინ; ს-სტუმრად; თ-თამაში; გ-გოლი; ყ-ყვითელი, წ-წითელი ბარათი




საქართველოს ჩემპიონატი

## 15 ტური

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 15 | 12 | 3 | 0 | 50:8 | 39 |
| ტორპედო | 15 | 11 | 2 | 2 | 42:14 | 35 |
| კოლხეთი | 15 | 8 | 3 | 4 | 34:25 | 27 |
| ლოკომოტივი | 15 | 6 | 9 | 0 | 18:6 | 27 |
| ბათუმი | 15 | 6 | 6 | 3 | 23:14 | 24 |
| დილა | 15 | 6 | 4 | 5 | 21:21 | 22 |
| იბერია | 15 | 5 | 3 | 7 | 26:31 | 18 |
| არსენალი | 15 | 4 | 6 | 5 | 19:25 | 18 |
| მერანი | 15 | 3 | 8 | 4 | 13:16 | 17 |
| ოდიში | 15 | 5 | 1 | 9 | 12:25 | 16 |
| გორდა | 15 | 3 | 7 | 5 | 12:18 | 16 |
| სიონი | 15 | 4 | 3 | 8 | 15:32 | 15 |
| ვიტ ჯორჯია | 15 | 5 | 2 | 8 | 15:17 | 14 |
| სამგურალი | 15 | 4 | 2 | 9 | 13:31 | 14 |
| თსუ | 15 | 3 | 4 | 8 | 14:22 | 13 |
| გურია | 15 | 3 | 1 | 11 | 17:39 | 10 |

„ვიტ ჯორჯიას" დაკლებული აქვს 3 ქულა

## ქაირია ამაღ ნარეი

*დინამო:* გამოცდილი მეზღვაური ხარ და ამიხსენი, SOS რას ნიშნავს?

*ბათუმი:* რას და შველას.

*დინამო:* ეგ როგორ?

*ბათუმი:* როგორ და, როცა გაგიჭირდება, სოსო თუ გირევია გუნდში, უნდა გაუშვა...

*ტორპედო:* კი მაგრამ, შენ როდიდან დაიწყე გაზეთების კითხვა?

*დინამო:* რას ეკითხები?

*ტორპედო:* ბელგრადიდან რაც დაბრუნდა, მაგარი გაბრაზებული იყო.

*დინამო:* ვისზე?

*ბათუმი:* ვისზე და მეოთხეზე.

*დინამო:* „ლოკომოტივზე"?

*ბათუმი:* არა, მეოთხე ხელისუფლებაზე.

*დინამო:* ასეთი რა ქნეს?

*ბათუმი:* ვითომ არ იცი, ევროპაში რომ გამომაჭენეს?

*დინამო:* აა, იმ სპორტულმა...

*ბათუმი:* ჰო, „ევროსპორტმა" ჩემი თამაში აჩვენა.

*დინამო:* იმ შეხვედრაზე ამბობ, კარებში სამი კაცი რომ გედგა?

*ბათუმი:* ვლაჟნიელის მაკრატელა არ დაგავიწყდეს...

*დინამო:* ეგ საიდან იცი?

*ბათუმი:* ტექნიკურ არხზე უნახავთ.

*ტორპედო:* მერე მაინც კითხულობ გაზეთებს?

*ბათუმი:* ეჰ, ერთი დასანანი ისტორიის შემდეგ...

*დინამო:* რა მოხდა ასეთი?

*ბათუმი:* ამას წინათ ოქროს თევზი დავიჭირე და...

*დინამო:* ერთი სურვილი არ ჩამითქვი?

*ბათუმი:* შენთვის კი არა, ასე მითხრა, ჯერ ლიფსიტა ვარ და მხოლოდ ერთი სურვილის ასრულება შემიძლიაო.

*ტორპედო:* ვიცი, ახლა რასაც სთხოვდი...

*ბათუმი:* გაისად მაინც მომაპოვებინე-მეთქი თასების თასი.

*დინამო:* რა გიპასუხა?

*ბათუმი:* მე არ ვიყო რიონში გაზრდილი თევზი, თუ არ აგისრულოო.

*ტორპედო:* მერე?

*ბათუმი:* გადავშალე გაზეთი და რა წავიკითხე — მაგან ჩემპიონატში ფუნქცია დაკარგა, უეფამ თასების თასის გათამაშება გააუქმაო...

*დინამო:* ნეტა ჩემპიონთა ლიგაც გააუქმონ.

*ბათუმი:* ჩაიქნიე ხელი?

*დინამო:* მეტი აღარ შემიძლია, ღლედალამ „კამპ ნოუ" მელანდება...

*ტორპედო:* მოლანდებაზე გამახსენდა, სადაა რობერტო?

*ბათუმი:* რობერტო ლანდი კი არა, ჩრდილი ყოფილა. 23 ოქტომბრის ყრილობაზე მაგისი მზე რომ ჩაესვენა, გაქრა ეგეც...

*დინამო:* ჭიჭვეიშვილი რატომღა გამიქრე?

*ბათუმი:* შენსავით ბელგიის მესამე ლიგაში კი არ გამიშვია, „სპარტაკს" მივყიდე

*დინამო:* მომატყუეს, ის „რასინგი" თასების თასის მფლობელი „მეხელენი" მეგონა.

*ტორპედო:* გაჩუმდი, ერთი! მე ჯანაშია „ლომელს" არ მივეცი, შენ კი...

*ბათუმი:* რა გყავს ასეთი ეგ ჯანაშია, ჩემი რუსია უფრო სწრაფია.

*ტორპედო:* აბა, ჰკითხე გუცაევს?

*ბათუმი:* ჰო, მართლა, რა ხდება ნაკრებში?

*ტორპედო:* გაიგე რამე ახალი?

*ბათუმი:* აჭარელმა ჟურნალისტმა მითხრა, ჩვენი ნაკრები უზენაეს საბჭოს დაემსგავსაო.

*დინამო:* ეგ როგორ?

*ბათუმი:* ოპოზიციური ფრაქცია შეუქმნიათ — „თემური და მისი რაზმი".

*ტორპედო:* კიდევ რა თქვა?

*ბათუმი:* რა და, გუცაევმა დეკემბერ-იანვარს თუ გაუძლო, ერთი წელი აღარაფერი უჭირსო.

*ტორპედო:* ერთი წლის შემდეგ?

*ბათუმი:* წიწილებს დაუთვლიან და...

*ტორპედო:* ისე მწვრთნელებისთვის ძალიან უიღბლო წელი იყო — სოსო ფრუიძე, სოსო ფილია, მარიო ზაგალო, მორტენ ოლსენი, ჯიჯი სიმონი... ახალ წლამდე ორი კვირა კიდევ დარჩა.

# «ბათუმი». V ადგილი

ნაგება ბათუმში „ვიტ ჯორჯიასთან“, სამტრედიაში „იბერიასთან“. ფრე შინ „ლოკომოტივთან“ და სტუმრად „ტორპედოსთან“.

მეათე ჩემპიონატის სტარტი ისეთი იყო, კაცი ვერაფრით ვერ ინისანარმეტყველებდა — საწყის ოთხ ტურში ორად ორი ქულა და მეთხუთმეტე ადგილი.

„ბათუმმა“ მაისის ბოლოს საქართველოს თასი მოიგო, აგვისტოს დასაწყისში — სუპეთასი. დიდი იყო ზღვისპირელთა სიხარული — ამდენი ხნის მერე „დინამოზე“ ორგზის ალმატება.

აჭარულმა გუნდმა ხეჭეჭურივით გვიან მოიწია მოსავალი — სანაქებო კი. ვერცხლის მედლები და თას-სუპერთასი. ცხრა წელს ელოდა „ბათუმი“ ტიტულს და აჰა, იმარჯვა.

— მადა ჭამაში მოდის და გაისად ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთო — გრძნობებს აჰყოლოდნენ ბათუმელები.

და ამის შემდეგ ასეთი დაცემა შოკი იყო — ორად ორი ქულა და ბოლოსწინა ადგილი. ამას თასების თასის გათამაშებიდან „პარტიზანთან“ გამოვარდნაც დაემატა და ასე კარგად დაწყებული ზაფხულის ბოლო თვე ყოვლად უნაყოფო გამოდგა.

ეს იყო და , სექტემბრიდან მოყოლებული „ბათუმმა“ ისეთი სვლაგეზი აიღო, ცხრილში ორჯერ ჩამოქვეითდა და ორჯერვე თითო საფეხურით.

ჩემპიონობაზე ოცნებამ ჩაილურის წყალი დალია — ზღვისპირელებს „დინამოსგან“ 15 ქულა აშორებთ და ერთ წრეში ასეთი სხვაობის დაძლევა წარმოუდგენელია.

სამაგიროდ, პირველ წრეში მეხუთე ადგილს დაჯერებულ „ბათუმს“ ბრინჯაოს მოპოვების კარგი შანსი აქვს და თუ ეს ბევრს არაფერს მისცემს, თასის შენარჩუნება ევროპულ საგზურს დაუბევებს.

მერვედფინალში „ბათუმმა“ „დილა“ დაიფრინა, მისმა მომავალმა მეტოქე „ლოკომოტივმა“ კი „დინამო“. ასე რომ, თუ ზღვისპირელები „ლოკომოტივს“ არ დაეჩაგვრინნენ, „ტორპედოს“ გარდა თასს ძნელად თუ ვინმე შეეცილება.

„ბათუმს“ თასის შენარჩუნების ძალა შესწევს — მოთამაშენიც ამ



„ბათუმმა“ საქართველოს თასი თემურ ბეჟანიძის პრეზიდენტობისას მოიგო

საქმეში გამოცდილნი და ძლიერნი ჰყავს და მწვრთნელიც ჩვენში ერთ-ერთი საუკეთესო.

შოთა ჭეიშვილთან საუბარი საინტერესო კია, მაგრამ ქართული პრესის მკითხველი ბოლო ხანს მის ინტერვიუს დანატრებულია.

ჩვენც თავაზიანი უარით გამოგვისტუმრა, დამდეგი წელიც წინასწარ მოგვილოცა და მიწურული წლის შესაფასებლად კლუბის პრეზიდენტ თემურ ბეჟანიძეზე მიგვითითა, რომელსაც კი შევეხმიანეთ, მაგრამ...

საუკუნის დასაწყისის ჟურნალ-გაზეთებში კაცი ერთ უცნაურობას წააწყდება — ცარიელ გვერდებს. ეს ბოლო, გაზეთის დაბეჭდვისწინა მომენტში ცენზურის დაწუნებული წერილების ადგილია.

ცენზურა, მაშინდელი გაგებით, დიდი ხანია გადავარდა, მაგრამ გუშინ ჩვენც ამგვარი იალღიში შეგვემთხვა — დღევანდელ „სარბიელში“ „სიცარიელე“ სრულიად სხვა მიზეზით დაგვრჩა.

აქ უნდა ყოფილიყო ინტერვიუ „ბათუმის“ პრეზიდენტთან.

ბატონმა თემურმა სალაპარაკოდ დროც დაგვითქვა, მაგრამ ბათუმის მერიაში მნიშვნელოვან საკითხთა განხილვა ერთობ გაუჭიანურდა და ჩვენი საუბარი ვერ შედგა.

„ბათუმის“ თავკაცისეულ შეფასებას ადრე თუ გვიან მაინც გაახლებთ, დღეს კი უნდა მოგვიტევოთ, ჩვენც და რესპონდენტსაც.

# სოხუმი, ბათუმი, მერე?

ბევრი ვიფიქრეთ, ბევრი გვარი ჩამოვთვალეთ, ვინ-ვინ და ბოლოს თენგიზ სიჭინავა ვცანით „ბათუმიდან“ საუკეთესოდ. არა, გადაჭარბებული ნათქვამი როდია — ის გუნდის ხერხემალია. საყრდენი ნახევარმცველი. ჭკუითა და შრომისმოყვარეობით, ძლიერი მარჯვენით და კარგი ბიჭობით გამორჩეული. სტილიც თავისებური აქვს, დინჯი, აუღელვებელი, იშვიათად თუ დაიბნევა, ან ბურთს უმისამართოდ მოიგერიებს. გოლის გატანის სიხარულსაც სხვაგვარად გამოხატავს. ვითომც არაფერიო, მარჯვენა ხელს ალმართავს, ნაბიჯს აუჩქარებს და გაჩერდება. მერე პარტნიორებმა იციან. მისი გარჯა მუდამ დაფასებულია, ხალხიც ამჩნევს, მწვრთნელებიც.

მხოლოდ ერთხელ იყო, თენგიზ სიჭინავამ ემოცია ბოლომდე გამოხატა. „ბათუმი“ ბელგრადის „პარტიზანს“ რომ მასპინძლობდა, მაშინ. სიჭინავამ ლონიერი მარჯვენა მოიქნია, ბურთს იქ მოარტყა, სადაც საჭირო იყო — დამიანაკმა ისკუპა, მაგრამ... ნურც იმას დაივიწყებთ — თენგიზ სიჭინავა სოხუმელია. მისი დროებითი თავშესაფარი ბათუმია. მეუღლესთან და ახალშობილ გოგონასთან ერთად ცხოვრობს. რატომ? ეგ უკვე სხვაა. დღეს ხომ საქართველოში მოთამაშე ფეხბურთელებიდან მხოლოდ ერთეულები არიან დალხენილნი.



თენგიზ სიჭინავა

— ყველაფერს გიორგი იოლჩიდის ვუმადლი. ამ კაცმა მასწავლა ფეხბურთი. სულ პატარა ვიყავი, მამაჩემმა ხელი რომ ჩამკიდა და სოხუმში, ბავშვთა გუნდში მიმიყვანა. რა ვიცი, ეტყობა, თავი სხვებზე მეტად გამოვიჩინე და „ცხუმშიც“ ამიტომ ამიყვანეს. სამწუხაროდ რა გითხრათ, არც კი ვიცი, ნეტავ სოხუმში დაგვაბრუნა და...

**— ბათუმში თავს ცუდად გრძნობ?**

— არა, რას ლაპარაკობთ, მაგრამ სადაც გაზრდილ-დაბადებული ხარ, ის სულ სხვაა. „ბათუმმა“ ბინა მიქირავა, დღემდე მათი მადლიერი ვარ. როგორც შეუძლიათ, კი მეხმარებიან, თუმცა სოხუმი... შენი სახლი რომ გაქვს, სხვა საქმეა. დღედაღამ ამას ვოცნებობ — აფხაზეთში დაგვაბრუნა. ახლა ვთქვა, ბათუმში მილხინსო, დამიჯერებთ? ისევე ვცხოვრობ, როგორც უმეტესობა.

**— ყველაფრის მიუხედავად, გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ხარ. პარტნიორებიც შენს იმედზე არიან.**

— რასაც შემიძლია, იმას ვაკეთებ. გამორიცხულია, ვისამე ან რისამე მიზეზით უგემურად ვითამაშო. მუდამ ერთი მიზანი მაქვს — მეტოქე უნდა დავამარცხო და ჩემიანები გავახარო. თავი არასდროს დამიზოგავს. ვერავინ მეტყვის, უგულოდ ითამაშეო.

**— ყველა გულით კი თამაშობთ, მაგრამ შედეგი? სეზონი თქვენთვის უჩვეულოდ დაიწყეთ, მაინცდამაინც არც ახლა გაქვთ საქმე სატრაბახოდ. მეხუთე ადგილზე „ბათუმი“ კარგა ხანია, არ ყოფილა. ხალხი თქვენს ლიდერობას არის ჩვეული.**

— რას იზამ, ასეც ხდება ხოლმე. მდგომარეობას აუცილებლად გამოვასწორებთ. ჩავარდნის მიზეზების მეტი რა არის. აქვს კი აზრი ახლა მათ ჩამოთვლას? მთავარი შედეგია, გუნდის სიძლიერეც ამით ფასდება.

**— პარტნიორებიდან ვის გამოყოფ?**

— ჩემი ამპლუის მოთამაშეებს — კანტიძეს და თორლაშვილს. სამივენი შუაში ვთამაშობთ, სამივეს, ფაქტობრივად, ერთი ფუნქცია გვაკისრია. ცენტრს ჩვენ ვაკონტროლებთ. ხანდახან ტულუშსაც შემოსწევენ ხოლმე შუაში. ძირითადად სწორედ ამათთან მიადვილდება თამაში, ყველამ ვიცით, ვისგან რას უნდა ველოდოთ. უაზროდ არავინ დარბის, როცა მე მაქვს ბურთი, ვიცი, საით გავგზავნო, ისიც ვიცი, პასს ვინ მიიღებს.

**— შენს ნაკლად რა მიგაჩნია?**

— ფიზიკურად ვერ ვარ სათანადოდ მომზადებული. მიჭირს ორი ტაიმის თამაში, ბოლოს ვიღლები. თუმცა, იმედი მაქვს, ამ ნაკლს მალე გამოვასწორებ, ახლა საგანგებოდ ვვარჯიშობ, ეგებ მეორე წრის დაწყებამდე ფიზიკურად მოვღონიერდე.

**— გეტყობა, მარჯვენა ფეხი ღონიერი გაქვს. თანაც მიზანში ურტყამ.**

— ოო, ეგეც გიორგი იოლოჩიდის დამსახურებაა. ბავშვობაში დარტყმა საერთოდ არ ვიცოდი, მიზანზე ლაპარაკიც ზედმეტია. იოლჩიდი კი ყოველი ვარჯიშის შემდეგ მტოვებდა, სპეციალურად მავარჯიშებდა. მერე მეც წამოვიზარდე. ნაკლის გამოსწორება მინდოდა. როგორ მოვახერხე ამას თქვენ უკეთ ხედავთ.

**— ბელგრადის „პარტიზანთან“ მატჩზეც გვითხარი. აქამდე ევროტურნირებზე „ბათუმი“ პირველივე მეტოქეს ყოველთვის ამარცხებდა.**

— „პარტიზანთან“ მოგებაც შეგვეძლო. გაიხსენეთ, რამდენი მომენტი ვერ გამოვიყენეთ ბათუმში. გამარჯვებასთან ახლოს ვიყავით, მაგრამ იღბალმა ზურგი გვაქცია. ის მატჩი უნდა მოგვეგო, შემდეგ წრეშიც ჩვენ უნდა გავსულიყავით. მიუხედავად იმისა, რომ იუგოსლავიელებმა მომდევნო თამაშებისას „ნიუკასლი“ გააგდეს. სხვათა შორის, ჩემს მიერ იმ მატჩში გატანილი გოლი არასდროს დამავიწყდება, იმ წუთს ბედნიერი ვიყავი, მეგონა, მეტოქეს სამბურთიანი სხვაობით დავამარცხებდით.

**— დღევანდელი ყოფიდან გამომდინარე, სხვაგან წასვლას არ აპირებ?**

— აუცილებლად. კარიერას, ალბათ, სხვა ქვეყანაში გავაგრძელებ. რამდენიმე უცხო კლუბიდან მაქვს მოწვევა, მაგრამ კონკრეტულად ჯერ არაფერი ვიცი. დამთავრდება ეს სეზონი და მერე ვნახოთ. მალე ყველაფერი მეცოდინება, ვფიქრობ, ისევ რუსეთში წავალ.

**— დაბოლოს, პირველ წრეში შენს თამაშს როგორ შეაფასებდი?**

— დადებითად. ცუდად ნამდვილად არ მითამაშია. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვთვლი. ერთზე მწყდება გული — „ბათუმმა“ შინ რამდენიმე მნიშვნელოვან ქულა დაკარგა. ის მატჩები რომ მოგვეგო, ახლა სამეულში ვიქნებოდით.

ქობა ინასარიძე

# სოსო ფილია დაითხოვეს

## კოლხეთი ახალ მწვრთნელს ელის

ფოთის „კოლხეთისა“ და სოსო ფილიას „გაყრის“ ამბავი პირველად აგვისტოში გახმაურდა. მაშინ იყო, არაერთის ნათქვამს ტყუილი რომ უწოდეს, მაგრამ საქართველოში ჯერაც არ თქმულა ისეთი ტყუილი, ნახევარი სიმართლე მაინც რომ არ ერიოს.

მაშინ სოსო ფილია დარჩა. მისი ძალაუფლება ისეთივე განუზომელი ჩანდა, როგორიც ბოლო ცხრა წლის განმავლობაში იყო. მწვრთნელს თავისი რეპუტაციისა და პიროვნული სიძლიერის იმედი ჰქონდა. აკი თამამადაც განუცხადა გუშინ „სარბიელს“, ფილიას ასე იოლად ვერ წააქცევენო. ამას რომ ამბობდა, ალბათ, ბატონი სოსო თავის გავლენას და „კოლხეთისთვის“ დაღვრილ ოფლს გულისხმობდა. ზღვისპირელთა სამზარეულოში მისებრ გარკვეული და გათვითცნობიერებული ორად ორი კაცი დაიარებოდა ფოთში. ესენი „კოლხეთის“ ტექნიკური დირექტორი ვახტანგ ხაინდარავა და გუნდის ადმინისტრატორი ტიტე ყორშია გახლდნენ.

ფეხბურთელებთან ერთად ზემოხსენებული ტრიო იყო ფოთელთა ყველა მიღწევის სულისჩამდგმელი, მაგრამ...

ამქვეყნად ყველაფერს გააჩნია თავისი დასაწყისი და დასასრულიც. ჩათვალეთ, „კოლხეთში“ სოსო ფილიას ერა დასრულდა. ეს გადაწყვეტილება კლუბის ხელმძღვანელებმა გუშინ მიიღეს, რაც „კოლხეთის“ პრეს-მდივანმა ბიძინა დარჩიამაც დაგვიდასტურა.

დღეს, გადაწყვეტილებას ოფიციალურ სახეს მისცემენ, ხოლო 21 დეკემბრიდან „კოლხეთის“ ახალი მთავარი მწვრთნელი შეუდგება ახალი და ახლებური გუნდის „მშენებლობას“.

თითქმის გადაწყვეტილია, რომ „კოლხეთის“ წარმატებული ტრადიციის გაგრძელება გია ტყებუჩავას დაეტვირთება. ჯუნგლის (ჩვენში მას ამ სახელით უფრო იცნობენ) სავარაუდოდ ორშაბათს დაამტკიცებენ.

ისე, თუ სხვა მოარულ ხმებს ვერწმუნებით, „კოლხეთის“ ტექნიკურ პერსონალსაც სერიოზული საკადრო ცვლილებები შეეხება. ამბობენ, ფოთელები გუნდისთვის სხვა „სიკეთესთან“ ერთად ახალ ტექნიკურ დირექტორსა და ადმინისტრატორს ეძებენო. ყოველ შემთხვევაში, სოსო ფილიას გარეშე თურმე არც ვახო ხაინდრავას და ტიტე ყორშიას გამოუთქვამთ სამსახურის გაგრძელების სურვილი.

ასეა თუ სხვაგვარად, ფაქტი კია, დღეიდან „კოლხეთი“ ახალ მწვრთნელს ელის.

ვახტანგ ბზიკაძე



სოსო ფილია წავიდა

# გიგლა იმნაძე: სწორად სირბილი რომ ვიცოდეთ...

*როგორი იყო 1998 წელი ჩვენი ფეხბურთისათვის? ჩვეულებრივი... თუმცა წელიწადი რა შუაშია? საკითხავია, ქართული ფეხბურთი როგორი იყო წლეულს... ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დაწყების წინა პერიოდი მახსენდება. მაშინ იყო, თუ იყო... გაუთავებელი პროგნოზები. საყოველთაო მსჯელობის საგნად გამხდარიყო ჩვენი ნაკრები გუნდების (ეროვნულის და ახალგაზრდულის) კარს მომდგარი მატჩები. ზოგი წლეულს გასამართ სამ შეხვედრაში ეროვნულ ნაკრებს მინიმუმ ექვს ქულას უწინასწარმეტყველებდა, ზოგიც ახალგაზრდების იმედად იყო და ამდენივეს მათგან მოელოდა. ისეთებიც გამოერეოდნენ, რომლებიც ამბობდნენ, ორივე ნაკრები ერთად ჯამში თხუთმეტ ქულას მოაგროვებსო... ნათქვამია, წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო, ოქტომბრის ერთ საღამოს კი ქართველ გულშემატკივარს დასათვლელიც ბევრი არაფერი ჰქონდა. ახალგაზრდულმა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ბოლოს მართლაც დიდი სიხარული აჩუქა გულშემატკივარს. რუსთავში იტალიელ თანატოლთა ძლევამ შედეგად ქვეჯგუფში მეორე ადგილი მოიტანა, უფრო კი ნაპერწკალი გააჩინა, რომელმაც იმედის სხივი აციმციმა — იქნებო... გვათქმევინა. დღეს კი ის შესარჩევი ციკლი ისტორიის კუთვნილებად ქცეულა, მაშინდელი იმედის სხივი კი თვალს სულაც აღარ ჭრის. დარჩა ახალგაზრდული ნაკრები, ახალ შესარჩევ ციკლს შეჭიდებული, ახალი მწვრთნელით (თუ მწვრთნელებით) ახალი ფეხბურთელებით და, ალბათ, ახალი მიზნებითაც.*



**— თქვენი სანაკრებო კარიერა შთამბეჭდავად დაიწყო. გორში რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების დამარცხება შესძელით.**

— მართალია, ის შეხვედრა ამხანაგური იყო, მაგრამ, ცუდად ნუ გამიგებთ, პირადად ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩემთვის პირველი მატჩი იყო და რაღაცის დამტკიცება მსურდა, თუნდაც იმის, რომ შემთხვევით არ მოვხვდი ამ ერთობ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე.

**— ამის შემდეგ უკრაინელებსაც გაუჯიბრეთ კიევში და თუკი ამ ორ შეხვედრას იტალიაში გავლილ ათდღიან შეკრებასაც დავუმატებთ, გამოდის, რომ შესარჩევი ციკლის წინ გარკვეული სათამაშო პრაქტიკა დაგიგროვდათ.**

— მოსამზადებელი პერიოდი მართლაც ნაყოფიერი გამოდგა. რუსებთან და უკრაინელებთან შეხვედრები საერთო საქმეს სასიკეთოდ წაადგა. ნაკრების ძირითადი ბირთვიც გამოჩნდა და ოპტიმალური, ჩვენთვის საჭირო ტაქტიკური მონახაზის ჩამოყალიბების საშუალებაც მომცა. ამ ორ შეხვედრას წინ იტალიაში ათდღიანი შეკრება და იქ ჩატარებული საკონტროლო მატჩები უძღოდა. ეს ყოველივე ფეხბურთელებისათვის სასიკეთო იყო, მაგრამ, როგორც იცით, იტალიაში ჩემი, როგორც მთავარი მწვრთნელის, ფუნქციები ერთობ შეიზღუდა. მაშინ ნაკრებს რობერტო ლანდი ხელმძღვანელობდა. მე მხოლოდ სტატისტის როლში ვიყავი.

**— სწორედ ლანდიზე მინდა გკითხოთ, თუ გაარკვიეთ, რა ფუნქციებს ასრულებდა იგი ახალგაზრდულ ნაკრებში**

— რობერტო ლანდი დღემდე ვერავინ გაშიფრა. ჩემთვის ამოცანად დარჩა მისი სტატუსი ახალგაზრდულ ნაკრებში. დღემდე ვერ გავიგე, ვინ არის იგი, მთავარი მწვრთნელი, მეცენატი თუ კონსულტანტი.

**— ვინ არისო, თქვით. კიდევ აგრძელებს ლანდი ნაკრებში მუშაობას?**

— ამის შესახებაც ვერაფერს გეტყვით. ამ დღეებში მერაბ ჟორდანია უნდა შეხვედროდა მას რომში და იქვე უნდა გადაწყვეტილიყო მისი ახალგაზრდულ ნაკრებთან ურთიერთობის ფორმაც. ამ შეხვედრის შედეგების შესახებ ჯერჯერობით, სამწუხაროდ, არაფერი ვიცი.

**— ერთიც ვთქვათ ლანდისთან დაკავშირებით — როგორ ფიქრობთ, სასიკეთოდ წაადგა მისი თანამშრომლობა ახალგაზრდულ ნაკრებს?**

— რობერტო ლანდი შესანიშნავი სპეციალისტია, ოღონდ ერთი „მინუსი" აქვს, იგი იტალიელია. მიმაჩნია, რომ ქართული ფეხბურთის დღევანდელობას ვერ შეეწყო. ის ტაქტიკა, რომელიც მან აირჩია, არასწორი იყო და ჩვენ შესარჩევი ციკლის პირველ შეხვედრაში დავმარცხდით. იგი არ ესწრებოდა საქართველოს ჩემპიონატის კალენდარულ მატჩებს და ვფიქრობ, ბოლომდე არ იყო ჩახედული ქართული ფეხბურთის სამზარეულოში. ამან კი ალბანელებთან დამარცხება გამოიწვია, თორემ მათთან წასაგები რა გვქონდა?

**— ესე იგი ალბანელებთან მარცხი რობერტო ლანდის „დამსახურება" იყო?**

— ამ შეხვედრაში მე ჩემს ფუნქციებს არ ვასრულებდი. მთავარი მწვრთნელი იტალიელი იყო და ამით ყველაფერია ნათქვამი. თანაც ლანდიმ თამაშის წინ განაცხადა, რომ შედეგზე პასუხისმგებელი თავად იქნებოდა, როგორც იცით, ასეც მოხდა.

**— ალბანურ ფიასკოს თავი დავანებოთ და რიგა-ათენის თამაშები გავიხსენოთ. მაშინ მთავარი მწვრენთელის ფუნქციებს თქვენ ასრულებდით...**

— ეს ორი შეხვედრა ოთხი დღის განმავლობაში ჩავატარეთ და ვთვლი, რომ ბერძნებთან მატჩის წინ სათანადო ადაპტაცია ვერ გავიარეთ, თუნდაც იმიტომ, რომ ეს ახალგაზრდული ნაკრების პირველი მოგება იყო სტუმრად. მთავარი, რაც მენიშნა, ეს იყო, რომ მეტოქე ფიზიკურად დავჯაბნეთ.

**— ბერძნებთან მატჩის შემდეგ კმაყოფილების საბაბი ნაკლებად გექნებოდათ...**

— ამ შეხვედრაში მართალაც დასანანი მარცხი განვიცადეთ, ორჯერ შევძელით ანგარიშის გათანაბრება, შემდეგ მესამე გოლიც გავუშვით და ამან საბოლოოდ გაგვტეხა. მატჩის ბოლო თხუთმეტ წუთში დაღლილობამ იჩინა თავი და დამარცხებამდეც ამან მიგვიყვანა.

**— შესარჩევი ციკლის განახლებამდე საკმაო დროა დარჩენილი. მიუხედავად წარუმატებელი სტარტისა, სამომავლოდ რა მიზნებს ისახავთ?**

— მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში მოთამაშე გუცაევის ახალგაზრდული ნაკრები მინდა გაგახსენოთ. მაშინ პირველ სამ მატჩში მათაც სამი ქულას აღება შეძლეს, ოღონდ, ჩვენგან განსხვავებით, მეტოქე შინ დაამარცხეს. შემდეგ კი დიდ წარმატებას მიაღწიეს, იტალიელები უკან მოიტოვეს და ქვეჯგუფში მეორე ადგილი დაიკავეს. იგივე შედეგის გამეორება ჩვენც ძალგვიძს.

**— კი მაგრამ, მეორე ადგილზე გასული გუნდი ფინალურ ტურნირს მიღმა დარჩება და ეს წარმატებად ნამდვილად არ ჩაითვლება.**

— ჩვენ შედეგისთვის ვიბრძოლებთ, ყოველივეს, დრო გამოაჩენს, ვნახოთ, იქნებ შეუძლებელიც შევძლოთ.

**— ნაკრების თითოეულ რგოლს როგორ დაახასიათებდით;**

— ჩვენი უმთავრესი პრობლემა უკანა ხაზია. დავიწყოთ მეკარით. რამაზ სოლომლაშვილზე ცუდს ნამდვილად ვერ ვიტყვი. იგი თავიდან მშვენიერ ფორმაში იყო, მაგრამ „სკონტოდან" გვარამაძის დაბრუნებამ „დინამოში" ძალაუნებურად შეაჩერა მისი აღმასვლა. რამაზი ნაკლებად ხვდებოდა გუნდის ძირითად შემადგენლობაში და ნაკრების თამაშების დროს ჩვეული ფორმიდან შორს იყო. პრობლემები გვაქვს დაცვის ხაზშიც ჭანკოტაძის დისკვალიფიკაციით კი სავალალო შედეგები შეიძლება მოვიმკათ მასზე გამოცდილი და კარგი ლიბერო (ამ ასაკის ნაკრებისთვის) მე საქართველოში არ მეგულება. კარგი ბიჭია აგრეთვე „მერანში" მოთამაშე ედიშერ ალადაშვილიც და, ალბათ, ამ პოზიციაზე მისი გამწესება მოგვიწევს. სხვაგვარად არჩევანის საშუალება არ მაქვს. რაც შეეხება ნახევარდაცვას და თავდასხმას, ამ მხრივ მიმაჩნია, რომ პრობლემები არ გვაქვს.

**— შესარჩევი ციკლის განახლებამდე დარჩენილ პერიოდს როგორ გამოიყენებთ?**

— კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით, ნავარაუდევია ნაკრების იტალიაში და ესპანეთში მომზადება, თუმცა საბოლოოდ გადაწყვეტილი ჯერ არაფერია.

**— და ბოლოს, საინტერესოა თქვენი, როგორც მთავარი მწვრთნელის აზრი. რა მიგაჩნიათ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყველაზე დიდი ნაკლად?**

— ჩვენი აქილევსის ქუსლი ფიზიკური მომზადებაა. ჩვენ ელემენტალური რამ, სწორად სირბილი არ ვიცით. შესაბამისად, მატჩის დროს ძალებს თანაბრად ვერ ვანაწილებთ, რასაც ხშირად სავალალო შედეგებამდე მივყავართ.

**პაატა ქვანტალიანი**

## მატარებელი დაიძრა

რკინიგზის დეპარტამენტი ერთობ ყურადღებიანი მამობილი გამოდგა თბილისის „ლოკომოტივისთვის". ქართული სარკინიგზო ტრანსპორტის შეფები თემურ მახარაძის გუნდსაც გვარიანად პატრონობენ და მთავარ მწვრთნელს ახალი ფეხბურთელების არჩევაში სრულ თავისუფლებასაც აძლევენ.

„ლოკომოტივს" უკვე შეუგულებია თავისთვის სასურველი მოთამაშეები, რომელთა ვინაობასაც მხოლოდ მოლაპარაკების შემდეგ გაამხელენ. ის კი ნათელია, რომ ზურაბ არჩვაძის დაბრუნება სურთ, რომელიც პირველ წრეში თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში თამაშობდა. „ლოკომოტივის" სურვილი არც ისე უსაფუძვლოა, რადგან არჩვაძე რკინიგზელთა გუნდის საკუთრებაა და იგი განათხოვრებული ჰყავდათ „დინამოში".

სიახლეა „ლოკომოტივის" მოსამზადებელ პროცესებშიც. რკინიგზის დეპარტამენტიდან გვაცნობეს, რომ ფორმდება ხელშეკრულება გრიგოლეთის ბაზასთან. ვინძლო რკინიგზელებმა მასაც მიაქციონ ყურადღება და ერთ დროს მშვენიერმა და კეთილმოწყობილმა ბაზამ ძველებური იერი დაიბრუნოს.

„ლოკომოტივი" შეკრებას იანვრისთვის გეგმავს. გუნდი 15 იანვარს შეიკრიბება ფეხბურთელები ჯერ თბილისში მოემზადებიან, მერე გრიგოლეთში და მეორე წრის დასაწყისს სად შეხვდებიან, ამას მოგვიანებით გადაწყვეტენ.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

## საპასუხისმგებლო თუ უპასუხისმგებლო

ფეხბურთის ფედერაციაში საკადრო ცვლილებები ჯერაც არ დასრულებულა. დღითიდღე იზრდება იმ ხალხის რიცხვიც, ვინც ქართულ ფეხბურთს სათავეშივე უნდა ემსახუროს.

წარსულში თელავის „კახეთის" ტექნიკური დირექტორი გია ძამუკაშვილი და ბოლო დროს „გურიას" მწვრთნელყოფილი, მანამდე კი „ივერიას" გამწვთრნელი მალხაზ ლაცაბიძე მომავალი კვირიდან ახალ საქმიანობას შეუდგებიან. მათ გვერდით იმუშავებს „არსენალის" ყოფილი მცველი გია ფირცხალავაც. სამწუხაროდ, ვერ გეტყვით, თუ რა ფუნქციები დაეკისრებათ ფედერაციაში ახალმისულთ — ისინი წინასწარ ვერაფერს ამბობენ გარდა იმისა, რომ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე იმუშავებენ. თუმცა ერთიც გაუგებრად გვრჩება დღემდე, უპასუხისმგებლო თანამდებობა რომელია.

**პაატა ქვანტალიანი**

## სად გეძებო, მითხარ, სადა ხარ!

მას შემდეგ, რაც სამტრედიის „იბერია" ბადრი ქორიძემ დატოვა, გუნდი მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩა და აგერ თვენახევარია, უთავკაცოდ ეწევა ჭაპანს. მთავარი მწვრთნელის არყოფნის გამო პირველი წრის ბოლოს „იბერიაში" სავარჯიშო პროცესიც ველარ ჩატარდა ძველებურად და ამან იმერელთა შედეგზეც იქონია გავლენა.

სამტრედიელთა მთავარი მწთვრთნელის ადგილი დღემდე ვაკანტურია. არადა, ვის არ შესთავაზა „იბერიის" პრეზიდენტმა ნუგზარ ნიკოლაიშვილმა თავისი გუნდის თავკაცობა. ვახტანგ კოპალეიშვილს, ანზორ გრძელიძეს, ჯონი ჯანელიძეს, ამირან მინაშვილს, ვალერიან ჩხარტიშვილს — თქვენც არ მოგვიკვდეთ, არც ერთმა მათგანმა არ ისურვა იმერეთს ჩაბრძანება.



სოსო ფრუიძე გუნდის მოლოდინშია

ბოლო ცნობების თანახმად, ნიკოლაიშვილს მორიგი კანდიდატურა შეუგულებია და ახლა ქუთაისის „ტორპედოს" ყოფილი მწვრთნელის სოსო ფრუიძის გადაბირებას ცდილობს. მისი სამტრედიაში ხილვის სურვილი დიდი კი ჰქონია „იბერიის" პრეზიდენტს, მაგრამ ჩავა ფრუიძე იქ?

არადა, ვითომ რატომაც არ უნდა ჩავიდეს? მწვრთნელია და უგუნდოდაა, „იბერიას" კი მისნაირი თავკაცის ხელი უნდა.

**კონსტანტინე გოგიშვილი**


Ayety TV

მრავალარხიანი საკაბელო ტელევიზია

პირველი სთავაზობს თბილისის მოსახლეობას საახალწლო საჩუქარს

პირველ 250 მსურველს ვთავაზობთ მონტაჟისა და 2 თვის სააბონენტო გადასახადის წინასაახალწლო ტარიფებს

უნივერსალური პაკეტი - 40 ლარი - 76-ის ნაცვლად (12 არხი)
სტანდარტული პაკეტი - 60 ლარი - 90-ის ნაცვლად (14 არხი)
პრემიალური პაკეტი - 80 ლარი - 106-ის ნაცვლად (20 არხი)
ელიტარული პაკეტი - 100 ლარი - 120-ის ნაცვლად (22 არხი)

გაუკეთეთ თქვენს ოჯახს საახალწლო საჩუქარი ამ ფასად

93 47 33 ☎ 92 12 66

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სისტემამ ხელი გამოიღეს



REUTERS

მონპელიე — მარსელი. ფლორიან მორისის ამ გოლმა „მარსელს" პირველობა დაუბრუნა

## საფრანგეთი

XIX ტური

**ოსერი 3:1 ბორდო**

0:1 ლასლანდი (1), 1:1, 2:1 მარლე (56, 66), 3:1 დენიო (73)

**მონპელიე 0:1 მარსელი**

0:1 მორისი (41)

**ნანტი 2:0 ნანსი**

1:0 ფაბრი (39), 2:0 და როშა (52)

**მონაკო 1:1 ტულუზი**

1:0 კონჯიჩი (67), 1:1 მალმი (83)

**ლანსი 1:1 სოშო**

0:1 ფლაშესი (26), 1:1 ნუმა (44)

**ლიონი 2:2 ლორიანი**

0:1 პედრონი (26), 0:2 ლოკო (32), 1:2 ფიშერი (48 ს.კ.), 2:2 ლინარესი (81)

**ლე ავრი 2:0 რენი**

1:0 ვაისერი (9 ს.კ.), 2:0 ნალისი (52)

**პსჟ 0:0 სტრასბური**

**მეცი 4:0 ბასტია**

1:0, 2:0, 3:0 იესტროვიჩი (13, 58, 59), 4:0 ლუკიჩი (70პ)

სამშაბათს ოსერში ჩასულმა ბორდოელებმა ლიდერობა „მარსელს" გადაულოცეს. სტუმრებს რომ არ წაეგოთ, პირველი პოზიცია ეგებ ერთი დღით კიდევ შეენარჩუნებინათ, მაგრამ მასპინძლებისგან სამი გოლი გაუშვეს და „მარსელთან" თანაბარქულიანებმა ერთი ადგილით ჩაინაცვლეს. „ბორდოს" გატანილი და გაშვებული ბურთების ბალანსი „მარსელზე" უარესი აღმოაჩნდა.

„ბორდო" ოსერელთა განაპირა თავდამსხმელმა სტივ მარლემ დაღუპა — გარდა იმისა, რომ მან ორი გოლი გაუტანა სტუმრებს, მესამე ბურთი დენიომ მას შემდეგ შეაგდო, რაც მარლესგან პასი მიიღო. მიუხედავად გამარჯვებისა, ისიც უნდა ითქვას, რომ მასპინძლები თავდაპირველად მდევრის როლში იყვნენ.

თამაში ის-ის იყო, დაიწყო, რომ ექსოსერელი ლილიან ლასლანდი მასპინძელთა საჯარიმოში შეიჭრა და დაიქუხა — 0:1. სხვათა შორის, ოსერელი ქომაგები, როგორც კი ლასლანდი ბურთს მიიღებდა, ყურისწამღებ სტვენას ტეხდნენ. თუ ქომაგობამ ბორდოელთა თავდამსხმელი პირველ შემთხვევაში ვერ დააბნია, დანარჩენ მომენტებში ლასლანდი მასპინძელ უკანახაზელებს ვერას აკლებდა. ცნობისთვის: ლილან ლასლანდს „ოსერის" შემადგენლობაში 47 გოლი აქვს გატანილი.

ბორდოელები კი დამარცხდნენ, მაგრამ ფეხბურთელებს რამდენიმე ეპიზოდში უფრო გამიზნულად რომ ეთამაშათ, ოსერიდან სამს თუ არა, ქულას მაინც წაიღებდნენ. ორჯერ ლასლანდს, თითოჯერ კი ნახევარმცველ იოან მიკუს და სილვენ ვილტორდს არ გაუმართლათ. ამ უკანასკნელს „ბორდოს" დაწინაურება მარლეს პირველი გოლისთანავე შეეძლო, მაგრამ ხელი მოეცარა.

— მეტოქე ძლიერია, მაგრამ სადმე ყველა კარგი გუნდი მარცხდება. „ოსერი" დღესდღეობით არაა „ბორდოს" მჯობნი. მე გრძელვადიან ტურნირებს ვგულისხმობ, მაგრამ ჩემს გუნდს მუდამ შესწევს ძალა, ერთ კონკრეტულ შეხვედრაში უძლიერესი მეტოქე დაამარცხოს — „ოსერის" ვეტერანმა მწვრთნელმა გი რუმ მეტოქე საქებარი სიტყვებით შეამკო.

სხვათა შორის, „ოსერი" ცხრა მატჩია, შინ არ დამარცხებულა.

თუ „ბორდო" დაქვეითდა, პირველ ადგილზე „მარსელმა" აინაცვლა. როლან კურბისის გუნდი ჩემპიონატის დაწყების დღიდანვე პირველი ადგილის პრეტენდენტი იყო და თითქმის პირველობის ნახევარი რომ გაილია, სწადელს, როგორც იქნა, მიაღწია. „მარსელი" საფრანგეთის ჩემპიონატის ლიდერად სამშაბათს, „ბორდოს" მარცხისთანავე იქცა, ანუ მაშინ, როცა მე-19 ტურის მატჩი ნათამაშევი არ ჰქონდა. მეორე დღეს ზღვისპირელებმა პირველ და მეორეადგილოსანთა შორის სხვაობა სამ ქულამდე გაზარდეს.

აგვისტოში, როცა „მონპელიე" „ველოდრომზე" დაუპირისპირდა მარსელელებს, მეტად თვალსასიერო თამაში გაჩაღდა — სტუმრები „მარსელს" პირველი ნახევრის მერე 4:0 ამარცხებდნენ, მაგრამ მეორე ტაიმში სასწაული მოხდა. „მარსელმა" არც მეტი, არც ნაკლები, ხუთი ბურთის გატანა შესძლო და 5:4 მოიგო.

ამჯერად მონპელიეში მსგავსი რამ არ განმეორებულა — თავდამსხმელმა ფლორიან მორისმა შესვენებამდე რამდენიმე წუთით ადრე მატჩში ერთადერთი გოლი გაიტანა.

— დარწმუნებული ვარ, ჩვენ შევძლებთ ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას. „მარსელი" ნამდვილად კარგი გუნდია, უდავოდ ღირსია ტიტულისა და ამასთანავე დღესდღეობით საფრანგეთის კლუბებს შორის ყველაზე ძლიერია — როლან კურბისი, გამარჯვებულთა მწვრთნელი, ოპტიმისტურად ლაპარაკობდა.

პირველობისთვის ბრძოლა, ალბათ, სწორედ „მარსელისა" და „ბორდოს" შორის წარიმართება. პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ კურბისის თქმისა არ იყოს, „მარსელი", ისევე, როგორც „ბორდო", დღესდღეობით საფრანგეთის უძლიერეს კლუბებში არიან. მათ ახასიათებთ შესაშინავი გუნდური თამაში და სტაბილურობა. ეს კი წარმატების უპირველესი გარანტი რომაა, ყველას მოეხსენება. თანაც, ზემოთქმულის სისწორეში ძალიან იოლად დავრწმუნდებით — „მარსელი" და „ბორდო", ანუ პირველ და მეორე ადგილზე მყოფი გუნდები, მდევრებს მინიმუმ ათი ქულით უსწრებენ.

მეცხრამეტე ტურის დანარჩენი შეხვედრებიდან რამდენიმე მატჩია აღსანიშნავი. მოვლენებს თანმიმდევრობით მივყვეთ.

„მონაკო", ჩემპიონთა თასის ნახევარფინალისტი კლუბი, პირველობის ერთ-ერთი აუტსაიდერ, ქალაქ ტულუზის ამავე სახელწოდების გუნდს მასპინძლობდა. „მონაკომ", როგორც მოსალოდნელი იყო, პირველმა გახსნა ანგარიში, მაგრამ ლიდერობა დიდხანს ვერ შეინარჩუნა, სტუმართა შუახაზელ მალმს გოლის გატანაში ხელი ვერ შეუშალა და შესაბამისად, „ტულუზს" შინ ქულა გაატანა.

საფრანგეთის ბოლო წლების ერთ-ერთი უძლიერესი კლუბი, მაგრამ წლევანდელ სეზონში ერთობ ცუდად მოთამაშე „პარი სენ ჟერმენი" „სტარსბურს" მასპინძლობდა. პარიზელები ყველანაირად ეცადნენ, მაგრამ გოლი ვერა და ვერ გაიტანეს. სხვათა შორის, მათ მეტოქის კარის დალაშქვრა აგერ უკვე ზედიზედ მეოთხე შეხვედრაში ვერ მოახერხეს, არადა, მანამდე სამ მატჩში რვა ბურთი შეაგდეს.

გამოსწორებულმა „ნანტმა" ამჯერად თითქმის სეხნია „ნანსი" შეიწირა და კიდევ უფრო წინ წაიწია.

საფრანგეთის გასული ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორ „მეცს" სწორედ იმ დღეს, როდესაც „ბორდო" ოსერში მარცხდებოდა, კორსიკული „ბასტიას" კარში ოთხი უპასუხო გოლი გაჰქონდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარსელი | 19 | 13 | 5 | 1 | 35:13 | 44 |
| ბორდო | 19 | 13 | 2 | 4 | 37:17 | 41 |
| რენი | 19 | 9 | 4 | 6 | 24:23 | 31 |
| ნანტი | 19 | 8 | 6 | 5 | 26:21 | 30 |
| ლიონი | 19 | 7 | 8 | 4 | 25:19 | 29 |
| მონაკო | 18 | 8 | 4 | 6 | 27:18 | 28 |
| ოსერი | 19 | 7 | 6 | 6 | 24:23 | 27 |
| ბასტია | 19 | 8 | 2 | 9 | 24:24 | 26 |
| პსჟ | 19 | 6 | 7 | 6 | 18:15 | 25 |
| ლანსი | 19 | 7 | 4 | 8 | 27:25 | 25 |
| მონპელიე | 19 | 7 | 3 | 9 | 32:32 | 24 |
| სტარსბური | 19 | 5 | 8 | 6 | 16:20 | 23 |
| მეცი | 19 | 5 | 7 | 7 | 18:22 | 22 |
| ნანსი | 19 | 5 | 6 | 8 | 18:25 | 21 |
| ლე ავრი | 19 | 4 | 6 | 9 | 14:24 | 18 |
| ლორიანი | 19 | 3 | 7 | 9 | 15:27 | 16 |
| ტულუზი | 19 | 2 | 9 | 8 | 12:26 | 15 |
| სოშო | 18 | 3 | 6 | 9 | 15:33 | 15 |

## გერმანია

გამოტოვებული მატჩები

**გლადბახი 0:2 ბაიერნი**

0:1, 0:2 ეფენბერგი (2, 27პ)

მიონხენგლადბახი: ენკე, ასანინი, ანდერსონი, კლინკერტი, აიხინი (ანაგნოსტოუ 68), მ.შნაიდერი, ჰაუსვაილერი, კეტელაერი, პფლიპსენი, პეტერსონი, პოლსტერი (ფელდჰოფი 52)

ბაიერნი: კანი, ლინკე, იერემისი (ჰელმერი 72), კუფური, შტრუნცი, ფინკი, ეფენბერგი, ბასლერი (ბუგერა 78), ტარნატი, იანკერი (სალიჰამიჯიჩი 68), ელბერი

გაფრთხილება: კეტელაერი, პეტერსონი, იერემისი

მსაჯი: კრუგი

**დუისბურგი 3:1 ლაუტერნი**

0:1 როსლერი (41), 1:1 ბაიერლე (49), 2:1 ტიოფტინგი (64), 3:1 ანდერსენი (90)

დუისბურგი: სტაუჩე, კომლიენოვიჩი, ემერლინგი, ვოლტერსი, ვოლერტი, ჰაიტო, ნოიინი, ჰირში, ტიოფტინგი (ჰოერსენი 75), ბაიერლე (ვედაუ 90), ოსტჰოფი (ანდერსენი 81)

კაიზერსლაუტერნი: რაინკე, სფორცა, როოსი, კოხი, რამზი, რიდლი (ჰრუტკა 68), ჟუნიორი (ბალაკი 66), რაიხი, ხრისტოვი, როსლერი (რიშე 57), მარშალი

გაფრთხილება: ემერლინგი, ჰაიტო, ჰირში, ვოლტერსი, ბალაკი, რამზი

მსაჯი: ფანდელი

„ბაიერნმა" თერთმეტწლიანი შესვენების შემდეგ მიონხენგლადბახში „ბორუსიას" მოუგო. მიუნხენელებმა ოთხშაბათს ნავსი გატეხეს — შტეფან ეფენბერგის მიერ გატანილი ორი გოლის წყალობით 2:0 დაამარცხეს მეტოქე. სხვათა შორის, ეფენბერგი რამდენიმე თვის წინ სწორედ „მიონხენგლადბახის" ღირსებას იცავდა. სეზონის წინ კი „ეფე" „ბაიერნში" გადავიდა და... პირველი შვიდი ტურის შემდეგ ბავარიელებს შვიდი მოგება ჰქონდათ, რაც მნიშვნელოვანწილად „ეფეს" დამსახურება გახლდათ. ამის შემდეგ „ბაიერნმა", ისევე როგორც ეფენბერგმა, თამაშს უკლო. ბუნდესლიგაში ორჯერ დამარცხდა და ლიდერობაც „ლევერკუზენს" გადაულოცა, თუმც ერთი კვირით. წინა ტურში „ბაიერნმა" კრისტოფ დაუმის გუნდი დაამარცხა და დროებით დაკარგული პირველი ადგილი დაიბრუნა. იმ თამაშში ეფენბერგს თავი არაფრით გამოუჩენია, ახლა კი...

მეორე წუთზევე მიუნხენელთა შეტევა ეფენბერგმა ძლიერი და ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა და თავისიანები დააწინაურა. 27-ე წუთზე ასანინმა საჯარიმოში შეჭრილი შტრუნცი წააქცია და პენალტიც დაიმსახურა. ეფენბერგმა თერთმეტი მეტრიდან უნაკლოდ დაარტყა — 2:0. მიუხედავად იმისა, რომ „ბაიერნს" სამი წამყვანი მცველი — მათეუსი, ბაბელი და ლიზარასუ აკლდათ, გლადბახელებს სახიფათო მომენტის შექმნა უჭირდათ. ტაიმის მიწურულს პფლიპსენმა დაარტყა შორიდან, მაგრამ კანმა იმარჯვა. 52-ე წუთზე მასპინძელთა თავკაცმა რაინერ ბონჰოფმა მინდვრიდან გუნდის საუკეთესო ფეხბურთელი, ავსტრიელი ტონი პოლსტერი გაიყვანა და ამით გულშემატკივართა გულისწყრომა გამოიწვია. თავად პოლსტერმა უკმაყოფილება საჯაროდაც გამოხატა.



გლადბახი — ბაიერნი. შტეფან ეფენბერგმა (მარჯვნივ) ყოფილი თანაგუნდელები არ დაინდო

მეორე ნახევარში „მიონხენგლადბახი" სტუმართა კარს ერთხელაც რა დამუქრებია სახიფათოდ. „ბაიერნს" კი მესამე გოლის გატანის რამდენიმე კარგი შესაძლებლობა მიეცა, მაგრამ იანკერმა, ელბერმა და ბასლერმა მასპინძლები დაინდეს.

ამ გამარჯვების შემდეგ „ბაიერნმა" მეორე ადგილზე მყოფ „ლევერკუზენთან" ქულათა სხვაობა ექვსამდე გაზარდა.

მეორე გადადებულ მატჩში ქვეყნის ჩემპიონი „კაიზერსლაუტერნი" სტუმრად „დუისბურგთან" 1:3 დამარცხდა და შვიდმატჩიანი მოგების სერია შეწყვიტა. არადა, პირველი ტაიმი ოტო რეჰაგელის შეგირდებმა 1:0 მოიგეს. ბურთი 41-ე წუთზე კოხის პასით როსლერმა შეაგდო. „ლაუტერნს" მანამდეც შეეძლო გატანა, 26-ე წუთზე რაიხის დარტყმა ძელმა მოიგერია, ხუთიოდე წუთის შემდეგ მარშალისა კი — „დუისბურგის" ლიტველმა მეკარემ გინდარას სტაუჩემ.

მთავარი ამბები მეორე ტაიმში დატრიალდა. 48-ე წუთზე სტუმართა მეკარე რაინკემ უხეში შეცდომა დაუშვა, ალებული ბურთი გაუვარდა, რაც ბაიერლემ კარგად გამოიყენა და ახლიდან ანგარიში გაათანაბრა. 64-ე წუთზე „დუისბურგის" დანიელმა ლეგიონერმა ტიოფტინგმა თავურით მასპინძლები წინ გაიყვანა. მატჩს წერტილი კი ტიოფტინგის თანამემამულე ერიკ ბო ანდერსენმა დაუსვა — ვალტერსის ფლანგური გარღვევა ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა.

ვანო ოქრობირიძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 17 | 13 | 2 | 2 | 40:13 | 41 |
| ლევერკუზენი | 17 | 10 | 5 | 2 | 39:17 | 35 |
| ლაუტერნი | 17 | 10 | 3 | 4 | 28:27 | 33 |
| მიუნხენ 1860 | 17 | 9 | 4 | 4 | 31:23 | 31 |
| ჰერტა | 17 | 9 | 2 | 6 | 25:17 | 29 |
| ვოლფსბურგი | 17 | 7 | 6 | 4 | 34:25 | 27 |
| დორტმუნდი | 17 | 7 | 5 | 5 | 25:18 | 26 |
| შტუტგარტი | 17 | 5 | 6 | 6 | 23:22 | 21 |
| ფრაიბურგი | 17 | 5 | 6 | 6 | 20:22 | 21 |
| ჰამბურგი | 17 | 5 | 6 | 6 | 21:23 | 21 |
| ვერდერი | 17 | 5 | 5 | 7 | 25:24 | 20 |
| დუისბურგი | 17 | 4 | 6 | 7 | 20:29 | 18 |
| შალკე 04 | 17 | 4 | 6 | 7 | 19:29 | 18 |
| ბოხუმი | 17 | 5 | 3 | 9 | 21:32 | 18 |
| აინტრახტი | 17 | 4 | 4 | 9 | 21:29 | 16 |
| ჰანზა | 17 | 3 | 6 | 8 | 25:33 | 15 |
| ნიურნბერგი | 17 | 2 | 9 | 6 | 20:31 | 15 |
| გლადბახი | 17 | 2 | 4 | 11 | 20:43 | 10 |

## ინგლისი

გამოტოვებული მატჩი

**მანჩესტერი 1:1 ჩელსი**

1:0 კოული (45), 1:1 ძოლა (83)

მანჩესტერი: შმაიხელი, გ. ნევილი, ირვინი, სტამი, ბათი, კოული, ბლომკვისტი (გიგზი 80), კინი, სქოულზი (შერინგემი 84), ბრაუნი, იორკი (ბექემი 60)

ჩელსი: დე გუი, პეტრესკუ, ბაბაიარო, უაიზი, დიუბერი, ლე სო (პოიეტი 44), დი მატეო, ფერერი, ფლო, ლამბურდი, ძოლა

გაფრთხილება: ბრაუნი, გ. ნევილი, ლამბურდი, უაიზი, პეტრესკუ, ფერერი, დი მატეო

მსაჯი: ბარბერი

შეხვედრის პირველი ტაიმი ძირითადად ლონდონელთა ნახევარზე მიმდინარეობდა. დე გუის კარის დალაშქვრა ენდი კოულს, იაპ სტამს და დუაიტ იორკს შეეძლოთ, მაგრამ „ჩელსის" უმართლებდა. უმართლებდა 45-ე წუთამდე, სანამ კოულმა ანგარიში არ გახსნა.

მეორე ნახევარში ვიალის ბიჭებმა მდგომარეობა გამოასწორეს, თუმცა შეტევის დაგვირგვინება უჭირდათ. მატჩი უეჭველად 1:0 დასრულდებოდა, კვლავ ძოლას რომ არ ეყოჩაღა — 83-ე წუთზე მან შმაიხელს აუღებელი დაურტყა, თავისიანებს ქულა მოუტანა, ხოლო „ვილას" ლიდერობა შეუნარჩუნა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასტონ ვილა | 17 | 9 | 6 | 2 | 27:17 | 33 |
| მანჩესტერი | 17 | 8 | 7 | 2 | 34:20 | 31 |
| ჩელსი | 17 | 7 | 9 | 1 | 27:17 | 30 |
| ლიდსი | 17 | 7 | 8 | 2 | 28:14 | 29 |
| მიდლსბრო | 17 | 6 | 9 | 2 | 27:19 | 27 |
| არსენალი | 17 | 6 | 8 | 3 | 17:10 | 26 |
| ვესტ ჰემი | 17 | 7 | 5 | 5 | 20:21 | 26 |
| უიმბლდონი | 17 | 7 | 5 | 5 | 22:26 | 26 |
| ლესტერი | 17 | 6 | 6 | 5 | 21:19 | 24 |
| დერბი | 17 | 5 | 8 | 4 | 17:16 | 23 |
| ტოტენჰემი | 17 | 6 | 5 | 6 | 23:26 | 23 |
| ლივერპული | 17 | 6 | 4 | 7 | 27:22 | 22 |
| შეფილდი | 17 | 6 | 4 | 7 | 20:17 | 22 |
| ევერტონი | 17 | 5 | 7 | 5 | 11:15 | 22 |
| ნიუკასლი | 17 | 5 | 6 | 6 | 21:21 | 21 |
| ჩარლტონი | 17 | 3 | 7 | 7 | 22:27 | 16 |
| ქოვენთრი | 17 | 4 | 3 | 10 | 14:25 | 15 |
| ბლექბერნი | 17 | 3 | 4 | 10 | 15:24 | 13 |
| ნოტინგემი | 17 | 2 | 5 | 10 | 15:30 | 11 |
| საუთჰემპტონი | 17 | 2 | 4 | 11 | 12:34 | 10 |

## ჰოლანდია

გამოტოვებული მატჩები

**ბრედა 2:3 კამბური**

0:1 ბერალტერი (24), 0:2 ჰენდრიკსენი (45), 1:2 არველაძე (63პ), 2:2 მილჩიჩი (81), 2:3 რისვიკი (89)

**როდა 2:0 ტვენტე**

1:0 ვან უდტი (53), 2:0 ნიგაარდი (57)

**ნაიმეგენი 1:1 ვალვაიკი**

1:0 პოტპუიზენი (17), 1:1 დე გრაეფი (42)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 15 | 12 | 2 | 1 | 35:13 | 38 |
| ვიტესი | 16 | 10 | 2 | 4 | 33:22 | 32 |
| აიაქსი | 17 | 9 | 5 | 3 | 35:15 | 32 |
| ჰერენვენი | 16 | 9 | 4 | 3 | 27:18 | 31 |
| როდა | 17 | 9 | 3 | 5 | 27:19 | 30 |
| ტვენტე | 17 | 8 | 5 | 4 | 27:20 | 29 |
| ეინდჰოვენი | 17 | 7 | 6 | 4 | 41:31 | 27 |
| ნაიმეგენი | 17 | 7 | 6 | 4 | 28:23 | 27 |
| ალკმაარი | 17 | 5 | 9 | 3 | 23:22 | 24 |
| ტილბურგი | 17 | 6 | 4 | 7 | 30:34 | 22 |
| უტრეხტი | 17 | 6 | 4 | 7 | 28:30 | 22 |
| კამბური | 19 | 5 | 6 | 8 | 22:34 | 21 |
| მაასტრიხტი | 17 | 5 | 3 | 9 | 19:28 | 18 |
| გრააფსხაპი | 17 | 3 | 8 | 6 | 18:28 | 17 |
| სიტარდი | 17 | 3 | 4 | 10 | 16:32 | 13 |
| სპარტა | 17 | 3 | 3 | 11 | 17:33 | 12 |
| ბრედა | 15 | 2 | 4 | 9 | 20:28 | 10 |
| ვალვაიკი | 17 | 1 | 4 | 12 | 19:35 | 7 |

## შოტლანდია

გამოტოვებული მატჩი

**მოზერველი 2:1 დანდი**

1:0 კოილი (35), 1:1 ადამჩუკი (37), 2:1 მაკმილანი (77)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 17 | 10 | 4 | 3 | 31:14 | 34 |
| კილმარნოკი | 18 | 8 | 7 | 3 | 25:11 | 31 |
| სელტიკი | 18 | 7 | 6 | 5 | 34:20 | 27 |
| სტ. ჯონსტონი | 18 | 6 | 8 | 4 | 21:24 | 26 |
| ჰართსი | 18 | 6 | 5 | 7 | 19:23 | 23 |
| მოზერველი | 18 | 5 | 7 | 6 | 16:24 | 22 |
| დანდი | 17 | 5 | 5 | 7 | 16:23 | 20 |
| დანდი იუნ. | 18 | 4 | 7 | 7 | 18:20 | 19 |
| აბერდინი | 18 | 4 | 5 | 9 | 17:28 | 17 |
| დანფერმლაინი | 18 | 2 | 10 | 6 | 15:25 | 16 |

# მაგისტრატურის იერიში

იტალიური დოპინგ-სკანდალის გამოძიება ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ყოფილ პრეზიდენტს, ანტონიო მატარეზეს მიადგა.

სააგენტო ANSA-ს ცნობით მატარეზე, ფიფასა და უეფას ყოფილ ვიცე-პრეზიდენტი, რომელიც თანამდებობიდან 1996 წელს გადადგა (იგი ლუჩანო ნიცოლამ შეცვალა), ეჭვის თანახმად ხელს აფარებდა დოპინგ-ტესტებზე გამომჟღავნებულ ფეხბურთელებს.

გამომძიებლები მატარეზეს კვალს ექვსთვიანი მუშაობის შემდეგ დაადგნენ.

მატარეზეს დღეშია იტალიის ანტისადოპინგო კომისიის ყოფილი შეფი კარლო ტრანკილიც. მეტიც, თავად ლუჩანო ნიცოლამ განაცხადა, რომ მაგისტრები, ვინჩენცო როსელი და სილვერიო პირო ალბათ უახლოეს მომავალში მასაც გამოიძახებენ დაკითხვაზე.

მატარეზემ ეჭვს თავიდან ორინია დაუპირისპირა. „ჩვენს ქვეყანაში ასეთ საქმეებს უწინ პრემიერმინისტრებს და იუსტიციის მინისტრებს გამოუქქავდნენ ხოლმე, ახლა კი ფეხბურთამდე დაცემულან“ — თქვა მან.

სიმბოლური გახლდათ, რომ დაკითხვაზე გამოძახების ბარათი მატარეზეს ოთხშაბათს, ოლიმპიურ სტადიონზე გადასცეს, სადაც იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ასი წლისთავთან დაკავშირებული საზეიმო მატჩი „სკუადერა აძურა“ მსოფლიოს ნაკრების წინაალმდეგ მიმდინარეობდა ამ ამბავმა მნიშვნელოვან პირთა ლოჟაში დიდი აღშფოთება გამოიწვია.

„ავის გასაკეთებლად ძალიან უცნაური დღე აურჩევიათ“ — გაოცდა და განრისხდა მატარეზე. — „ეს შეურაცხმყოფელია, დაუჯერებელია, ლოგიკას არ ექვემდებარება. მე მაგისტრატურას პატივს ვცემ, მაგრამ როდესაც ასეთი რალაცეები ხდება, არც კი ვიცი რა ვიფიქრო. დაახლოებითაც არ მესმის რაში მდებენ ბრალს, ნეტავ რა დავაშავე? კრიმინალური კავშირი მქონდა ექიმებთან და ფეხბურთელებთან? რაში მჭირდებოდა? ვერაფერი გამიგია, მგონი ცუდ სიზმარს ვხედავ“

მატარეზემ განაგრძო: „ძალიან ვწუხვარ, რომ ნიცოლას მოწყობილ დღესასწაულზე ასეთი რამ მოხდა. მე მას ვესაუბრე. ნირწამხდარი გახლდათ და გავამხნევე.

ოთხშაბათ საღამოს მატარეზემ რადიოთიც ილაპარაკა. რადიოინტერვიუში მან



სარბიელის არქივიდან

ანტონიო მატარეზე.

უკვე მაგისტრატურის წინაალმდეგ სარჩელის შეტანაზე ილაპარაკა. იქნებ ვიჩივლოთ კიდეც, რადგან ღირსება შემილახეს.

კომენტარი სთხოვეს ლუჩანო ნიცოლასაც.

„დღეს ჩემთვის არავის უთქვამს, ეჭვმიტანილი ხარო. ალბათ იმიტომ, რომ 600 სტუმარი მყავდა და ფედერაციის ოფისში არ ვიყავი, მაგრამ რაკილა ასეთი რამ მატარეზეს აკადრეს, მალე ჩემთანაც მოვლენ. დღევანდელ მგდომარეობაში კაცს აღარაფერი უნდა გაგიკვირედს“ — ბრძანა პრეზიდენტმა.

„პატივცემული ადამიანი გახლავართ და არაფრის მეშინია“ — დასძინა მან — „მთელი ჩემი ცხოვრება კანონების შესაბამისად ვმოქმედებ და იტალიური სამართლის მწამს. ნუ დაგავიწყდებათ, რომ 40 წლის განმავლობაში ვექილი ვიყავი. ჩემ სახელს თუ ახსენებენ და ვიგრძნობ, რომ ეს დოპინგთან არის დაკავშირებული, მივალ მაგისტრატურაში და რაც ვიცი, მოვუყვები. პატიოსან ადამიანს შიშის საბაბი არასდროს აქვს“.

მოგეხსენებათ რომის გარეუბანში. მდებარე აკვა აკეტობას ლაბორატორია, რომელიც წლების განმავლობაში ფეხბურთელებს ტესტებს უტარებდა, დოპინგ-სკანდალის დაწყების შემდეგ დაიხურა.

# ბუუ ბიჭი

ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში „მანჩესტერ იუნაიტედი“ „ინტერს“ შეხვდება. საყოველთაო აღიარებით ეს იქნება ყველაზე ლამაზი ბრძოლა და... დევიდ ბექემი ისევ დიეგო სიმეონეს დაუპირისპირდება.

ეს ფეხბურთელები ზაფხულზე, მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალშიც შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინ სიმეონემ ბექემი წააქცია. გაწოლილმა ბექემმა არგენტინელს წიხლი ჰკრა. მსაჯმა ინგლისელი მოედნიდან გააძევა. მისი გუნდი 10 კაცით დარჩა მოედანზე და თამაშმა ნირი იცვალა.

ინგლისელმა ქომაგებმა ნაკრების მარცხში 23 წლის ბექემი დაადანაშაულეს. ქვეყნის სტადიონებზე მისი ყოველი გამოჩენა სტვენას და ცნობილ ინგლისურ „ბუუუ-ს“ იწვევდა.

დევიდ ბექემი „ბუუ“ ბიჭი გახდა.

„გულშემატკივრები იმიტომ ვერ მიტანენ, რომ შურთ ჩემი, ისინი ხედავენ, რომ კარგი ფეხბურთელი ვარ, „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და ინგლისის ნაკრებში ღირსეულად ვთამაშობ, ცხოვრებაშიც ბედნიერი გახლავართ, ვიღიმები... ამიტომ მათი „ბუუ“ ჩემი დამსახურების აღიარებაა“.

ბექემი ამბობს, რომ იგი ყველაზე მეტად „იუნაიტედის“ გულშემატკივრებს ემადლიერება, მათ მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაწვნევი გადაატანინეს.

„ისინი მამხნევებდნენ. უამრავი წერილი მივიღე. გაზეთები წერდნენ, თითქოს უცხოეთში გადაბარგებას ვაპირებდი, არადა, „იუნაიტედის“ დატოვება გულში არ გამივლია. ფანები და მწვრთნელი კი ისე მომექცენ, რომ მართლა წასვლა რომ მდომოდა, აღარ წავიდოდი. გულახდილად რომ გითხრათ, არ მეგონა არგენტინასთან თამაშის დროს მომხდარი ინციდენტი ასეთ ცუდ დღეში თუ ჩამაგდებდა. იძულებული შევიქენი ინგლისს გავრიდებოდი და ნიუ იორკს მივაშურე, თუმცა ჩემს შინ დარჩენილ მშობლებს ძალიან გაუჭირდათ. სახლს გარეთ მათ 28 ფოტორეპორტიორი დარაჯობდა“.

როდესაც ბექემი ნიუ იორკიდან მანჩესტერში დაბრუნდა და ვარჯიშისკენ გასწია, პოლიციამ საგანგებო დაცვა გამოუყო. მაშინ დევიდს ყოფილმა ფეხბურთელმა, რეი უილკინსმაც დაურეკა. მას კარგად ესმოდა ბექემის, რადგან 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე თავად გააძევეს მოედნიდან.

უამრავმა ადამიანმა მითხრა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის მერე უსამართლოდ მექცეოდნენ. მართლაც ასე იყო, მაგრამ რა უნდა მეღონა?“ — იგონებს ბექემი.




სარბიელის არქივიდან

ბექემმა არგენტინელს წიხლი ჰკრა და მსაჯმა ინგლისელი მოედნიდან გააძევა

**იტალია 6:2 მსოფლიოს ნაკრები**

1:0 ინძაგი (9), 1:1 ბატისტუტა (20), 1:2 ვეა (22), 2:2 დი ფრანჩესკო (36), 3:2 ფუზერი (40), 4:2, 5:2, 6:2 კიეზა (56, 79, 85)

იტალია: პერუცი (ბუფონი 45), პანუჩი, კანავარო (ტორიჩელი 45), ნესტა (ნეგრო 39), მალდინი (პესოტო 54), ფუზერი, დ. ბაჯო (ტომაზი 45), ალბერტინი (კოისი 45), დი ფრანჩესკო (ბაკინი 45), ინძაგი (დელვეკიო 45), ტოტი (კიეზა 54)

მსოფლიოს ნაკრები: პალიუკა (შორუმნუ 45), ზე მარია, დუნგა (ჟოაუ პინტუ 65), იერო (ნაკატა 55), ნიატი, ვინტერი (გერერო 45), რუი კოშტა (სალასი 55), ზიდანი (ერნანდესი 45), ვეა, რონალდო (შუკერი 31), ბატისტუტა (ბირჰოფი 45)

# ვარსკვლავთცვენა რომში

რომში საუცხოო სანახაობა შედგა — იტალიის ნაკრები მსოფლიოს ნაკრებს დაუპირისპირდა. პლანეტის რჩეულნი სხვადასხვა გუნდების ამხანაგურ მატჩებში აქამდეც ხშირად დაპირისპირებიან, მაგრამ რომში, სადაც იტალიური ფეხბურთის ასი წლისთავს ზეიმობდნენ, „სკუადრა აძურას“ ნამდვილად მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელების გუნდი შეეჭიდა.

ასეთებად დღესდღეობით გაბრიელ ბატისტუტა, რონალდო, ზინედინ ზიდანი, ფერნანდო იერო, ჟორჟ ვეა, მარსელო სალასი, ოლივერ ბირჰოფი და კიდევ სხვები არიან აღიარებულნი. თავის მხრივ, დინო ძოფის ბიჭებიც არ იყვნენ ჯაბანნი, ყველაფერმა ამან კი განაპირობა ის, რომ დიდებული ორთაბრძოლა ვიხილეთ.

6:2 ასეთი მატჩისთვის ცოტა უცნაური ანგარიშია, მაგრამ არა მიუღებელი. რომის ოლიმპიურ სტადიონზე შეკრებილმა „ტიფოზებმა“ მიიღეს ის, რასაც ელოდნენ, ანუ ისიამოვნეს ფეხბურთით.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ იტალიის ფეხბურთის საუკუნოვანი იუბილე ბრწყინვალედ აღინიშნა, ოღონდ ეგაა, ოთხშაბათ დილით რომში მომხდარმა ტრაგედიამ, ცოტა არ იყოს, გააუფერულა ზეიმი.

რაც შეეხება კონკრეტულად თამაშს, პირველი ტაიმი გაცილებით ლამაზი გამოდგა, ვიდრე მეორე განსაკუთრებით ბატისტუტა-ზიდანი-რონალდო-ვეას ოთხეული იყო აღსანიშნავი.



**ესპანურ „ბარსელონას“** ბოლო დროის წარუმატებლობათა შემდეგ გამარჯვება სჭირდებოდა. ბარსელონელებმა სწორედ ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის მიზნით მიიწვიეს ქალაქ კადისში ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა“ და 4:1 მოუგეს. მასპინძელთაგან სამი გოლი ჰოლანდიელებმა, ფილიპ კოკუმ, პატრიკ კლუივერტმა და ბუდევინ ზენდენმა გაიტანეს, მეოთხე კი ოსკარ გარსიამ პენალტით შეაგდო. ამ შეხვედრას წინ უსწრებდა კატალონიის დედაქალაქში ჩატარებული რეფერენდუმი, რომელშიც გულშემატკივრებმა მიიღეს მონაწილეობა. გამოკითხულთა 93-მა პროცენტმა გუნდის მწვრთნელის, ლუის ვან გაალის გადადგომა მოითხოვა. ბარსელონის მოსახლეობის ნახევარი დღევანდელ ჩავარდნას მთლიანად ვან გაალს აბრალებს, მასამედზე მეტი კი კლუბის პრეზიდენტის, ხოსე ლუის ნუნიესის დანაშაულზეც ლაპარაკობს. საინტერესოა, რომ რეფერენდუმის მონაწილეთა 41-მა პროცენტმა „კამპ ნოუზე“ ცნოილი იოჰან კრუიფის დაბრუნება მოითხოვა.

**გერმანელი** ვარსკვლავი, 1996 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი მათიას ზამერი, „დორტმუნდის“ ახალი მწვრთნეის მიხაელ სკიბეს განცხადებით, უახლოეს თვეებში მოედანს ვერ დაუბრუნდება. გაზეთ „დი ველტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში სკიბე ამბობს: „აგერ უკვე 15 თვეა ზამერი ვერ დარბის და ბუნებრივია, ასეთ მდგომარეობაში მყოფ კაცს უახლოეს მომავალში ფეხბურთის თამაში არ უნდა მოვთხოვოთ“. 31 წლის ზამერი, გასული წლის ოქტომბრიდან მოყოლებული, დაშავებულ მუხლზე ხშირად იკეთებს ოპერაციებს, სკიბეს განცხადებით, ზამთრის არდადეგებზე დორტმუნდელები თურქეთს გაემგზავრებიან, სადაც 18-27 იანვარს შეკრებას მოაწყობენ, მაგრამ ეს შეკრება ზამერის გარეშე ჩაივლის. ეჭვობენ, რომ ზამერი ველარასდროს შეძლებს მინდორზე დაბრუნებას.

**ბრაზილიის** ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, სებასტიანო ლაზარონი მომავალი წლიდან ჩინეთის პირველი დივიზიონის გუნდს „შანხაი შენხუას“ ჩაუდგება სათავეში. ივნისამდე ლაზარონი სამშობლოში, „გრემიოში“ მუშაობდა. რა პირობებზე დათანხმდა ბრაზილიელი მწვრთნელი ჩინელებს, ცნობილი არ არის. თუმცა ცნობილია, რომ აზიის ამ ქვეყანაში უცხოელ სპეციალისტებს გაცილებით მეტს უხდიან, ვიდრე საკუთარ, თუნდაც უმაღლესი კვალიფიკაციის მწვრთნელებს.

**საფრანგეთში**, ცნობილმა კლუბმა „მარსელმა“ გახსნა ტელეარხი, რომელსაც OMTV ჰქვია. ეს პირველი ტელეკომპანიაა, რომელიც საფეხბურთო კლუბს ეკუთვნის. OMTV-ს პირველი გადაცემები ეთერში 18 იანვარს გავა. „მარსელის“ პრეზიდენტმა რობერ ლუი-დრეიფუსმა განაცხადა, რომ ტელეარხის გახსნის იდეა „მანჩესტერ იუნაიტედის“ ასეთმავე არხმა მიაწოდა. ერთადერთი, რაც მინდოდა, ჩემსავით გიჟის მოძებნა იყო, რომელიც იდეის ხორცშესხმაში დამეხმარებოდა. ასეთ კაცად პიერ ლესკური ვიგულე. მხარი ამიბა „კანალ პლუსმაც“ — თქვა დრეიფუსმა. OMTV „კანალ პლუსის“ სათანამგზავრო არხზე ყოველდღიურად ოთხსაათიან გადაცემებს მოაწყობს, აბონენტებს 35 ფრანკი ანუ 5,90 დოლარი ექნებათ გადასახდელი. მარსელელთა ვარაუდით, OMTV-ს 1999 წელს 12 ათასი აბონენტი ეყოლება, სამი წლის შემდეგ კი მათი რაოდენობა 25 ათასამდე გაიზრდება.

**იტალიურ „მილანს“** იანვარში ფრანგი იბრაჰიმ ბა დატოვებს. მისი ახალი კლუბი იქნება ინგლისური „ნიუკასლი“. „ვიცი, რომ მილანელები ნიუკასლელებთან მოლაპარაკებებს აწარმოებენ. „ნიუკასლის“ მწვრთნელთან, რუუდ გულიტთან ძალიან კარგი ნაცნობობა მაქვს, ამიტომაც მზად ვარ ინგლისში წასასვლელად“ — თქვა ბამ, რომელსაც, თუ იტალიურ პრესას დავუჯერებთ, „მილანის“ ახალ მწვრთნელთან, ალბერტო ძაკერონისთან ცუდი ურთიერთობა ჩამოუყალიბდა. „საშინლად დათრგუნული გახლავართ. ან კი სხვანაირად როგორ უნდა იყოს, როდესაც ფაქტობრივად აღარ ვთამაშობ“ — დასძინა ბამ.

**ინგლისური** „დერბი“ სამი დღის განმავლობაში დააკვირდება „გლაზგო რეინჯერსის“ ფეხბურთელს ჯონათან იოჰანსონს. თუ პრემიერლიგის გუნდის თავკაცებს 23 ლის იოჰანსონი მოეწონებათ, მაშინ გლაზგოელები მის სანაცვლოდ 2,4 მილიონ დოლარს მიიღებენ. იოჰანსონი ფინელია, ეროვნულ გუნდში თამაშობს. იგი თავდამსხმელი გახლავთ, „დერბის“ კი სწორედ თავდასხმის გაძლიერება სურს.

**შვეიცარიაში** უეფამ განაცხადა, რომ ჩემპიონთა თასის ფინალი აუცილებლად ბარსელონას „კამპ ნოუზე“ გაიმართება, თასისა კი მოსკოვში, „ლუჟნიკებზე“. საქმე ის გახლავთ, ომ ამ ორ შეჯიბრებაში არაა გამორიცხული, ფინალში ერთი ქვეყნის ორი გუნდი გავიდეს. გასულ სეზონშიც ასე იყო, უეფას თასის ფინალში იტალიური გუნდები „ინტერი“ და „ლაციო“ შეხვდნენ ერთმანეთს, მატჩი კი პარიზში, „პარკ დე პრენსზე“ გაიმართა, რაც ბევრს არ მოეწონა. თასების თასთან დაკავშირებით არავის აქვს პრეტენზია, რადგან ამ შეჯიბრების რომელიმე ქვეყნის ორი წარმომადგენელი არ შემორჩენია, ამიტომაც მისი უკანასკნელი ფინალის 19 მაისს, ბირმინგემის „ვილა პარკზე“ გამართვა უხერხულობას არ ქმნის. შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა თასის ფინალური შეხვედრა 20 მაისსაა დანიშნული, უეფას თასისა კი 12 მაისს.

**რუსული** გუნდის, სოჭის „ჟემჩუჟინას“ ფეხბურთელებმა ვარჯიშზე უარი თქვეს, გაიფიცნენ, რადგან ხელფასებს არ უხდიან. მოგეხსენებათ, „ჟემჩუჟინას“ ფეხბურთელების დფეში მილიონობით რუსია, ხელფასებს ვერც კალათბურთისა და ჰოკეის გუნდები იხდიან, მაგრამ ფეხბურთში ეს მაინც იშვიათობაა. „გვესმის, რომ ადგილობრივ ბიუჯეტს უჭირს, მაგრამ ჩვენ ხელფასი გვინდა, ოჯახები გვყავს სარჩენი“ — განაცხადა „ჟემჩუჟინას“ კაპიტანმა ალექსანდრ იეშჩენკომ.

**აშშ-ის** გუნდი „მიუნიტი“ ტამპაში ბუქარესტის „დინამოსთან“ ამხანაგურ მატჩს გამართავს. რუმინელები ირლანდიაში შეკრებაზე გახლავან. მათ ქვეყანაი ჩემპინატის პირველი ნახევარი აგვისტოში დაიწყო და ნოემბერში გაილია, მეორე კი მარტში დაიწყება და ივლისში დამთავრდება. რაც შეეხება აშშ-ის ნაკრებს, იგი ბოლივიასთან შეთანხმდა 24 იანვარს ამხანაგური შეხვედრის ჩატარებაზე. ამერიკელთა გუნდში ახალწვეულები იქნებიან: ნახევარმცველი კრის არმასი, მეკარე ზაკ თორნტონი და მცველი სი-ჯეი-ბრაუნი — სამივე ჩიკაგოელია.

**ჩეხი** მცველი კარელ რადა თურქული „ტრაბზონსფორიდან“ სამშობლოში, პრაღის „სლავიაში“ ბრუნდება. რადას თურქულ გუნდთან კონტრაქტი ივნისამდე ჰქონდა გაფორმებული, მაგრამ მეუღლის სიშორე ველარ აიტანა და მოვლენები დააჩქარა „ვცადე საზღვარგარეთ ფეხის მოკიდება, მაგრამ მივხვდი, რომ ჩემი მომავალი მხოლოდ ჩეხეთთან უნდა იყოს დაკავშირებული.“ — განაცხადა ნოსტალგიამოძალებულმა ფეხბურთელმა.

**პერუს** ჩემპიონატის ფინალში გავიდა „სპორტინგ კრისტალი“, რომელმაც უძველეს მეტოქეს „ალიანსას“ 1:0 მოუგო. შეხვედრის ერთადერთი გოლი პირველი ტაიმის ბოლოს ანდრეს მენდოსამ გაიტანა. ამ გამარჯვებამ გუნდებს თანაბარი ქულები მოაგროვებინა. წინ მთავარი მატჩია, რომელშიც „სპორტინგი“ „უნივერსიტარიოს“ შეხვდება. „უნივერსიტარიო“ ჩემპიონატის პირველი წრის გამარჯვებული გახლავთ.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია “CROCO”

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XVIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 18 დეკემბერი | | | |
| ფრაიბურგი — ბოხუმი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| დორტმუნდი — შტუტგარტი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 19 დეკემბერი | | | |
| ბაიერნი — ვოლფსბურგი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ჰამბურგი — ნიურნბერგი | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 0:1 | 2,1 | 3,0 | 2,2 |
| კაიზერსლაუტერნი — მიუნხენ 1860 | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| აინტრახტი — დუისბურგი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ჰანზა — ლევერკუზენი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| შალკე — მიონხენგლადბახი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 20 დეკემბერი | | | |
| ვერდერი — ჰერტა | 2,4 | 2,8 | 2,7 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. XIX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 18 დეკემბერი | | | |
| ჰანოვერი — არმინია | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| მაინცი — ვატენშაიდი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| კოტბუსი — ბერლინი | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| 20 დეკემბერი | | | |
| ზანქტ პაული — ფიურტი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| ულმი — კარლსრუე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| უნტერჰახინგი — კიოლნი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ობერჰაუზენი — კიკერსი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ფორტუნა — ურდინგენი | 1,25 | 4,7 | 7,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,7 |
| გიუტერსლო — დიუსელდორფი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 21 დეკემბერი | | | |
| ულმი — კარლსრუე | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XVIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 19 დეკემბერი | | | |
| ჩელსი — ტოტენჰემი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ქოვენთრი — დერბი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ლივერპული — შეფილდ უენსდეი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| მანჩესტერი — მიდლსბრო | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ნიუკასლი — ლესტერი | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| ნოტინგემი — ბლექბერნი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| საუთჰემპტონი — უიმბლდონი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ვესტ ჰემი — ევერტონი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 20 დეკემბერი | | | |
| არსენალი — ლიდსი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 21 დეკემბერი | | | |
| ჩარლტონი — ასტონ ვილა | 3,5 | 2,8 | 2,0 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXIV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 19 დეკემბერი | | | |
| ბარნსლი — სვინდონი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ბირმინგემი — სანდერლენდი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ბოლტონი — პორტსმუთი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| ბრედფორდი — ვულვერჰემპტონი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| ქრიუ — ჰადერსფილდი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| კრისტალ პალასი — ქუინზ პარკი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| გრიმსბი — უოტფორდი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ნორვიჩი — ბრისტოლი | 1,8 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| პორტ ვეილი — ბერი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| სტოკპორტი — ოქსფორდი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| ვესტ ბრომვიჩი — ტრანმერი | 1,5 | 3,0 | 5,6 |
| 20 დეკემბერი | | | |
| შეფილდ იუნაიტედი — იფსვიჩი | 2,4 | 2,8 | 2,7 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. XX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 19 დეკემბერი | | | |
| ბასტია — ოსერი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ბორდო — მეცი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| მონაკო — ლიონი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ლორიანი — პსჟ | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| ნანსი — ლანსი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| მარსელი — ლე ავრი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| სტრასბური — რენი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| სოშო — ნანტი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ტულუზი — მონპელიე | 2,3 | 2,9 | 2,8 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XIV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 20 დეკემბერი | | | |
| კალიარი — ბოლონია | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ემპოლი — პარმა | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| ინტერი — რომა | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| იუვენტუსი — სალერნიტანა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ლაციო — უდინეზე | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| პერუჯა — ფიორენტინა | 3,3 | 2,8 | 2,1 |
| პიაჩენცა — ბარი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| სამპდორია — მილანი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ვიჩენცა — ვენეცია | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 19 დეკემბერი | | | |
| ვერონა — კიევო | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 20 დეკემბერი | | | |
| ბრეშა — მონცა | 1,7 | 2,7 | 5,6 |
| ჩეზენა — ტორინო | 4,4 | 2,8 | 1,8 |
| კრემონეზე — პესკარა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ფ. ანდრია — ჯენოა | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| ლეჩე — ნაპოლი | 2,3 | 3,1 | 2,5 |
| ლუკეზე — რავენა | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| რეჯანა — ატალანტა | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| რეჯინა — კოზენცა | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| ტრევიზო — ტერნანა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 19 დეკემბერი | | | |
| დეპორტივო — ბეტისი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 20 დეკემბერი | | | |
| ვალიადოლიდი — ბარსელონა | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ვილიარეალი — ბილბაო | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ატლეტიკო — სარაგოსა | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| მალიორკა — რასინგი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ტენერიფე — ესტრემადურა | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ოვიედო — რეალი | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| სოსიედადი — სელტა | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| ესპანიოლი — ვალენსია | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| ალავესი — სალამანკა | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XVII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 19 დეკემბერი | | | |
| ბარსელონა B — ალბასეტე | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ოსასუნა — ეიბარი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 20 დეკემბერი | | | |
| ერკულესი — ტოლედო | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ბადახოსი — სპორტინგი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ლეგანესი — ლას პალმასი ($15^{00}$) | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| მერიდა — მალიორკა B | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| რეკრეატივო — ატლეტიკო B | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| ორენსე — რაიო ვალეკანო | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| სევილია — ლოგრონიესი | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| კომპოსტელა — ლეიდა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| მალაგა — ნუმანსია | 2,4 | 2,8 | 2,7 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. XVI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 18 დეკემბერი | | | |
| ბოავიშტა — ფარენსე | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 19 დეკემბერი | | | |
| პორტუ — სპორტინგი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| კამპომაიორენსე — გიმარაეში | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 20 დეკემბერი | | | |
| სეტუბალი — შავეში | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ბენფიკა — აკადემიკა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,6 |
| ბრაგა — ამადორა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| სალგეირუში — რიუ ავე | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ლეირია — ბეირა მარი | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| ალვერკა — მარიტიმუ | 2,0 | 2,8 | 3,5 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 18 დეკემბერი | | | |
| ჰერენვენი — მაასტრიხტი | 1,35 | 4,0 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,4 |
| ნაიმეგენი — სიტარდი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 19 დეკემბერი | | | |
| ეინდჰოვენი — ტილბურგი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| ტვენტე — ვიტესი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 20 დეკემბერი | | | |
| ფეიენოორდი — აიაქსი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ვალვაიკი — ბრედა | 2,7 | 3,0 | 2,3 |
| უტრეხტი — სპარტა | 1,6 | 3,0 | 5,6 |

### ბელგიის ჩემპიონატი. XIX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 18 დეკემბერი | | | |
| ლიერსი — გენკი | 3,3 | 3,0 | 2,0 |
| 19 დეკემბერი | | | |
| ოსტენდე — გენტი | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| ლოკერენი — კორტ რაიკი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ანდერლეხტი — ბევერენი | 1,3 | 4,2 | 7,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| ლომელი — მუსკრონი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| სენტ ტრუიდენი — ვესტერლო | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 20 დეკემბერი | | | |
| ეკერენი — ბრიუგე | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| აალსტი — სტანდარდი | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| ჰარელბეკი — შარლერუა | 1,8 | 2,9 | 4,2 |

### თურქეთის ჩემპიონატი. XVII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 18 დეკემბერი | | | |
| ბურსასფორი — სამსუნსფორი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 19 დეკემბერი | | | |
| ანთალია — ტრაბზონსფორი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 20 დეკემბერი | | | |
| ერზრუმი — ფენერბაჰჩე ($14^{30}$) | 6,0 | 3,3 | 1,5 |
| ალთაი — ქარაბუქი ($16^{00}$) | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ანკარაგიუჯიუ — საქარია ($16^{00}$) | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ისთანბული — გენჩლერბირლიგი ($16^{00}$) | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ქოჯაელი — ადანა ($16^{00}$) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| გაზიანთებსფორი — გალათასარაი | 6,0 | 3,3 | 1,5 |
| ბეშიქთაში — დარდანელი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 4,0 | 3,6 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. XIX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 19 დეკემბერი | | | |
| სელტიკი — დანფერმლაინი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| დანდი — აბერდინი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ჰართსი — რეინჯერსი | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| მოზერველი — სენტ ჯონსტონი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 20 დეკემბერი | | | |
| კილმარნოკი — დანდი იუნაიტედი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

### ჰოკეი. NHL

| | | | |
|---|---|---|---|
| 18 დეკემბერი | | | |
| ბუფალო — მონრეალი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| ოტავა — კაროლინა | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ნიუ ჯერსი — კალგარი | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| ტამპა ბეი — ედმონტონი | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| დეტროიტი — დალასი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| ანაჰაიმი — აილენდერსი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 19 დეკემბერი | | | |
| ბოსტონი — დეტროიტი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ბუფალო — კაროლინა | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| ტორონტო — რეინჯერსი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| მონრეალი — ნიუ ჯერსი | 2,4 | 4,4 | 1,7 |
| ფილადელფია — ჩიკაგო | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| პიტსბურგი — ვაშინგტონი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| ფლორიდა — ედმონტონი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| სენტ ლუისი — ლოს ანჯელესი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| ვანკუვერი — ნეშვილი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| სან ხოსე — კოლორადო | 2,4 | 4,4 | 1,7 |
| 20 დეკემბერი | | | |
| ოტავა — დალასი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| ფილადელფია — ტამპა ბეი | 1,15 | 4,4 | 5,6 |
| ჩიკაგო — ლოს ანჯელესი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| ფინიქსი — აილენდერსი | 1,15 | 4,4 | 5,6 |
| 21 დეკემბერი | | | |
| ბოსტონი — ტამპა ბეი | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| ტორონტო — პიტსბურგი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| მონრეალი — დალასი | 2,4 | 4,4 | 1,7 |
| კაროლინა — ბუფალო | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| ანაჰაიმი — კოლორადო | 2,0 | 4,4 | 2,0 |

### ტურში გატანილი გოლები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გერმანია (მე-18) | 25 და ნაკლები | 1,9 | 27 და მეტი | 1,9 |
| ინგლისი (მე-18) | 25 და ნაკლები | 1,9 | 27 და მეტი | 1,9 |
| საფრანგეთი (მე-20) | 22 და ნაკლები | 1,9 | 24 და მეტი | 1,9 |
| იტალია (მე-14) | 23 და ნაკლები | 1,9 | 25 და მეტი | 1,9 |
| ესპანეთი (მე-15) | 25 და ნაკლები | 1,9 | 27 და მეტი | 1,9 |
| პორტუგალია (მე-16) | 22 და ნაკლები | 1,9 | 24 და მეტი | 1,9 |
| ბელგია (მე-19) | 26 და ნაკლები | 1,9 | 28 და მეტი | 1,9 |
| თურქეთი (მე-17) | 24 და ნაკლები | 1,9 | 26 და მეტი | 1,9 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# ვლადიმერ ტკაჩენკო: თბილისში ჩამოსვლა ძალიან მიყვარდა, დერიუგინის წინააღმდეგ თამაში — არა

13 დეკემბრის სუსხიანი კიევური დილაა. წვრილ თოვლს გამჭოლი ქარიც ერთვის და ისედაც უხალისო განწყობილებას კიდევ უფრო მიფუჭებს. უხალისო განწყობილება-მეთქი, მოგახსენეთ... იქნებ ჟურნალისტს არაპროფესიონალად ახასიათებდეს ის ფაქტი, რომ რესპოდენტთან შეხვედრას ასეთი ვნებათაღელვით ეგებება, მაგრამ ის მამართლებს, რომ მაგანს კი არა, ერთობ გამორჩეულ და კოლორიტულ პიროვნებას უნდა შევხვდე, რომელთან გასაუბრებაც რომ გაბედო, როგორც უკრაინელი კოლეგებისგან მსმენია, კარგად მომზადებული უნდა იყო. ცხადია, სხვა შემთხვევაში ტელეფონით დავუკავშირდებოდი და შეხვედრაზე შევუთანხმდებოდი, მაგრამ ვერაფრით ვერ დავურეკე: ავტომატი მპასუხობდა, ტელეფონი დაზიანებულიაო. რედაქციაში ჩემი განზრახვის შესახებ არავისთვის მითქვამს, რადგან ვიცოდი, შეკითხვებით გულს გამიწვრილებდნენ. ამიტომ პირდაპირ დავადექი რედაქციის არქივში მოძიებულ მისამართს.

მრავალი წლის განმავლობაში, ლიტველი არვიდას საბონისის გამოჩენამდე, კიევის „სტროიტელისა“ და შემდეგ მოსკოვის ცსკა-ს ცენტრალური თავდამსხმელი ვლადიმერ ტკაჩენკო საბჭოთა კავშირში უძლიერეს ცენტრად ითვლებოდა. ამიტომაც იყო, რომ პლანეტის ერთ მეექვსედზე განლაგებული ქვეყნის რჩეულთა ნაკრებში მას ადგილი მუდამ განაღდებული ჰქონდა. იქნებ ვინმე შემეკამათოს, მაგრამ, ალბათ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ტკაჩენკო დიდი საკალათბურთო აზროვნებით ვერ მოიწონებდა თავს, მისი წარმატებების განმსაზღვრელი ფაქტორი უმთავრესად ფიზიკური მონაცემები იყო. სტაჟიან გულშემატკივრებს კარგად ემახსოვრებათ, რა დღეში აგდებდა ამ 220-სანტიმეტრიან — გიგანტს ჩვენი ერთი მტკაველით დაბალი ნიკოლოზ დერიუგინი, რომელიც თავისი გააზრებული თამაშით ხუთ პერსონალურს მიალებინებდა ხოლმე და სათადარიგოთა სკამზე მიუჩენდა ადგილს. შემდეგ მის გზას მეორე ცენტრს, ბელოსტენნისაც გაუყენებდა და ამგვარად, ბევრად უადვილებდა თბილისის „დინამოს“ „სტროიტელთან“ თუ ცსკა-სთან თამაშს.

ტკაჩენკოს შესახებ ჩემს კიეველ კოლეგას, სერგეი სტაჟენკოს ადრე ჰქონდა ნათქვამი: ცოტა არ იყოს, უცნაური და შეუცნობადი პიროვნებააო. რაში გამოიხატება მისი უცნაურობა? ჯერ ერთი იმაში, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრს ერთობ გაუგებარი დიქცია აქვს, რის გამოც მის მიერ წარმოთქმული წინადადებების თუ ფრაზების გარჩევა ჭირს. ამიტომ იყო, რომ ძველ დროშიც კი, ტკაჩენკო თითქმის არ იძლეოდა ინტერვიუებს, განსაკუთრებით სატელევიზიოს და მხოლოდ ზოგად კადრებში მოხვედრით კმაყოფილდებოდა.

გარდა ამისა, ტკაჩენკო ერთობ გაუწონასწორებელი ადამიანია. ძალიან ძნელია იმის განსაზღვრა, თუ როგორ მოიქცევა ის ამა თუ იმ კონკრეტულ სიტუაციაში. მის ნაცნობთა თქმით, ხშირად ძალიან მშვიდი ტკაჩენკო უეცრად აფეთქებულა. საქმე ეხება არა მარტო პირად საუბრებს, არამედ ხალხმრავალ პრესკონფერენციებსაც, თუმცა ადრე მსგავსი ფაქტების შესახებ საუბარი მიღებული არ იყო და ისინი ფართო საზოგადოებისათვის უცნობი რჩებოდა ხოლმე.

ნოვოგორსკის რაიონში ჩასული, სადაც ვლადიმერ ტკაჩენკო ცხოვრობდა, ველოდი, რომ კარს თავად კალათბურთელი ან მისი ოჯახის რომელიმე ასევე ტანმაღალი წევრი გამიღებდა, მაგრამ ნურას უკაცრავად. ჩემს ზარზე ხნიერმა ქალბატონმა გამოიხედა და როცა გაიგო, რისთვისაც ვესტუმრე, ამიხსნა: მე ვალოდიას დეიდა ვარ, მაგრამ ის თავად აქ არ არის და უკვე რამდენი ხანია, მოსკოვში ცხოვრობსო. შემდეგ დაამატა, ერთმანეთთან ურთიერთობა გვაქვსო და მოსკოვური ტელეფონის ნომერიც თავად შემომთავაზა.

მეც ასე მიჯობდა, რადგან უშუსა და ტაეკვანდოს ილეთები არასოდეს მისწავლია. რომც მესწავლა, არა მგონია, ჩემზე შემომწყრალ გოლიათს გავმკლავებოდი. თუმცა როგორც მომავალმა სატელეფონო საუბარმა მიჩვენა, ეტყობა, საქმე აქამდე არ მივიდოდა. ჩემს სალამოს ზარს ვლადიმერ ტკაჩენკო მშვიდად და ერთობ კეთილმოსურნედ შეხვდა.

— თქვენთან ჩამოსვლა ყოველთვის ძალიან მიყვარდა. როგორც წესი, წელიწადში მინიმუმ ერთხელ მაინც ჩამოვდიოდი ხოლმე, ხანდახან კი მეტჯერაც, ჯერ კიევის „სტროიტელის“, ხოლო შემდეგ მოსკოვის ცსკა-ს შემადგენლობაში. საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთადაც ვყოფილვარ. კარგად მახსოვს თქვენი გადაჭედილი საკალათბურთო დარბაზიც. კარგი დრო იყო...

**— „სტროიტელს“ რომ თავი დავანებოთ, მოსკოვის ცსკა უდავოდ საბჭოთა კავშირის უძლიერესი გუნდი იყო. თბილისში ჩატარებულ თამაშებში ზოგჯერ ძალიან ადვილად უმკლავდებოდით მასპინძლებს, მაგრამ ხანდახან მატჩები ძალიან დაძაბულადაც მიმდინარეობდა. მავანთა აზრით, ეს იმაზე იყო დამოკიდებული, თუ როგორ დასრულდებოდა გუნდების ცენტრების — თქვენი და ნიკოლოზ დერიუგინის დუელი. ამაზე რას იტყვით?**

— ყველაფერს ამას ვერ დააბრალებ. წარმატებას უამრავი სხვა ფაქტორიც განაპირობებდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენს ბრძოლასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ისე, დერიუგინზე ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, გეტყვით, რომ ძალიან ცბიერი კალათბურთელი იყო. მისი ოსტატობა არც ადრე იწვევდა ეჭვს და ახლაც ასეა, მაგრამ ჩვენს სპორტში არის კიდევ მთელი რიგი ეშმაკობებისა, რომლებსაც თამაშზე დიდი გავლენა აქვს. ამერიკელ კალათბურთელებს ნამდვილი ჭიდაობა აქვთ ფარქვეშ, ევროპელთა კალათბურთი კი ნაკლებად კონტაქტურია და ჩვენს დროს ეს კიდევ უფრო მეტად იგრძნობოდა. ამიტომ მსაჯებისგან მალულად ერთმანეთს




ტკაჩენკო (უკან) — დერიუგინი: 70-80-იანი წლების საბჭოთა კალათბურთის გამორჩეული დაპირისპირება

სხვადასხვა აკრძალული ხერხით ვებრძოდით — პწკენით, ჩუმად წიხლის ამორტყმით, მუჯლუგუნით და ასე შემდეგ. კოლია ჩინებულად ფლობდა ამ ილეთებს და მათი საკმაოდ მდიდარი არსენალიც ჰქონდა, რომელთაც კარგად იყენებდა როგორც ჩემს, ასევე სხვათა წინაალმდეგ.

კარგად მახსოვს საბჭოთა ნაკრების მატჩები, სადაც მე და კოლია ერთად ვთამაშობდით და მისი ხრიკები უკვე ჩემს წისქვილზეც ასხამდა წყალს. შედარებით მშვიდი თამაშებისას საკმაოდ საინტერესო საყურებელი იყო და დიდ სიამოვნებასაც მგვრიდა.

**— სხვასთან თამაშებისას კი, მაგრამ როდესაც ყველაფერი თქვენთვის იყო გამიზნული, არ ღიზიანდებოდით?**

— სასიამოვნო არ იყო, მაგრამ ნერვებს აყოლა და უსიამოვნების საჯაროდ გამოხატვა კარგს არაფერს მომიტანდა. საერთოდაც, არ ვიყავი უხეში მოთამაშე და მოედანზე გაწონასწორებულად ვიქცეოდი.

**— თქვენი თაობის თბილისის დინამოელთაგან თუ შეგიძლიათ კიდევ ვინმეს გამოყოფა?**

— თქვენი გამთამაშებელი მომწონდა ძალიან, დარსაძე — სწრაფი და მოუსვენარი. თუ კარგ ფორმაში იყო, ხანდახან სასწაულებს სჩადიოდა ხოლმე.

**— თქვენზე ერთი უსიამო ისტორია მსმენია და არ ვიცი, რამდენად მართალია. საბჭოთა კავშირის ნაკრების ერთ-ერთი არც-თუ წარმატებული საზღვარგარეთული ტურნეს შემდეგ, ერთი საგანგებოდ გამართული პრესკონფერენცია თითქმის სკანდალურად დასრულდა. როგორც ვიცი, ამის მიზეზი სწორედ თქვენ გახდით. ასე იყო თუ არა?**

— ამას ვერ უარვყოფ, რადგან ყველაფერი სიმართლეა, თუმცა სკანდალამდე საქმე არ მისულა. სხვათა შორის, ეს ფაქტი მაშინ ძალიან არ გახმაურებულა და მხოლოდ შედარებით ვიწრო წრისათვის გახდა ცნობილი.

იმ პრესკონფერენციაზე ერთ-ერთი ჟურნალისტი გადამეკიდა. ახლა არ მინდა მისი ვინაობის დასახელება, მით უმეტეს, რომ ის ამჟამადაც მუშაობს თავისი სპეციალობით. როგორც თავადაც განმარტეთ, ჩვენმა მაშინდელმა ტურნემ საკმაოდ წარუმატებლად ჩაიარა. ვერც მე გავაკეთე რაიმე განსაკუთრებული, რადგან თავს შეუძლოდ ვგრძნობდი, თუმცა შეძლებისდაგვარად ვცდილობდი, გუნდს ვეხმარებოდი და თავი არ დამიზოგავს. მთავარი ის არის, რომ იმ ჟურნალისტის მიერ დასმული კითხვები და რეპლიკები ერთობ უტაქტო იყო და სწორედ ჩემს გასაგონად ნათქვამი. არ ვიყავი მართალი, მაგრამ თავი ვერ შევიკავე და გადავწყვიტე, მისთვის ჭკუა მესწავლებინა. გამაჩერეს, რა თქმა უნდა. ისე, მაინცდამაინც არც მე გავგიჟებულვარ რადგან მივხვდი, რომ არასწორად ვიქცეოდი.

**— მსგავსი ფაქტები კიდევ ხომ არ განმეორებულა?**

— როგორი?

**— როდესაც ნერვების მოთოკვა გაგიჭირდათ.**

— ხომ გითხარით, საკმაოდ მშვიდი ვიყავი-მეთქი. თუმცა ერთიც მახსენდება. ერთხელ საბჭოთა კავშირის ნაკრების შეკრებაზე ვიყავი, თუ სად, ახლა ზუსტად აღარ მახსოვს. მე და სერიოჟა ბაზარევიჩი სასტუმროს ნომერში ერთად ვცხოვრობდით. სერიოჟა გასული იყო. უცებ მესმის, კარზე ვიღაც აკაკუნებს. ვარჯიში ახალდამთავრებული იყო და ძალიან დაღლილი ვიყავი, მაგრამ წამოვდექი და კარი მაინც გავაღე. ვიღაცას იქვე საქაღალდე კალათი დაედო და ცეცხლი მოეკიდებინა. დერეფანშიც გავიხედე, მაგრამ იქ არავინ იყო. ვერც სართულის მორიგე მოვნახე. დაღლილს ბევრი ძებნის თავი არ მქონდა და „ხანძარს“ საკუთარი ძალებით გავუმკლავდი. ხუთი წუთის შემდეგ ეს კვლავ განმეორდა, ოდნავ მოგვიანებით კი მესამედ. გაცოფებული ავყვირდი და ყველა შევყარე ბოდიში მომიხადეს, მაგრამ ვერაფერი გაარკვიეს. დავიშალეთ. მეც ავდექი და ჩუმად ჩავსაფრდი, მაგრამ ამის შედეგი არ მოჰყოლია, რადგან ხულიგნები აღარ გამოჩენილან.

**— ბოლო-ბოლო, გაარკვიეთ, ვინ გაწვალებდათ?**

— ვერა. როგორც ჩანს, ისე ვიყავი გაავთრებული, რომ ვეღარ გამიბედეს ამის გამხელა. მე კი დარწმუნებული ვარ, რომ ამ გამოგონების ავტორი ვინმე ჩვენიანი თუ იქნებოდა. უცხო ამას არ მოიმოქმედებდა.

**— თქვენი ფიზიკური მონაცემები კალათბურთისთვის ზედგამოჭრილია, მაგრამ ყოველდღიურ ცხოვრებაში ამის გამო, ალბათ, უამრავი პრობლემა გექნებათ.**

— რაც მართალია, მართალია. ბევრი უხერხული წუთი გადამიტანია. თუნდაც ბავშვობის წლები ავიღოთ — თანატოლები გამუდმებით დამცინოდნენ. აუტანელი დარდი ვიგრძენი, როდესაც სკოლაში სწავლისას პიონერთა ბანაკში წაყვანაზე უარი მითხრეს, ისე გამოვიყურებოდი, როგორც მახინჯი იხვის ჭუჭული.

სხვა საკითხია ჩასაცმელი და ფეხსაცმელი. ეს ჩემთვის მუდმივი საზრუნავი იყო და ასე გრძელდება დღემდე. სად გინდა, ჩემი ზომის შესამოსი იშოვო? არადა, ტიტველი ხომ არ ვივლი?

მიჭირდა ტრანსპორტით გადაადგილებაც: არ ვიცოდი, სად წამეღო თავი და ფეხები. ყოფილა წუთები, როდესაც ამ პრობლემების გამო თავბედიც მიწყევლია. თუმცა კალათბურთის მოედანზე გატარებულ ბედნიერ წუთებს რომ ვიხსენებ, ვფიქრობ, რომ ყველაფერი ღირდა ამად.

ისე, ყველაზე მეტად მაინც ჯანმრთელობა მაფიქრებს. ნებისმიერ ჩემსავით გოლიათ ადამიანს იგი თავს შეახსენებდა, ჩემი სპორტული დატვირთვებით კი მით უფრო. ამიტომაც არის, რომ ახლა არ მასვენებს ტკივილი ხერხემლის არეში. მაწუხებს ფეხებზე ვენების გაგანიერებაც. ადრე თუ ნაკლებად ვგრძნობდი, ახლა უკვე მეტად იჩინა თავი.

**— თქვენზე გამიგია, მერყევი სიმაღლე ჰქონდა და გამუდმებით ეცვლებოდაო.**

— დაახლოებით ასეა. ეს არა მარტო მე, არამედ 210 სმ-ზე მაღალ ბევრ სხვა კალათბურთელსაც ემართება. თუმცა, მეტწილად ახალგაზრდობის წლებში, შემდეგ კი სიმაღლე უფრო სტაბილური ხდება. მაგალითისათვის გეტყვით: მიუხედავად იმისა, რომ ჩემს საშუალო სიმაღლედ 220 სმ ითვლებოდა, გარკვეულ დროს ხან 219 ვიყავი, ხან 221. ასაკის მატებასთან ერთად კი მაინც 220-ზე გავჩერდი. ეს პრობლემა ჭაბუკობისას არვიდას საბონისსაც აწუხებდა. თავიდან ჩვენ ერთი სიმაღლის ვიყავით, ბოლოს კი ერთი სანტიმეტრით „გამასწრო“.

**— მოსკოვის ცსკაში კარიერის დასრულების შემდეგ საზღვარგარეთ წასვლა არ გიცდიათ?**

— ბოლოს ძალიან მიჭირდა და არსად გადასვლაზე არ მიფიქრია. უბრალოდ, დავასრულე კარიერა და მორჩა.

**— ძველი თანაგუნდელებიდან თუ გაქვთ ვინმესთან კონტაქტი?**

— მეტ-ნაკლებად თითქმის ყველასთან. შეძლებისდაგვარად კიეველებთან და, რა თქმა უნდა, მოსკოველებთანაც. ხშირი კონტაქტები მაქვს ბელოსტენნისთანაც. ჩვენ ხომ დაახლოებით ერთი და იგივე გზა გავიარეთ. ჯერ კიევის „სტროიტელი“, შემდეგ მოსკოვის ცსკა და ბოლოს საბჭოთა კავშირის ნაკრებიც. ბელოსტენნი ჩემზე ახალგაზრდა იყო, უფრო გამოუცდელი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ მაშინაც ახლო ურთიერთობა გვქონდა.

სამშობლოში კარიერის დასრულების შემდეგ ბელოსტენნი იყო გერმანიაში, სადაც „ალბას“ შემადგენლობაში თამაშობდა. საბოლოოდაც იქ დაფუძნდა. ახლა უკრაინული რესტორანი აქვს გახსნილი.

**— რატომ აღარ დაბრუნდით კიევში?**

— მოგეხსენებათ, ცსკა-ში დიდხანს ვითამაშე, მოსკოვს მივეჩვიე და უკან დაბრუნებაც აღარ მოვისურვე. მით უმეტეს, აქ ახალი ოჯახი შევქმენი. თუმცა კიევთან კავშირს არ ვწყვეტ, იქ ნათესავებიც მყავს და როდესაც შესაძლებლობა გამოჩნდება ხოლმე, არც მათ სტუმრობაზე ვამბობ უარს.

**— თქვენს ამჟამინდელ საქმიანობაზე რას იტყვით?**

— მოსკოვის ოლქის საბაჟოში ერთ-ერთი განყოფილების უფროსად ვმუშაობ. სხვათა შორის, საკმაოდ სპორტული კოლექტივი გვყავს. უფროსიც სპორტსმენია, ცნობილი მოჭიდავე ალექსანდრ კარელინი.

**ირაკლი სირაძე კიევიდან**

**საინფორმაციო-ანალიტიკური ბიურო „გეა“**

**საგანგებოდ „სარბიელისთვის“**

**კორაჩის თასი. მეთექვსმეტედფინალი. 16 დეკემბერი**

**საპასუხო მატჩები (ფრჩხილებში პირველი მატჩის შედეგია)**

*პანიონიოსი (საბერძნეთი)* 81:58 (69:79) ძუკეტი (იტალია)

*დიჟონი (საფრანგეთი)* 71:67 (79:78) ბიტომი (პოლონეთი)

მაკაბი (რიშონ, ისრაელი) 78:80 (75:75) *აპოლონი (საბერძნეთი)*

*დუკატო (იტალია)* 83:56 (63:73) პორტუ (პორტუგალია)

*ადეკო (ესპანეთი)* 61:59 (72:49) ბენსტონი (ხორვატია)

*შიაულიაი (ლიტვა)* 80:64 (67:74) პაპაგოსი (საბერძნეთი)

*ბარსელონა (ესპანეთი)* 83:53 (75:66) პრკა (სლოვენია)

*ოსტენდე (ბელგია)* 80:54 (73:70) კერავნოსი (კვიპროსი)

*დარუშაფაკა (თურქეთი)* 94:83 (97:89) ნეპტუნასი (ლიტვა)

ტელეკომი (გერმანია) 76:71 (70:77) *პოგონი (პოლონეთი)*

დოლფინსი (შვედეთი) 79:70 (93:107) *რადნიჩკი (იუგოსლავია)*

*არსენალი (რუსეთი)* 94:87 (69:69) ირაკლიონი (საბერძნეთი)

*აეროპორტი (იტალია)* 88:83 (70:64) ოკაპი (ბელგია)

*ციტლიუკი (ბოსნია)* 83:57 (54:79) ბამბერგი (გერმანია)

*ბეშიქთაში (თურქეთი)* 80:81 (79:76) ფორუმი (ესპანეთი)

*გალათასარაი (თურქეთი)* 74:67 (70:75) ალიტა (ლიტვა)

**მერვედფინალი. 13 და 20 იანვარი**

რადნიჩკი (იუგოსლავია) – პანიონიოსი (საბერძნეთი)

გალათასარაი (თურქეთი) – ოსტენდე (ბელგია)

დიჟონი (საფრანგეთი) – აპოლონი (საბერძნეთი)

ბეშიქთაში (თურქეთი) – ციტლიუკი (ბოსნია)

დუკატო (იტალია) – შიაულიაი (ლიტვა)

ადეკო (ესპანეთი) – პოგონი (პოლონეთი)

ბარსელონა (ესპანეთი) – დარუშაფაკა (თურქეთი)

აეროპორტი (იტალია) – არსენალი (რუსეთი)

# ააცილა, რათა ჩაეგდო

17 დეკემბერი
თბილისი
ვერის ბაღი
9 ტური

**შევარდენი 91:93 სდასუ**

I ტაიმი 51:42
შევარდენი: კაზანჯიანი (4), გაგნიძე (13), ხობელია (9), აკოლაშვილი (33), ნუცუბიძე (28); არსიაშვილი (5)
სდასუ: უძილაური (15), თორთლაძე (38), გიგაური (15), გიგაშვილი (6), ქევხიშვილი (11); მაჭარაძე (2), ორჯონიკიძე (4), არჩვაძე (2), აბულაძე
მსაჯები: მურმან ქურიძე, როლანდ ხომერიკი
დელეგატი: ნოდარ დარახველიძე

**წინა** „სარბიელში" გამოთქმული ვარაუდი, ერთხელაც იქნება, ვერის საკალათბურთო დარბაზში უსასყიდლოდ შესვლის მიუხედავად მაყურებლის თამაშებზე მისვლა დაეზარებაო, უმალვე აგვიხდა. „შევარდენი" — სდასუ-ს შეხვედრის დასაწყისში ტრიბუნებზე თითო-ოროლა კაცს თუ მოჰკრავდით თვალს. აქამდე სპორტსმენთა ახლობელ-ნათესავები მაინც მოდიოდნენ, ახლა არც ესენი ჩანდნენ და არც სდასუ-ს (აქამდე უხვრიცხოვანობით ქებული) მხარდამჭერთა არმია... ორივე გუნდის მოთამაშეები გაყინულ დარბაზში წყნარად გადიოდნენ მოთელვას. არადა, საბრძოლო შემართება არც ერთ მხარეს აკლდა...

მერე და მერე მაყურებელიც გამოჩნდა, თუმც მათი სიმცირე მაინც თვალშისაცემი იყო. არადა, ეს მატჩი მეტ ყურადღებას იმსახურებდა. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ „შევარდენსაც" და სდასუ-საც ტოლი მოგება და, შესაბამისად, თანაბარი ქულები ჰქონდათ. თანაც სტუდენტური გუნდი აღმასვლის გზას დაადგა და მის ქომაგსაც უფრო უნდა დაევასებინა... არც „შევარდენი" ჩანს ბოლო ხანებში ჯაბანი. მხარდაჭერა მასაც არ აწყენდა...

მსაჯებმა მეტოქეები მოედანზე იხმეს და შეხვედრაც დაიწყო — ერთ მხარეს საგრძნობლად მოძლიერებული სდასუ იდგა, მეორეზე — მხოლოდ ენთუზიაზმზე დაყრდნობილი „შევარდენი"...

სტუდენტების ბედი თორთლაძე-უძილაურის ტანდემმა წაღმა შემოაბრუნა. გუნდიც შარშანდელი პრიზიორის შესაფერის რიხს იბრუნებს და უფრო მაღლა და მაღლა სვლას ლამობს. „შევარდენიც" მოძლიერდა. ეს კლუბი აკოლაშვილის და გაგნიძის შემომატებამ აქამდე ორი გამარჯვებით მოიყვანა, მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო. ახლა განცდილი სიხარულიც დალეულა და სათადარიგო სკამის სიგრძეც ექვსი მოთამაშით სდასუ-სთან საპაექროდ გამოსულ „შევარდენს", მატჩის პირველი წუთები კარგს არაფერს უქადდა.

პირველივე წუთებიდან მართლაც რომ საგალალო დღეში აღმოჩნდა ეს გუნდი. მეტოქესთან სიმაღლეში დიდად ჩამორჩენა ფარზე ბრძოლის დათმობაში აისახა, საკუთარ ნახევარზე ზონური დაცვა კი ერთობ სუსტად გამოიყურებოდა და სტუდენტებმაც გაილაღეს. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, სდასუ ამ ბარიერს ადვილად დაძლევდა. მწვრთნელთა ჩანაფიქრიც, რომ თორთლაძე-უძილაურის კოზირი ნაკლებად გამოეყენებინათ და აქცენტი სხვა რგოლების მეტად წარმოჩენაზე გადაეტანათ, გამართლებული იყო. თუმცა უსახური დასაწყისის მიუხედავად, შევარდენელთა ბრძოლისუნარიანობის დაუფასებლობაც არ შეიძლებოდა. ეს გუნდი ხომ თითოეულისთვის უხერხული მეტოქეა და ტოლსწორად პაექრობა ყველასთან შეუძლია. ასეც მოხდა. სანამ სდასუ ყველა რგოლის თანაბრად ამოქმედებით იყო დაკავებული და ხშირად სცოდავდა, შევარდენელებმა ძალ-ღონე მოიკრიფეს, გუნდმა საოცარი თავგამოდებით დაიწყო ბრძოლა და პირველი 5 წუთი სათავისოდ, ერთი ქულის სხვაობით დაასრულა. თავგამოდებას და შემართებას „შევარდენის" ექსცენტრიდან ვერავის დავუკარგავთ, მაგრამ მათი ცენტრი, ნუცუბიძე განსაკუთრებულად გაისარჯა. ეს ბიჭი საკუთარ ფარზეც ხშირად ყოჩაღობდა და შეტევებშიც მარჯვობდა. მის შესაჩერებლად ერთურთს ქევხიშვილი, გიგაშვილი და მაჭარაძე ენაცვლებოდნენ, მაგრამ ამაოდ. ნუცუბიძე ტანმაღალ მეურვეებს კარგადაც უსხლტებოდა და მასთან ბრძოლაში კიდეც ჯარიმდებოდნენ.

მას თანაგუნდელებიც აჰყვნენ და ტაიმის შუახანს „შევარდენის" უპირატესობა გამოიკვეთა. სდასუელები მდგომარეობის გამოსწორებას სწრაფი, გააზრებული თამაშით ცდილობდნენ. საქმე დაცვაშიც გამოასწორეს და სამი წუთის განმავლობაში მეტოქეს ქულაც არ აალებინეს. სტუდენტებში ლიდერობა კვლავინდებურად თორთლაძემ იტვირთა და ზუსტ სამიანს რამდენიმე გარღვევაც მიაყოლა. პირველ ნახევრის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე ახლა „შევარდენი" მოგვევლინა მდევრის როლში — 39:38. თითქოს სდასუ-ს წინსვლა უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ... დარჩენილ დროში შევარდენელებმა იძალეს და 13 ქულა მიითვალეს, როცა მეტოქემ მხოლოდ 3 ქულა გაახერხა. ამიტომაც პირველი ტაიმის შესამჩნევი სხვაობით დამთავრებაც ლოგიკური გახლდათ — 51:42.

მეორე ნახევრის დასაწყისში კვლავ „შევარდენმა" გაილაღა. აკოლაშვილმა და გაგნიძემ რიგრიგობით სამიანებით დასეტყვეს სდასუ-ს კალათი. ნუცუბიძემაც ძველებურად ივარგა, ორქულიანებიც მიამატა და ჯარიმებიც გამოიყენა... ასე რომ, სტუდენტებმა საწყისი ორი წუთი პირწმინდად (2:10) დათმეს. ამ პერიოდში სდასუ-ს თავისი ახალწვეულნი დიდად ვერ დაეხმარნენ, მათ შორი სროლებიც არ წაუვიდათ და დაცვაშიც უჭირდათ. ყველაფერმა ამან პრიზიორები აალელვა. მეტოქის ალაგმვას ხშირი დაჯარიმებით ცდილობდნენ. შეიძლება ითქვას, მცირერიცხოვანი „შევარდენი" მიზანს უახლოვდებოდა, ვილას ახსოვდა დაღლა თუ კაცთნაკლულობა, ცხრამეტ ქულას იგებდნენ 68:49.

სდასუ-ს თავკაცები ყველა ღონეს ხმარობდნენ ბედის შემოსაბრუნებლად, ხშირ-ხშირი ცვლილებები ოპტიმალური შემადგენლობის შესარჩევად, გამიზნული ჯარიმების მიღება, დაცვა მთელ მოედანზე. ასე რომ, მწვრთნელებიც და მოთამაშეებიც ყველანაირად ცდილობდნენ. მათ მონდომებას ნუცუბიძის 4 პერსონალურით დაჯარიმება მალამოსავით მოეფინა. ცენტრებიც უფრო გაყოჩაღდნენ და გიგაურმაც სამიანები ამოქმედა. შეხვედრის დრო და სხვაობაც ნელ-ნელა მცირდებოდა და უპირატესობას თანდათან სდასუელები ეუფლებოდნენ. სტუდენტთა დარად „შევარდენიც" დაცვას მეტ ყურადღებას უთმობდა, მაგრამ 19-ქულიანი მარაგი მაინც გაქრა... „ექსკაცა" არ ტყდებოდა, არც ძალით დაჯარიმებას ერიდებოდა. თუმც უთანასწორო შერკინებამ თავისი გააკეთა — დაიღალნენ. ორივე მხარეს ჭიდილთაღელვა მოერიდა, რაც მატჩსაც დაეტყო, გახშირდა არაზუსტი სროლები და ფუჭი შეტევები. გუნდებს ჯარიმების შესრულება ძლიერ გაუჭირდათ. ყველაფერი ეს კი ანგარიშის გათანაბრებაშიც აისახა — ხან ერთი დაწინაურდებოდა, ხანაც — მეორე.

სტუდენტები უძილაურისა და თორთლაძის სამიანებით დაწინაურდნენ. მათ აკოლაშვილი და ნუცუბიძე ეპასუხებიან, რის შედეგადაც გუნდები კვლავ თანაბრად მიდიან.

კულმინაცია კი მატჩის დამთავრებამდე 15 წამით ადრე დადგა, როცა ანგარიში საყაიმო იყო — 91:91. შეტევაზე სდასუა, რომელიც ამ დროის ბოლომდე გამოყენებას ცდილობს. თორთლაძის შესვლა უშედეგოდ დამთავრდა, მაგრამ ბურთი თავადვე მოხსნა და მიზანსაც მიაღწია... დროც ამოიწურა.

**მამუკა ტულუში**



შევარდენი — სდასუ. გუშინ სტუდენტებს დავით თორთლაძის ბოლო წამზე ნასროლმა მოაგებინა

# მაკაბიმ მოგება ბოლოდან დაიწყო

17 დეკემბერი
თბილისი
ვერის ბაღი
9 ტური

**მაკაბი 96:86 დინამო**

I ტაიმი 38:33
მაკაბი: დ. ბერიშვილი (17), ი. ბერიშვილი (8), პაპასკირი (2), ტალაბაძე (26), ფერიაშვილი (38); მჭედლიშვილი (2), ლასარეიშვილი (3), ზ. ხუხაშვილი
დინამო: ნიკოლაძე (23), ნიკლაური (12), შანიძე (24), მეჭურჭლიშვილი (3), ნინიაშვილი (9); ჭყონია (1), ხეცურიანი, ახვლედიანი (6), ყველაშვილი (8), მანველიშვილი
მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ზურაბ აბაშიძე
დელეგატი: ნოდარ დარახველიძე

**დიდხანს** ელოდა ამ დღეს „მაკაბის" მწვრთნელი ვაჟა მხეიძე. გულშემატკივარიც დიდხანს უცდიდა საქომაგო გუნდის პირველ გამარჯვებას. ლიდინმა არც მეტი, არც ნაკლები ორთვენახევარს გასტანა. ოქტომბრიდან მოყოლებული, რაც მერვე პირველობა დაიწყო, „მაკაბის" გამარჯვების გემო არ გაესინჯა. წაგებით კი ექვსჯერ წაეგო.

და აი, პირველ წრეში ყველასგან ძლეულმა თვით „დინამო" დაამწუხრა. ეს გუშინ, წრის უკანასკნელ, მეცხრე ტურში მოხდა, რითაც მაკაბელებმა შესაშური საახალწლო საჩუქარი მიუძღვნეს ვაჟა მხეიძეს და თვითონაც თავაწეულები წავიდნენ საშობაო არდადეგებზე.

„მაკაბისგან" განსხვავებით, „დინამომ" შვებულება ჩაიშხამა, სტუ-სთან და თსუსთან მარცხების შემდგომ გუნდმა ახლა „მაკაბისთანაც" წააგო, რითაც ნაწილობრივ პრესტიჟიც შეილახა და სატურნირო მდგომარეობაც გაიუარესა. სტუდენტურ გუნდებთან გამართულმა ბრძოლებმა ლევან მოსეშვილის შეგირდებს წარმოუდგენლად ბევრი ძალა წაჰგვარა და გუშინ არაქათგამოცლილ „დინამოს" მეტოქე საკმაოდ ადვილად გაუსწორდა. არადა, ისედაც „მოკლე სკამით" განთქმული „მაკაბი" სულაც ერთ-ერთი ლიდერის გარეშე თამაშობდა — მალხაზ ანდღულაძე ვერის ბაღში საერთოდ არ გამოჩენილა. აი, „დინამომ" კი ვანო მეჭურჭლიშვილი დაიმატა, რომელიც წინა მატჩში ვერ დაეხმარა თავისიანებს.

შეხვედრა გუნდებმა ნერვიულად დაიწყეს. პაპასკირმა და შანიძემ სამიანებით სცადეს ანგარიშის გახსნა — უშედეგოდ. „დინამოს" სწრაფი შეტევა არ გამოსდიოდა და დაცვაშიც ხშირად ჯარიმდებოდა, რაც ირაკლი ბერიშვილმა თავის სასარგებლოდ გამოიყენა და ორი ზუსტი ჯარიმით თავისიანები დააწინაურა. ბერიშვილს უმალ ლევან წიკლაურმა უპასუხა ინდივიდუალური გარღვევით, რასაც გიორგი ნიკოლაძის შორეული 3-იანიც მოჰყვა და წინ „დინამო" გავიდა 5:2. ამის შემდეგ „მაკაბი" გააქტიურდა. ეს შედეგზეც აისახა, როცა მათ დაცვის მეტად ორგანიზებულობაზე იწყეს ფიქრი. გუნდმა ზონური თავდაცვა ირჩია, რომელსაც ფერიაშვილი ხელმძღვანელობდა, უკანა ხაზზე კი ტყუპი ბერიშვილები მოქმედებდნენ შეთანხმებულად. მოწინაალმდეგის დაცვა „დინამოსთვის" არცთუ ადვილი დასაძლევი აღმოჩნდა. მათი შეტევები ხშირად ბერიშვილების საკბილო ხდებოდა, რომლებიც სწრაფად გადადიოდნენ მეტოქის ნახევარზე და ფერიაშვილ-ტალაბაძეს გააზრებული პასებით ამარაგებდნენ. გამოცდილი ექსდინამოელები კი ზედმეტი დაძაბულობის გარეშე უსწორდებოდნენ „ნორჩ დინამოელებს", რომელთა დაღლილობაც უფრო და უფრო თვალშისაცემი ხდებოდა.

პირველ ნახევარში დინამოელებს ორჯერ მიეცათ ამოსუნთქვის საშუალება, რასაც ისევ ენერგომუშაკებს უნდა „უმადლოდნენ": დარბაზში ორჯერ შუქი ჩაქრა და მატჩსაც ჩაშლის საფრთხე დაემუქრა. ნაცნობი სურათია, არა?

ბედი მაქვსო, „მაკაბიმ" უნდა დაიკვეხოს. ალმაფრენით მობურთალნი ძაბვამ ბოლომდე არ გაწირა და ხანმოკლე შესვენებების შემდეგ თამაშიც განახლდა.

„დინამომ" ხუთქულიანი ჩამორჩენა არაფრად ჩააგდო და ძალები მოიკრიბა, განსაკუთრებით შანიძე-ნიკოლაძე გააქტიურდნენ, მაგრამ საქმე შორს აღარ წასულა, რაშიც ძირითადად ფერიაშვილი იყო „დამნაშავე", რომელიც დამუშავებული კომბინაციის დამაგვირგვინებელ ფაზაში აუღელვებლად მოქმედებდა.

ტაიმის მიწურულს „დინამომ" პრესინგიც მოსინჯა. ამან თითქოს შედეგიც გამოიღო და ერთ ხანს წამოეწივნენ კიდეც მეტოქეს, მაგრამ ბერიშვილებმა ადვილად აუღეს ალღო მოსეშვილის ჩანაფიქრს და ვერც „დინამო" მარჯვობდა დაცვაში მაინცდამაინც. ეს განსაკუთრებით მათ ტანმაღალ მოთამაშეებზე ითქმის, რომლებიც ხშირად გაუმართლებლად ჯარიმდებოდნენ. ამიტომაც იყო, რომ ნინიაშვილსა და მეჭურჭლიშვილს პირველ ტაიმშივე ოთხ-ოთხი ჯარიმა დაუგროვდათ, რაც „დინამოსთვის" ავის მომასწავებელი იყო.

მიუხედავად ამისა, „დინამომ" ტაიმი მხოლოდ ხუთი ქულით 33:38 დათმო, მაგრამ განახლდა თამაში და გაცხადდა, რომ მათი წაგება გარდაუვალი იყო. თუ ისინი მანამდე ფერიაშვილს ავად თუ კარგად უმკლავდებოდნენ, მეორე ნახევარში „ფერო" შეუჩერებელი გახდა და ზედიზედ აგვირგვინებდა გუნდის შეტევებს. მას ტალაბაძემ და ბერიშვილებმაც აუბეს მხარი და შეხვედრის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე „მაკაბი" უკე ოცი ქულის სხვაობით იგებდა 65:45.

ეს იყო და ეს. თამაშს დამატებითი ინტრიგა აღარც შეუძენია და „დინამო" ისევ ელექტროენერგიის „იმედზე" დარჩა, ამ უკანასკნელმა კი „მაკაბის" გარჯა წყალში არ ჩაუყარა და ნანატრი გამარჯვება დააგემოვნებინა.

**გიორგი ბიკაშვილი**



მაკაბი — დინამო. მაკაბელი პაპასკირის (მარცხნივ) და დინამოელი ახვლედიანის საკალათბურთო „ვახტანგური"

# ნუ მატყუებთ!



ალექსანდრე ქოთოლაშვილის ფოტო

1996 წელი. ატლანტის ოლიმპიადა. ელდარ კურტანიძემ ამერიკელ მელვილ დუგლასსაც აჯობა

დასაწყისი პირველ გვერდზე

**— მუქარა ახსენე. შენს მიმართ ასეთებიც იყო?**

— დიახ, იყო ასეთიც. ფედერაციიდან მემუქრებოდნენ, რომ თუ საქართველოს ნაკრებში არ დავრჩებოდი, როგორც სპორტსმენი, გავქრებოდი, არ ვიარსებებდი, ვერ მივიღებდი კუთვნილს. მე ცხოვრებაში ყველაზე დიდი — მამა და სახლ-კარი დავკარგე. ამაზე მეტი რა უნდა დამეკარგა.

**— ისევ განცხადებას მინდა დავუბრუნდე... ამან წარმოშვა ეჭვი, რომ სხვა ქვეყნის ნაკრებში აპირებ გადასვლას. ამაზე რას იტყვი?**

— ჩემთვის გაუგებარია, ვის შეიძლებოდა ეს აზრი მოსვლოდა. საქართველო ჩემთვის მარტო დაბადების ადგილი არაა. ეს უფრო მეტია. ეს ჩემი სამშობლოა. უმისოდ ერთი თვის მეტს ვერ ვძლებ. გერმანიაში საუკეთესო პირობებში ვცხოვრობდი. იქ თავი რომ კარგად მეგრძნო, ამაზე რამდენიმე ადამიანი ზრუნავდა, არაფერი მაკლდა, მაგრამ მაინც ეს გაპარტახებულ-გაჭირვებული ქვეყანა მირჩევნია ყველას და ყველაფერს. აღელვებული, აფორიაქებული იმიტომ ვლაპარაკობ, რომ ღმერთმა გაცილებით დიდის მიღწევის უნარი მომცა, მაგრამ საამისო პირობები არ მაქვს. ამის მიუხედავად, იმ დიდის სხვაგან მიღწევაზე არ ვოცნებობ. ეს მხოლოდ საქართველოს სახელით და დროშით მინდა.

**— ვიცი, რომ უცხოელები თავიანთ ნაკრებებში გიწვევენ.**

— მიწვევები მართლაც არის და ეს ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტმაც მშვენივრად იცის. მასთან ზოგიერთებს მოლაპარაკებაც კი ჰქონდათ. გარკვეული მოსაზრებების გამო არ გისახელებთ იმ ქვეყნებს, მაგრამ გეტყვით, რომ საოცარ პირობებს მთავაზობენ. ლაპარაკია არა მარტო ჩემზე, ჩემი ოჯახის წევრების დასაქმებასაც კი მპირდებიან. როცა მე ვიუარე და ამის ერთ-ერთ მიზეზად ჩემი პირადი მწვრთნელი გია გალდავა დავასახელე — ვერ ვუღალატებ-მეთქი, მითხრეს, ოღონდ წამოდი და მას ნაკრების მთავარ მწვრთნელად დავნიშნავთო. ერთი სიტყვით, ჩემს გადასაბირებლად ყველაფერზე თანახმა იყვნენ, მაგრამ უცხოეთში გადასვლას არ ვაპირებ.

**— იმ ქვეყნების დასახელება რატომ არ გსურს? ვიცი, რომ ჩვენს ფედერაციას უზბეკეთიდან შეეხმიანნენ...**

— უზბეკეთის გარდა შემიძლია უკრაინა და რუსეთი დაგისახელოთ. დანარჩენებზე კი აღარას ვიტყვი.

**— რატომ? ისინი, ალბათ, მეორეხარისხოვანი საჭიდაო ქვეყნებია.**

— მთლად ასეც არაა. ჭიდაობის სამყაროში ისინი სუსტებად არ ითვლებიან.

**— კი ამბობთ, არ მივდივარო, მაგრამ რომც ისურვო, ქართული მხარე უფლებას არ მოგცემს. ასეთ შემთხვევაში კი ოლიმპიადაზე ვეღარ გახვალ.**

— მათ იმისი საშუალებაც აქვთ, რომ ფილადან მოყოლებული, ოლიმპიური კომიტეტით დამთავრებული, ყველას დაავიწყონ, სად ჭიდაობდა შარშან ელდარ კურტანიძე.

**— საშუალებაში რას გულისხმობ?**

— იმას, რაც ჯოჯოხეთსაც კი ანათებს.

**— შენი განცხადება ცოტა შანტაჟსაც ხომ არ ჰგავს?**

— არაფერი ამის მსგავსი. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ეს გამორიცხულია.

**— ჩემთვის ისიც ცნობილია, რომ საქართველოს ოლიმპიურმა კომიტეტმა მოგმართა კონტრაქტის გასაფორმებლად, მაგრამ ხელი არ მოაწერე.**

— კონტრაქტზე ხელი ჩემი განცხადების დაწერიდან მეორე თუ მესამე დღეს უნდა მომეწერა, ამიტომ ოლიმპიურ კომიტეტში მისვლა მიზანშეუწონლად ჩავთვალე. ერთსაც გეტყვით — ეს კომიტეტი რომ არ იყოს, ქართული სპორტი, ალბათ, არც იარსებებდა. ჩვენი წამყვანი სპორტსმენები თუ რამეს იღებენ, ისევ ოლიმპიური კომიტეტისგან.

**— დეპარტამენტი ამბობს, რომ მას შენი ვალი არა აქვს, ხოლო ის მიუღებელი ფული კერძო ფირმას უნდა მოეცა. ისინი მზად არიან, თანდათანობით გაგისტუმრონ ეს დავალიანება შენც და სხვებსაც. ეს თუ შეგატყობინეს?**

— ამას უკვე ორი წელია, მპირდებიან, მაგრამ ჯერჯერობით საშველი არ ჩანს. უნდა შეიქმნას ისეთი სისტემა, რომ ინფლაციამ ჩვენ არ დაგვაზარალოს. უნდა მოგვცენ გარანტია, რომ ეს ფული არ დაგვეკარგება. გადაიანგარიშონ მაშინდელი დოლარის კურსით და იმის მიხედვით გადაგვიხადონ. თანახმა ვარ, მომცენ ნაწილ-ნაწილ, ეტაპობრივად, ოღონდ იყოს მიღებისა და ინფლაციისგან დაცვის გარანტია. მე ვითხოვ მხოლოდ კუთვნილს. არც სხვისი და არც დამაღლებული არაფერი მინდა. ამ გაღარიბებულ ქვეყანაში, როცა მოსახლეობის დიდი ნაწილი ათლარიანი პენსიით ცხოვრობს, მისაღებ თანხას ზუსტად ვერ დავასახელებ. დეპარტამენტს სჩვევია — როგორც კი დავალიანებაზე დავიწყებდით ლაპარაკს, მაშინვე მიღებულ თანხებს ამოგვიქექავდნენ. ჩემი დავალიანების გამო პირადად კახი ასათიანთან ვერ შევიდოდი. ახლა, ალბათ, ესეც მომიწევს და მჯერა, ჩემი პრობლემაც გადაწყდება. ისიც მგონია, რომ მას მოადგილეები ატყუებდნენ. ყოველ შემთხვევაში, მათ მე იმდენჯერ მოვუტყუებივარ...

**— ჩოლარიას ნაცვლად ლერი ხაბელოვის დანიშვნაც, ალბათ, შენს წისქვილზე ასხამს წყალს?**

— მისი ყველას გვეიმედება, მაგრამ წინამორბედმა იმდენი პრობლემა დაუტოვა, რომ...

**— ელდარ, დეპარტამენტისგან მოტყუებული მხოლოდ შენ ხომ არ ხარ. მათ შორის ტიტულოვანები — ევროპისა და ოლიმპიადის ჩემპიონები არიან. ყველამ რომ ნაკრებზე უარი თქვას, რა გამოვა?**

— ჩვენ გვპირდებიან იმის მინიმუმს, რასაც უცხოეთში ჩვენი კოლეგები იღებენ, მაგრამ მაქსიმუმს საქართველოს პირობებში. ჩვენ ვითხოვთ მინიმუმს ჩვენი ქვეყნის პირობებიდან გამომდინარე.

**— ტურნირებზე წასვლის სანაცვლოდ ოდესმე გარკვეული პრეტენზიების დაკმაყოფილება თუ მოგითხოვია?**

— 1992 წელს გავხდი ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებში. იმავე წელს დიდებში გავედი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალში. თანაც, მსოფლიოზე ნახევარფინალში მახარბეკ ხადარცევს მოვუგე. 1993-ში ჩემს წონაში რეიტინგით პირველი გავხდი. უკან მოვიტოვე თვით ოლიმპიური ჩემპიონი მახარბეკ ხადარცევი. მაშინ მხოლოდ 20 წლისა ვიყავი.

მოგეხსენებათ, 1993 წელს მე და ჩემმა ოჯახმა სოხუმი დავტოვეთ. თავდაპირველად რუსთავში ნათესავთან შევაფარეთ თავი. მომდევნო წლის იანვრიდან დეპარტამენტმა მძლეოსნობის ფედერაციის საერთო საცხოვრებელში გადმომიყვანა. იყო ცივი ზამთარი, ყინვა, მყავდა ორი პატარა ბავშვი, მე კი ლუმელსაც არ მალგმევინებდნენ, კვამლი ოთახს გააშავებსო. გათბობის სხვა საშუალება არ მქონდა და რა მექნა შვილებისთვის? ბოლოს მაინც ვიძალე და ლუმელი ძალით დავდგი. გარდა ამისა, დეპარტამენტი მძლეოსნობის ფედერაციას არ უხდიდა ჩემი ბინის ქირას. თვე არ გავიდოდა, მათგან ვინმე რომ არ მოსულიყო და ამის გამო ბინის დაცლა არ მოეთხოვა. მოკლედ, ასეთ დღეში ვიყავი. ტურნირზეც კი ვერ მივდიოდი იმის შიშით, რომ ჩემს არყოფნაში ჩემი ოჯახი ბინიდან არ გამოეგდოთ. როგორ ფიქრობთ, ნუთუ არავის შეეძლო ჩემი დახმარება? მე ხომ რიგითი სპორტსმენი არ ვიყავი. სხვა თუ არაფერი, ჩემს წონაში უძლიერესი გახლდით. ამიტომ 1995 წლის იანვარში მოვითხოვე, ეყიდათ ჩემთვის ბინა თბილისის ნებისმიერ უბანში. პრესტიჟულ ადგილზე არ მქონდა პრეტენზია. ამის შემდეგ კიდევ იყო ერთი შემთხვევა, როცა კუთვნილი მოვითხოვე და მომცეს კიდეც.

**— ზემოთქმულიდან გამომდინარე, მრჩება შთაბეჭდილება, რომ ფედერაციის კმაყოფილი არ ხარ.**

— ჩემი წასვლის შემდეგ მათგან მხოლოდ გენერალური მდივანი ომზარ შოშიტაშვილი გაისარჯა, მაგრამ ის ვერ გადაწყვეტს ფედერაციის საერთო პრობლემებს. ჩემი, როგორც ლიდერის, საკითხი საერთო ძალისხმევით უნდა გადაწყდეს. საამისო დაინტერესება არაა. არადა, ჩემს ჯიბეში კი იყურებიან.

**— მიგაჩნია, რომ შენი პრობლემების გადაჭრა ფედერაციას შეუძლია?**

— როცა მეორედ მოვითხოვე კუთვნილი თანხა, გობეჯიშვილმა ასათიანთან მაღწია შეთანხმებას. რომ მოინდომოს, ალბათ, დღესაც შეძლებს. თუ მას ჩემი დაბრუნება უნდა, ეს საკითხი მოგვარდება.

**— რომ ვერ მოგვარდეს, რას იზამ, ნაკრებში არ მიბრუნდები?**

— თუ ფედერაცია არა, მაშინ ოლიმპიური კომიტეტი მაინც იღონებს რამეს. ბოლო-ბოლო, ჯანო ბაგრატიონისა მეიმედება.

**— ვთქვათ და, ვერც ოლიმპიური კომიტეტი დაგეხმარათ, მაშინ?**

— არა მგონია, ყველამ მომატყუოს. როცა აქედან წავედი, გავრცელდა ხმები, რომ თითქოს მთავარი მწვრთნელის გადაყენებას მოვითხოვდი. ამის მსგავსი არაფერი ყოფილა. მთავარ მწვრთნელთან საპრეტენზიო რა მაქვს. თუ გადადგომაა, გადადგეს ის, ვისთვისაც მინდობილი საქმე მეორეხარისხოვანია.

**— ვის გულისხმობ?**

— თავად იციან, ვის ეხება ჩემი ნათქვამი.

**— განცხადების დაწერის მერე თუ მოგმართა ვინმემ ფედერაციიდან, თუ დაინტერესდნენ?**

— არავინ შემხმიანებია. როცა მივდიოდი, მაშინაც მხოლოდ ბატონმა ჯანო ბაგრატიონმა ჩამიკრა გულში, მამაშვილურად გადამეხვია და ჩემი პრობლემების მოგვარება აღმითქვა. კიდევ თავისუფალი სტილით მოჭიდავე იუნიორთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის, ბატონ ნუგზარ სხირელის თვალებზე შევნიშნე ცრემლი. მან იცის, დიდი სპორტსმენის გამოზრდას რაც სჭირდება და იმიტომაც დასწყდა გული.

**— საუბრის დასაწყისში გადატვირთვები ახსენე. მსოფლიოს ჩემპიონატის მოსამზადებელ ეტაპზე წინააღმდეგობები ხომ არ ყოფილა? თუ გქონდა სრულყოფილი დახმარება?**

— თუ შეკითხვის ობიექტად ნაკრების მთავარ მწვრთნელ ზაზა თურმანიძეს მიიჩნევ, გეტყვი, რომ მას არაფერი დაუკლია. იგი საქმის ენთუზიასტი და ძალიან მონდომებულია. რაც მას ევალებოდა, გააკეთა. მაგრამ ყველაფერი მისი გადასაწყვეტი არაა. ნაკრებს ექიმიც კი არ ჰყავდა, ჩვენი ჯანმრთელობა რომ შეემოწმებინა. დატვირთვის ზღვარი განსაზღვრული არ იყო, რაც სამომავლოდ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ. ჩემი გადატვირთვაც ამის ბრალია. ექიმი რომ ყოფილიყო, მსოფლიოს ჩემპიონატზე წასაყვანი არც ვიყავი.

**— შენს გადაღლილობას გერმანულ კლუბში გამოსვლასაც აბრალებენ...**

— გერმანიაში ევროპის ჩემპიონატის წინ ვჭიდაობდი. თუ ეს იყო მიზეზი, სწორედ მაშინ უნდა ეჩინა თავი. არადა, ისე გავხდი ჩემპიონი, ქულა არ დამიკარგავს.

**— მსოფლიოს ჩემპიონატზე წარუმატებლობა მხოლოდ ამის ბრალია?**

— მსოფლიოს ჩემპიონატზე წასვლა უნდა გიხაროდეს, მე კი არ ვიცოდი, წავსულიყავი თუ არა. ეს დამთრგუნველია. მსაჯმაც მიმუხთლა. თანაც მოწამლული ვჭიდაობდი. სხვა პირობებში წარმატებისთვის იქნებ იოლადაც მიმეღწია, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატიდან ჩამოსვლის შემდეგ გამოკვლევა ჩავიტარე და ავადმყოფობა დამიდგინდა. საწყენია, როცა ამ მდგომარეობაში ჩამოდიხარ სამშობლოში და აქ დახმარების ნაცვლად კიდევ უფრო მძიმე დღეში გაგდებენ.

**— გარმულევიჩი მანამდე დამარცხებულიც გყავდა, მაგრამ მსოფლიოზე მაინც წააგე, თანაც საკუთარ ილეთს წამოეგე. ეს ტექნიკური ნაკლიც ხომ არ არის?**

— იმ შეხვედრაში ვფრთხილობდი, ენერგიას ვზოგავდი. მას არაერთხელ შევხვედრივარ და პირველად მომიგო. მისთვის შანსი არასოდეს მიმიცია.

**— მსოფლიოს ჩემპიონატზე გობეჯიშვილის წამოსვლა აუცილებელი ხომ არ იყო?**

— როცა შენს გვერდითაა მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ეს სპორტსმენისთვის დიდი ფსიქოლოგიური დახმარებაა. მაგრამ მან შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი საქმის გამო ვერ მოახერხა იქ წამოსვლა. ამაში ვერ გავამტყუნებ.

**— ელდარ, რამდენჯერმე მოიხსენიე თავი ლიდერად. აღიარებს თუ არა ამას ფედერაცია ან გუნდი? საერთოდ, როგორი უნდა იყოს ლიდერი?**

— დავიწყებ ბოლოდან. ლიდერი უნდა იყოს მისაბაძი სხვებისთვის, უნდა იყოს მეგობრულიც. მას სხვები, განსაკუთრებით კი მომავალი თაობები უყურებენ. წელანაც გითხარით, ასე ვიზრდებოდი მეც გობეჯიშვილისა და ხაბელოვის მაგალითზე და ვცდილობდი, მათთვის მიმებაძა.

რაც შეეხება გუნდსა და ფედერაციას, ვიცი ამ საკითხზე ჩვენს პრესაში გამოთქმული აზრები. ჩემს გუნდში შუღლი და მტრობა არაა, ძალიან შეკრული ვართ. ყველა მათგანი მიყვარს და ყველას ძმასავით ვუყურებ. ძალიან მწყინს, როცა გობეჯიშვილი ლიდერად არ მთვლის. დღევანდელ ნაკრებში ტიტულების მიხედვით ლიდერები მე და დათო პოღოსიანი ვართ. უნდა თუ არა გობეჯიშვილს, ეს ასეა. მე მისთვის არასოდეს მიღალატია. მას ყოველთვის უფროს მეგობრად, ლეგენდად და ჩემს იდეალად ვთვლიდი. დღესაც ასეთად მივიჩნევ, მაგრამ სულში არავის ჩავაფურთხებინებ. მწყინს, ჩემზე ასე რომ ლაპარაკობს. ეს ნაკრებზეც მოახდენს გავლენას.

**— დავანებოთ თავი განცხადებას, ნაკრებს, ფედერაცია-დეპარტამენტს და შენს გერმანულ კლუბზე ვისაუბროთ.**

— ესაა პატარა ქალაქ შავხაიმის გუნდი, რომელიც გერმანიის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გამოდის. წლეულს მეშვიდე ადგილი დავიკავეთ. საერთოდაც საშუალო დონის კლუბად ითვლება. ამჟამად მასთან კონტრაქტი დამიმთავრდა და წამოვედი.

გერმანიაში ყოფნით დანაკლისი ავინაზღაურე. იქ კომპიუტერით შედგენილი ინდივიდუალური პროგრამით ვემზადებოდი და უკვე მესამე ვარჯიშიდან მოვლონიერდი ფიზიკურად, კერძოდ, აშკარად გამიუმჯობესდა სუნთქვა. იქ ყოველმხრივ საუკეთესო პირობებში ვიყავი.

**— გერმანიაში წასვლას ისევ აპირებ? ახალი კონტრაქტი თუ შემოგთავაზა შენმა კლუბმა ან სხვამ?**

— კონტრაქტის გაგრძელება ჩემს კლუბსაც უნდოდა და ჩემი გადაბირების სხვა მსურველებიც იყვნენ. იქაურ ჩემპიონატში აპრილამდე შესვენებაა და მეც მანამდე მაქვს დრო მოსაფიქრებლად. ამჟამად თბილისში ჩამოვედი, რათა ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი — ნაკრებში ყოფნა-არყოფნის საკითხი გავარკვიო.

**— ვიცი, მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატსა და ოლიმპიადაზეც სერიოზულად ფიქრობ.**

— ორივე ჩემი ოცნებაა. მსოფლიოს ჩემპიონატზე აქამდე არ მიმართლდებოდა, მაგრამ ამ ოცნებას მაინც ავისრულებ.

**— ელდარ, ოლიმპიადისთვის ინდივიდუალური პროგრამით ემზადები. მსოფლიოს ჩემპიონობაზეც ძველებურად ოცნებობ. მოდი, ბარემ პირდაპირ მითხარი, რომ ნაკრებს უბრუნდები.**

— ეს მარტო ჩემზე არაა დამოკიდებული. თუ მომიგვარებენ პრობლემებს, დავბრუნდები.

**— ისევ სხვის ბოსტანში ისვრი კენჭებს. მე კვლავ იგივე მინდა გკითხო — თუ ეს პრობლემები არ მოგვარდა, მაშინ რას იზამ?**

— მაშინ, ალბათ, ისევ გერმანიის ჩემპიონატს დავუბრუნდები.

**— სხვა ქვეყნის ნაკრებშიც ხომ არ გადახვალ?**

— არასოდეს! ელდარ კურტანიძე სხვაგან არ წავა.

**— მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონობაზე ოცნებას ასე იოლად შეელევი?**

— მე სპორტს ყველაფერი შევწირე როცა სოხუმი დავტოვე, ჩემს ოჯახთან და ჩვილ ბავშვთან ერთად 12 დღე მოვდიოდი ჭუბერის უღელტეხილზე იმ საშინელ ამინდში. ჩამოსვლიდან 4 დღის მერე ვარჯიში განვაახლე. რუსთავიდან რამდენჯერ სატვირთო მანქანის ძარაზე გაყინული ჩამოვსულვარ, რამდენჯერ შიმშილისგან გულშემოყრილს არაფრის თავიც აღარ მქონია, მაგრამ ვარჯიში არ შემიწყვეტია. გაჭირვების მიუხედავად, გობეჯიშვილისთვის ერთი თეთრიც არ მომითხოვია. ღირსება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მსოფლიოსა და ოლიმპიადის ჩემპიონობა.

ჩვენი საუბარი ამით დასრულდა. კურტანიძის პოზიცია ბევრ საკითხში იქნებ საკამათოც იყოს. უეჭველია, ყველას თავისი აზრი ექნება, მაგრამ ეს მათი საქმეა. ჩვენ მხოლოდ ის გვსურს, საქართველოს კიდევ ერთ გამორჩეული სპორტსმენი არ დაეკარგოს. იმედი გვაქვს, მისი პრობლემები მოგვარდება. მით უმეტეს, ელდარს არც ის დაუმალავს, გობეჯიშვილთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენა ერთ მეგობრულ სიტყვას შეუძლიაო. საწინააღმდეგო აზრი თავის დროზე არც დავით გობეჯიშვილს გამოუთქვამს. გვჯერა, ისინი საერთო ენას გამონახავენ.

დამშვიდობებისას ელდარმა ესეც მითხრა, იმედი მაქვს, ჩემი საქმე ისე აეწყობა, მომავალში კიდევ ბევრჯერ შევხვდებითო. ღმერთს გულში მისი სურვილის ასრულება ვთხოვე. სხვა თუ არაფერი, ჩვენც ხომ ეს გვინდა!

ირაკლი თავაძე

რაგბი

# ყოჩი თუ ხარ, უნდა მოიგო!

**უცნაური სახეობაა რაგბი. ამ დალოცვილ ოვალურ ბურთს ერთხელ მაინც თუ მოკიდე ხელი, მერე ვეღარც შეეშვები. და აღარც იმას დაეძებ დიდად, გაქვს თუ არა წვრთნა-შეჯიბრის ხეირიანი პირობები. თუმცა, რომელ პირობებზეა ლაპარაკი, როცა ჩვენს მორაგბეებს არც ფული აქვთ და არც სტადიონი, მაგრამ ერთხელაც არავის დასცდენია, თუ ფულს არ მომცემთ, აღარ ვითამაშებო. ჩუმად აკეთებენ თავის საქმეს. ეს ყველაფერი კი რაგბის სიყვარულმა იცის. ჩვენი საუბარიც ქვეყნის ორგზის ჩემპიონთან, „ყოჩებისა“ და ეროვნული ნაკრების წევრთან ირაკლი გიორხელიძესთან ამ თემით დაიწყო.**



— რას ნიშნავს დღეს უფულობა, ყველამ იცის, მაგრამ ჩვენ ამის გამო მაინც არ ვწუწუნებთ. რაგბის უზომო სიყვარული გვაძლებინებს. თავად განსაჯეთ: ნაკრებს savარჯიშოდ პატარა მოედანიც არ აქვს, კლუბებზე აღარაფერს ვამბობ. ტრავმა რომ მიიღოს მოთამაშემ, ნორმალურად ვერც იმკურნალებს. მაგრამ არავის მოსვლია აზრად, თავი დაენებებინა რაგბისთვის. არც კი ვიცი, ამას რა დავარქვა. მოთამაშეები მუდამ ერთად ვართ, მიუხედავად იმისა, ვინ რომელ კლუბში თამაშობს. კლუბებშიც საოცრად გულთბილი ვითარებაა. „ყოჩებზე“ ვთქვათ თუნდაც: ბევრმა ყოჩმა, ამჟამად გუნდის ბირთვმა, ერთად დაიწყო თამაში, მაგრამ შემდგომ შემომატებულებს არასდროს უგრძვნიათ თავი მარტოდ.

**— რადგან ამაზე ჩამოვარდა სიტყვა, როდის და სად დაიწყეთ თამაში?**

— 1986 წელს, „ყოჩებში“. მაშინ ჩვენი მწვრთნელი ლაშა გეგენავა იყო. შემდეგ ირაკლი იმნაძე გვრწვრთნიდა, მერე ისევ ლაშა დაგვიბრუნდა.

**— აქამდე გამართულ ხუთ ჩემპიონატში ხუთი სხვადასხვა ჩემპიონი გვყავდა. წლეულს თქვენ ეს ტრადიცია დაარღვიეთ და ზედიზედ მეორედ გახდით უძლიერესნი...**

— საქართველოში ისე ცოტა გუნდია, რომ წლეულს თუ არა, გაისად მაინც დაირღვეოდა ეს ტრადიცია. რა თქმა უნდა, ძალიან გაგვახარა იმან, რომ ეს ჩვენ შევძელით. ჩემპიონობას მართლაც ვიმსახურებდით. სეზონის წინ საფრანგეთში საკმაოდ ნაყოფიერად მოვემზადეთ. ოთხივე მატჩი მოვიგეთ. მანამდე, იცით, ლაშა გარდაიცვალა. ეს საშინელება იყო. ვერც აგიწერთ, ისეთ დღეში ვიყავით. ამის შემდეგ ჩვენი მიზანი მხოლოდ და მხოლოდ ჩემპიონობა იყო. ყოველ მატჩზე მოსაგებად გავდიოდით და შედეგიც მოვიმკეთ: ერთი თამაშიც არ წაგვიგია.

**— „ყოჩებისთვის“ უხერხული მეტოქე რომელია?**

— უხერხული, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, „ექსპრესია“, სხვებზე მეტად მასთან თამაში გვიძნელდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ფინალში „დათვები“ შეგვხვდნენ და თითქოს მათთან თამაში უფრო უნდა გაგვძნელებოდა. მაგრამ ასე არ იყო. ისე არ გამიგოთ, თითქოს ბათუმელებს ვაკნინებდე. ყველაზე დასამახსოვრებელი შეხვედრა კი „გუმართან“ გავმართეთ. სამწუხაროდ, ეს კლუბი, ფაქტობრივად, დაიშალა, მაგრამ, იმედია, გაისად ისევ შეიკრიბებიან გუმარელები და ჩემპიონატს მეტ ინტრიგას შესძენენ.

**—მომავალი სეზონის დაწყებამდე ნაკრებს დიდი ბრძოლების გადახდა მოუწევს. მაგრამ ვიდრე ნაკრებზე ვიტყოდეთ, ჯერ ისევ „ყოჩების“ სამომავლო სამზადისზე ვთქვათ.**

— ნახალწლევს თბილისში დავიწყებთ მზადებას, მერე, იანვრის მეორე ნახევარში შეიძლება იტალიაში წავიდეთ საერთაშორისო ტურნირში სათამაშოდ. შემდგომ პერსპექტივაში ევროთასებზე და შავი ზღვის თასზე ასპარეზობაა. უფრო რეალური მეორეა, მაგრამ ზუსტად როდის მოეწყობა შავი ზღვის თასის გათამაშება, ჯერ არ ვიცით. ამ ტურნირში საქართველოს, რუსეთის, უკრაინისა და რუმინეთის კლუბები მიიღებენ მონაწილეობას. ამასობაში ნაკრებიც შეიკრიბება და...

**— როგორ შეაფასებდით ნაკრების ფრანგულ-ირლანდიურ ტურნეს. რა გაკეთდა ან რა შეიძლებოდა კიდევ გაკეთებულიყო.**

— იმით დავიწყებ, რომ ფრანგული ტურნეს მოწყობა აუცილებელი იყო ნაკრებისთვის. აქ, მოგეხსენებათ, არ არის ნორმალურად ვარჯიშის საშუალება. გარდა ამისა, ჩვენში არც არიან იმ დონის კლუბები, იქ რომ ვეთამაშეთ. თავად განსაჯეთ: ცხრა ფრანგულ კლუბს შევხვდით, ისინი კი რასაც წარმოადგენენ, აგერ, ევროთასების გათამაშებიდანაც კარგად ჩანს. ერთი სიტყვით, ყველაფერი გაკეთდა საიმისოდ, რომ რუმინეთისთვის მოგვეგო, მაგრამ იღბალმა გვიმტყუნა.

**— თქვენ ამ მარცხს უიღბლობას აბრალებთ, ზოგი კი მიზეზად ბიჭების გამოუცდელობას ასახელებს...**

— რა თქმა უნდა, გამოუცდელობაც იყო, მაგრამ იმ თამაშის მოგება შეიძლებოდა. კი, რუმინეთში ჩვენზე უკეთესი პირობებია, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სტადიონები მაინც აქვთ, მაგრამ ჩვენ მაინც უნდა მოგვეგო, იღბალი რომ ჩვენსკენ ყოფილიყო. ისეთი შეცდომები, იქ რომ დავუშვით, ალბათ, არასდროს დაგვიშვია.

**— ჩვენში რაღაც არ ამბობენ იმის თაობაზე, თუ ვინ ასახელებდა შემადგენლობას შესარჩევ ტურნირზე. გურამ მოდებაძე აცხადებს, ასეთი ოთხი კაცი იყოო, რასაც კატეგორიულად უარყოფს ფედერაციის გენერალური მდივანი გია ჭუმბურიძე.**

— სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, ვინ აყენებდა შემადგენლობას. მე ის ვიცი, რომ შემადგენლობა მატჩის წინ გამოაცხადა სორელმა, მაგრამ იქ ვინ გადაწყვიტა, აი, ამათ ითამაშონო, ამ საქმისა არაფერი ვიცი. ჩემი საქმე რაგბის თამაშია და მეტი არაფერი. ისე კი, სორელი რაგბიზე უზომოდ შეყვარებული კაცია, ჩამოყალიბებული პროფესიონალი. სამშობლოშიც დიდ პატივს სცემენ, თავისი გუნდი „ბიარიცი“ ორჯერ გახადა საფრანგეთის ჩემპიონი.

**— ტონგაზეც მინდა გკითხოთ. მათი თამაში თუ გინახავთ?**

— მხოლოდ ერთი მატჩის ფრაგმენტები მინახავს, ამიტომ მიჭირს მათი შეფასება. ისე კი, ეჭვიც არ მეპარება, რომ კარგი გუნდი იქნება. ბოლოს და ბოლოს, ისეთი მეზობლები ჰყავს, რომ არ გინდოდეს, მაინც ისწავლი კაცი რაგბის თამაშს, თანაც რამდენიმე ტონგელი მორაგბე ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის კლუბებში თამაშობს. თუმცა ერთს ვიტყვი: თამაში ყველასთან შეიძლება, ჩვენ ჩვენი მხრივ გამარჯვების უდიდესი სურვილი გვაქვს და საამისოდ ძალებსაც არ დავზოგავთ.

**— ახლა სპორტსმენებს უცხოეთისკენ უჭირავთ თვალი. მორაგბეებმაც გვიან, მაგრამ უკვე დაიწყეს მიგრაცია. თქვენც ხომ არ აპირებთ უცხოეთში წასვლას?**

— არა, ჯერჯერობით აქ ვარ და უახლოეს მომავალში ალბათ არც წავალ სადმე. ისე, სიმართლე გითხრათ, არც მქონია მიწვევა რომელიმე კლუბიდან. საამისოდ ყველაზე კარგი შესაძლებლობა იტალიის საერთაშორისო ტურნირზე მოგვეცემა, თუმცა გული სხვაგან არც მიმიწევს. ბოლოს კი იმ ხალხს მინდა გადავუხადო მადლობა, რომელთა შემწეობითაც დღეს „ყოჩები“ არსებობს. ისინი ლაშა გეგენავას დაწყებულ საქმეს აგრძელებენ და შესანიშნავადაც.

**პაატა თოთაძე**

ჰოკეი

# ამბავი იგორის ლაშქრობისა



ნიუჯერსელებმა სკოტ სტივენსმა და კენ დანეიკომ (3) რეინჯერსელი პეტრ ნედვედი „გაჭყლიტეს“

16 დეკემბერი

**ტორონტო — ფინიქსი 5:2**

**0:2 4:0 1:0**

**0:1 რენიკი 10'22 (10), 0:2 ტვერდოვსკი 10'42 (5); 1:2 კოროლიოვი 20'38 (7); 2:2 მოდინი 20'54 (8); 3:2 კოროლიოვი 23'19 (8); 4:2 ჰენდრიკსონი 24'43 (1); 5:2 სუნდინი 50'39 (10)**

ოთხშაბათს გამართულ ხუთივე მატჩში სტუმრებს მასპინძლებმა აჯობეს და ამას ვერც ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი ფინიქსი გადაურჩა. ძნელი საფიქრებელია, რომ „კოიოტებზე“ მხოლოდ მათი ლიდერის კეიტ ტკაჩუკის არყოფნამ იმოქმედა, მაგრამ სტუმრებს ძალა მხოლოდ პირველი პერიოდისთვის ეყოთ, მეორე მესამედის პირველ ხუთ წუთში კი ტორონტოელებმა საქმე მოითავეს. განსაკუთრებით იგორ კოროლიოვი აქტიურობდა და ამის საფუძველიც ჰქონდა: იგი თავის დროზე სწორედ ფინიქსმა გაუშვა, რის გამოც რუსმა მაშინ ლამის დაამთავრა ნჰლ-ში კარიერა. შარშან კი კოროლიოვს, რომლის აყვანაც არც ერთმა კლუბმა არ მოინდომა, ტორონტომ გაუწოდა დახმარების ხელი და არც შემცდარა — აგერ უკვე მეორე სეზონია, ცენტრფორვარდად ქცეული ფორვარდი საუცხოოდ თამაშობს.

**ანაჰაიმი — ნეშვილი 6:1**

**2:0 4:0 0:1**

**1:0 პუშორი 3'15 (1); 2:0 სელიანე 6'11 (10); 3:0 გრინი 20'37 (5); 4:0 გრინი 25'11 (6); 5:0 რუჩინი 32'29 (9); 6:0 სელიანე 39'00 (11); 6:1 ლამბერტი 55'54 (2)**

ანაჰაიმის მეკარე გი ებერი ძალიან ახლოს იყო ზედიზედ მესამე შატაუტთან, მაგრამ ზედიზედ 113 მოგერიების შემდეგ მისი კარი სტუმართა მეომარმა დენი ლამბერტმა დალაშქრა. მანამდე კი „იხვების“ ლიდერებმა ტეემუ სელიანემ (2+1) და პოლ კარიამ (4 პასი) ყველაფერს ნათელი მოჰფინეს.

**დეტროიტი — ბოსტონი 5:3**

**1:1 3:1 1:1**

**1:0 ლიდსტრიომი 8'49 (5); 1:1 ედისონი 15'35 (8); 2:1 დანდენო 25'31 (1); 2:2 ხრისტიჩი 29'43 (13); 3:2 მერფი 34'32 (4); 4:2 ლაპოინტი 35'39 (7); 4:3 ბეიტსი 58'29 (2); 5:3 მაკარტი 59'50 (9)**

მასპინძელთა გამარჯვება მცველთა შედეგიანმა გარჯამ განაპირობა. 5 შაიბიდან 3 მათ ანგარიშზეა, თანაც ერთი ამ სეზონში უკანა ხაზზე მოთამაშე მეტიუ დანდენომ გაიტანა.

**ფლორიდა — პიტსბურგი 4:1**

**1:0 0:1 3:0**

**1:0 მელანბი 9'59 (6); 1:1 სტრაკა 31'39 (15); 2:1 უიტნი 46'58 (9); 3:1 ლინდსეი 47'45 (3); 4:1 ლინდსეი 59'54 (4)**

ფლორიდელმა სკოტ მელანბიმ (1+2) კარიერაში მე-300 პასი მიითვალა.

**ნიუ ჯერსი — რეინჯერსი 6:3**

**1:1 3:0 2:2**

**1:0 პანდოლფო 3'40 (8); 1:1 კ. სტივენსი 12'13 (7); 2:1 სურეი 26'39 (1); 3:1 არნოტი 31'20 (8); 4:1 ჰოლიკი 32'15 (11); 4:2 გრეივსი 40'30 (12); 5:2 არნოტი 46'23 (9); 5:3 გრეცკი 51'35 (6); 6:3 პანდოლფო 59'14 (9)**

თუ ასე გააგრძელა, ნიუ ჯერსი ლიგის ყველაზე შედეგიანი გუნდი გახდება (5 მატჩში 28 გოლი). ბოლო ხანს „ეშმაკებს“ ყოველ თამაშში 5 შაიბა ნაკლები არ გააქვთ, ამიტომ რეინჯერსს გრეცკის (1+2) ჩინებულმა თამაშმაც ვერ უშველა. მასპინძელმა პატრიკ ელიაშმა 3 პასი მიითვალა.

**სამველ ღარიბიანი**

## სატურნირო ვითარება

| ჩრდილო-აღმოსავლეთი | | | | | | | ატლანტა | | | | | | | წყნარი ოკეანე | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტორონტო | 30 | 17 | 2 | 11 | 91:85 | 36 | ნიუ ჯერსი | 28 | 18 | 3 | 7 | 87:70 | 39 | დალასი | 27 | 17 | 5 | 5 | 81:57 | 39 |
| ბუფალო | 25 | 15 | 5 | 5 | 73:45 | 35 | ფილადელფია | 28 | 13 | 6 | 9 | 78:64 | 32 | ფინიქსი | 25 | 17 | 4 | 4 | 72:44 | 38 |
| ბოსტონი | 27 | 12 | 6 | 9 | 70:56 | 30 | პიტსბურგი | 27 | 12 | 7 | 8 | 79:73 | 31 | ანაჰაიმი | 29 | 12 | 6 | 11 | 71:67 | 30 |
| ოტავა | 26 | 13 | 3 | 10 | 77:64 | 29 | რეინჯერსი | 30 | 11 | 7 | 12 | 80:79 | 29 | ლოს ანჯელესი | 29 | 8 | 3 | 18 | 60:80 | 19 |
| მონრეალი | 29 | 8 | 5 | 16 | 65:85 | 21 | აილენდერსი | 29 | 11 | 0 | 18 | 70:83 | 22 | სან ხოსე | 28 | 6 | 7 | 15 | 57:69 | 19 |
| სამხრეთ-აღმოსავლეთი | | | | | | | ცენტრი | | | | | | | ჩრდილო-დასავლეთი | | | | | | |
| კაროლინა | 30 | 14 | 5 | 11 | 80:67 | 33 | დეტროიტი | 28 | 17 | 1 | 10 | 92:69 | 35 | კოლორადო | 28 | 13 | 3 | 12 | 69:72 | 29 |
| ფლორიდა | 27 | 10 | 6 | 11 | 70:75 | 26 | სენტ ლუისი | 26 | 9 | 7 | 10 | 66:65 | 25 | ედმონტონი | 30 | 13 | 3 | 14 | 83:80 | 29 |
| ვაშინგტონი | 27 | 8 | 3 | 16 | 57:74 | 19 | ნეშვილი | 28 | 10 | 3 | 15 | 63:86 | 23 | კალგარი | 29 | 11 | 2 | 16 | 79:85 | 24 |
| ტამპა | 29 | 8 | 2 | 19 | 63:105 | 18 | ჩიკაგო | 29 | 9 | 4 | 16 | 6897 | 22 | ვანკუვერი | 28 | 10 | 4 | 14 | 78:83 | 24 |

*ბომბარდირები: ლინდროსი (ფილადელფია) 39(17+22); კარია (ანაჰაიმი) 39(14+25); ლეკლერი (ფილადელფია) 37(20+17); იაგრი (პიტსბურგი) 37(9+28); აიზერმანი (დეტროიტი) 33(12+21); ფორსბერგი (კოლორადო) 33(9+24); გრეცკი (რეინჯერსი) 33(6+27); საკიკი (კოლორადო) 32(12+20); ამონტე (ჩიკაგო) 31(21+10); სტრაკა (პიტსბურგი) 31(15+16); ხრისტიჩი (ბოსტონი) 31(13+18)*

## ეს ნასრედინი ოხუნჯი კი არა, შარიანია



ალენ ნასრედინი

მონრეალის 23 წლის ახალბედამ ალენ ნასრედინმა ნჰლ-ში მხოლოდ 14 მატჩი ითამაშა, მაგრამ უკვე სახელი გაითქვა. და განა იმიტომ, რომ ერთი თვის წინ ჩიკაგოსა და მონრეალს შორის შემდგარ ექვსკაციან ტრეიდში მონაწილეობდა, რის შემდეგაც კანადელთა კლუბში აღმოჩნდა. გასულ კვირაში დებიუტანტმა ისეთი რამ ჩაიდინა, ავტორიტეტული მოთამაშეებიც ვერ გაბედავდნენ: ფინიქსთან შეხვედრის მესამე პერიოდში მან მეტოქეთა კაპიტან კეიტ ტკაჩუკს ყვანჯი ჩაარტყა. ცხადია, ამას ფინიქსელის რეაქცია მოჰყვა. მან ხელთათმანები მოედანზე დაყარა და ჩხუბიც ატყდა. საქმეში არბიტრები ჩაერივნენ, მაგრამ ნასრედინი არ დამშვიდდა, მსაჯს ხელი ჰკრა და ყინულზე წააქცია. ცხადია, ჩხუბისთავი უმალ გააძევეს, სადისციპლინო კომისია კი მას ერთობ ლმობიერად მოექცა — ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია აკმარა. ალენ ნასრედინმა 14 თამაშში ქულაც ვერ მიითვალა, სამაგიეროდ, 52 საჯარიმო წუთი დააგროვა.

# ჰერმინატორი სხვა პლანეტიდან

მსოფლიოს თასზე ორი წლის წინ ჩართულ ჰერმან მაიერს თავიდან ძალიან უკვირდა, თუ ვინმე მისდამი ოდნავ ინტერესს მაინც გამოიჩენდა. „დარწმუნებული ხართ, რომ ჩემთან, მაიერ ჰერმანთან, გსურთ საუბარი და არა მაიერ კრისტიანთან?“ — ზრდილობიანად იკითხავდა იგი.

მაგრამ მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. მაიერმა პოპულარობით მარტო მეგვარე კი არა, ყველა თანამემამულე ჩამოიტოვა, მასმედიისა და ქომაგების ფავორიტიც შეიქნა და ყველაზე ცნობილ ავსტრიელ ტერმინატორ, არნოლდ შვარცნეგერთან ერთად ჯეი ლენოს შოუშიც „გაინავარდა“ თავისი დამტვრეული ინგლისურით.

„წარმატებამ ნამდვილად შემცვალა. ახლა სულ ფრო მეტ დროს ვუთმობ პრესას, საკუთარი თავისთვის კი აღარაფერი მრჩება — ამბობს მაიერი — ეს იმასაც ნიშნავს, რომ მეტი ვარჯიში მიხდება, რადგან აუცილებლად უნდა დავამტკიცო, რომ ჩემი გამარჯვებები შემთხვევითი არ გახლდათ.“

ყოფილი კალატოზის მსოფლიოს თასის მფლობელად და ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონად ქცევა კონკიას ზღაპარს ბევრით არაფრით ჩამორჩება. ქვეყნის სპორტის თავკაცებისგან უგულებელყოფილი „ჰერმინატორი“ კარგა ხანს მშობლიურ ფლახაუში მარტო ვარჯიშობდა და ფულს შავი სამუშაოებით შოულობდა, სანამ 1996 წლის მსოფლიოს თასის ერთ-ერთ რეპეტიციაზე ავსტრიელთაგან საუკეთესო დრო არ უჩვენა.“

საკუთარ თავში რწმენა კი მას არასოდეს აკლდა: „როცა ევროპის თასისთვის გუნდში ჩამრთეს, ჩემს ბოსს ვუთხარი, მშენებლობებზე მეტად ველარ მნახავთ, ბიჭებს ვაჩვენებ, ნამდვილი თხილამურობა როგორ უნდა-მეთქი.“



სარბიელის არქივიდან

ჰერმან მაიერი

და გასულ სეზონში უჩვენა კიდეც — იგი უფრო შორს წავიდა, ვიდრე ერთ სეზონში სამთომოთხილამურეთა შორის ყველაზე მეტი ტიტულის მოპოვებაა: ახალი მძლავრი ტექნიკით, თხილამურებზე წნევის გაზრდით, კუთხეების მოჭრითა და კამიკაძის სტილით რბოლით თავისი სახეობა ახალ დონეზე აიყვანა.

„მე შეიძლება ამ პლანეტის საუკეთესო მოთხილამურე ვიყო, მაგრამ მაიერი სხვა პლანეტიდანაა“ — განაცხადა იმედგადაწურულმა ავსტრიელმა ანდრეას შეფერერმა, როდესაც შლადმინგში თანამემამულესთან უჩველოდ დიდი სხვაობით წააგო — იგი გრავიტაციის კანონებს არ ემორჩილება.“

მერე იყო ნაგანოს ოლიმპიადის ყველაზე სამახსოვრო მომენტი — შემაძრწუნებელი დამტვრევა სწრაფდაშვებაში, რამდენიმე დღის შემდეგ დალეწილი ნეკნებით სუპერ-გიგანტსა და გიგანტურ სლალომში ოქროს მედლების მოპოვება... და მაიერი მსოფლიოს ერთ-ერთ უპოპულარეს სპორტსმენად, „ჰერმინატორად“, „სუპარმაიერად“ იქცა, რომელსაც სამთო თხილამურობისთვის მთავარი შოუმენის, იტალიელი ალბერტო ტომბას წასვლით გამოწვეული დანაკლისის ანაზღაურება შეეძლო.

ამაზე მიუთითებდა ჰერმანის ტრასებსგარეთა საქმენი საგმირონიც — გაზეთების პირველ გვერდებზე იგი უკვე ველოსიპედის ქურდობისთვის მოხვდა, როდესაც აშშ-ში თვითმფრინავზე მისასწრებად ვილაცას ორბორბლიან ტრანსპორტს უკითხავად დაესესხა.

თუმცა ძნელი სათქმელია, როგორ შეცვლის იგი ტომბას ქალების გულთამპყრობლის როლში, როდესაც ფინიშის ხაზის გადაკვეთის შემდეგ არც ტანისამოსის გახდის ჩვევა ახასიათებს და ტურნირებზეც ძველ გელფრენდთან — პეტრასთან ერთად დაიარება.

„ეს მე არ ვიქნებოდი, ეს ტომბა იყო“ — ამბობს იგი.

ეს სეზონი ჰერმინატორისთვის არცთუ შთამბეჭდავად დაიწყო. პარკ სიტიში გიგანტურ სლალომში გავარდნის შემდეგ გალიზიანებულს თანაგუნდელ სტეფან ებერჰარტერისთვის გამარჯვების მილოცვაც არ გახსენებია, ერთი კვირის შემდეგ კი იმავე ებერჰარტერს სუპერ-გიგანტში მოგებაც არ დაუფასა — თხილამურები ცუდად რომ არ შემერჩია, მე გავიმარჯვებდიო. ვალ დიზერში სწრაფდაშვებაში სულაც 36-ე ადგილზე გავიდა.

„ეს ყველაფერი ჩემი ამბიციურობის ბრალია. მსურს, თითოეული ეტაპი მოვიგო. სტეფანს კი მოგვიანებით მივულოცე, როცა მარტონი ვიყავით“ — თავი იმართლა ჰერმანმა, რომელსაც მშობლიურ ავსტრიაში კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა თავს.

მაგრამ მოწინააღმდეგეები მალე ისევ ჩაჩუმდნენ — საფრანგეთში სუპერ-გიგანტში მაიერმა ებერჰარტერს მთელი 1,18 წამით აჯობა.

„ტომბამ თავისი პირველი წარმატებული ზამთრის მომდევნო სეზონში ერთადერთი ეტაპი მოიგო, მე უკვე ორი“ — განაცხადა ჰერმინატორმა. თეთრ ტრასებზე იგი მხოლოდ კვარცხლბეკის პირელ საფეხურს სჯერდება.



აზიის თამაშებზე კიდევ ერთი ფინალი გაიმართა. პაკისტანმა იაპონია დაამარცხა 24:7 და ოქროს მედლები მოიგო. სურათზე თავის ზონაში თავგანწირულად გადმომხტარი ჯომარდი პაკისტანელი მოჰამად სარვარია გამოსახული.

თამაშობა კი არც ფეხბურთია და არც სხვა რამ ასეთი. ამ შეჯიბრს კაბადი ჰქვია და ძალიან ჰგავს ჩვენებურ „ორდროშობანას“. ჰინდუსტანი და მისი ახლო აზია კაბადის ბევრად უკეთ თამაშობენ, ვიდრე ქართველები ფეხბურთს.



REUTERS რომიდან

იტალიელთა და მსოფლიოს ვარსკვლავთა მატჩამდე რომის პაპი იოანე პავლე მეორე ვატიკანში შეხვდა დინო ძოფს და მის გუნდს. პაპმა დალოცა აძური და ლოცვა-კურთხევაც არ დაამადლა. შედეგი ყველამ იცის, იტალიელებმა 6:2 მოუგეს მსოფლიოს ვარსკვლავებს.

EK'98

ჰოლანდიაში, ხელბურთელ ქალთა ევროპის ჩემპიონატზე მეოთხე და მეხუთე ტურების მატჩები გაიმართა, ჯგუფური ტურნირიც დასრულდა და ნახევარფინალისტებიც გამოვლინდნენ

| A ჯგუფი | | | B ჯგუფი | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16 დეკემბერი | | | 16 დეკემბერი | | |
| უნგრეთი | 25:18 | გერმანია | ნორვეგია | 27:21 | ესპანეთი |
| ავსტრია | 30:24 | უკრაინა | პოლონეთი | 21:29 | დანია |
| რუმინეთი | 23:30 | ჰოლანდია | რუსეთი | 23:25 | მაკედონია |
| 17 დეკემბერი | | | 17 დეკემბერი | | |
| გერმანია | 27:25 | რუმინეთი | ესპანეთი | 26:26 | რუსეთი |
| ავსტრია | 28:24 | ჰოლანდია | პოლონეთი | 27:15 | მაკედონია |
| უკრაინა | 22:29 | უნგრეთი | დანია | 19:28 | ნორვეგია |

სატურნირო ვითარება

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| უნგრეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 131:109 | 8 | ნორვეგია | 5 | 5 | 0 | 0 | 137:102 | 10 |
| ავსტრია | 5 | 4 | 0 | 1 | 134:118 | 8 | დანია | 5 | 4 | 0 | 1 | 138:115 | 8 |
| გერმანია | 5 | 4 | 0 | 1 | 117:119 | 8 | პოლონეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 112:110 | 6 |
| უკრაინა | 5 | 2 | 0 | 3 | 128:127 | 4 | მაკედონია | 5 | 2 | 0 | 3 | 111:138 | 4 |
| ჰოლანდია | 5 | 1 | 0 | 4 | 107:121 | 2 | რუსეთი | 5 | 0 | 1 | 4 | 112:128 | 1 |
| რუმინეთი | 5 | 0 | 0 | 5 | 120:143 | 0 | ესპანეთი | 5 | 0 | 1 | 4 | 107:126 | 1 |

ნახევარფინალში ითამაშებენ: უნგრეთი — დანია და ავსტრია — ნორვეგია



REUTERS ამსტერდამიდან

ნორვეგია — დანია. ნორვეგიელი იანე ტუვენის (ბურთით) შეჩერებას დანიელი კრისტინ ანდერსენი ცდილობს


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე:
ილია ბაბუნაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:
ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე:
მერაბ რატიშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე:
სოსო კოტორეიშვილი

ფეხბურთის რედაქცია.
ქართული ფეხბურთის განყოფილება:
კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
კალათბურთის განყოფილება:
გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე
ინფორმაციის განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები:
მაია აზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29